...ს სახ. საჯარო ბიბლიოთეკა
თბილისი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წლიწადი მეათე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის (ბ)
ცენტრ. კომიტეტის
— და —
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, რუსთაველის პროსპ. № 16, მეორე სართული
რედაქციაში საქმეზე მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე
დღის 12 საათიდან 5 საათამდე და საღამოს 8 საათიდან 12 საათამდე.
ტელეფ. რედაქტორის . . . 14—76
რედაქტორის მოადგ. 23—17
მდივნის . . . . . 10—58
მახიური განყოფილ. 22—44

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპ., № 84, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი
მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების წითელარმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის — 1 მან., დანარჩენებისათვის — 1 მან., 30 კ.

საქართველოს ფარგლებში: ნონპარელის სტრიქონი: ტექსტის ბოლოში — 1 მ., ტექსტის შიგნით — 2 მ.; საქართველოს გარეთ: ტექსტის ბოლოს ნონპარელის სტრიქ. — 1 მ. 50 კაპ., ტექსტში — 3 მ.; განმცხადებელი, გარდა განცხადების ფასისა, იხდის 10 % საქალაქო გადასახადს, თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად — შეღავათი შეთანხმებით. მთავარ კანტორაში განცხადებები მიიღება 9-დან 3½ საათამდე. შემდეგ განცხადება ეღირება 20 %-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები — 15, 20 და 25 მ. „კომუნისტი"-ს ექსპედიცია მოთავსებულია კამოს ქ. № 68, ტელ. 5—43.

დ ღ ი უ რ ი

- ჩინეთის წითელმა ჯარმა დაიპყრო ქალ. შაში.
- დირიჟაბლი „გრაფი ცეპელინი" გაფრინდა მოსკოვიდან.
- ფინეთში გრძელდება ფაშისტების თარეში.
- დიდი ხანძარი პირეის (საბერძნეთი) ნავთსადგურში.
- დამთავრდა ფილოსოფოსების საერთაშორისო კონგრესი.
- ბანკეტი საბჭოთა მფრინავების პატივსაცემად თეირანში.

პარასკევი, 12 სექტემბერი 1930 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 213 (2861)

15 სექტემბრისათვის მოწვეულია
საქ. კომპარტიის (ბ.) ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის

გაერთიანებული პლენუმი

საოლქო და რაიონულ კომიტეტების მდივნების და საქ. კ.პ. (ბ) რესპუბლიკანური და რაიონული საკონტროლო კომისიების თავმჯდომარეთა მონაწილეობით

დღის წესრიგი:

1. შემოდგომის თესვის კამპანიის ამოცანები.
2. საკოლმეურნეო მშენებლობის პერსპექტივები.
3. დარაიონების საკითხები.
4. პურის დამზადების მიმდინარეობა და გლეხური ბაზრის მდგომარეობა.

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის მდივანი ლ. ლოლოშვილი.

ბრძოლა კოოპერაციის მუშაობის გაუმჯობესებისათვის

უკანასკნელი წლების განმავლობაში პროლეტარული სახელმწიფოს პოზიციები საგრძნობლად განმტკიცდა არა მარტო მრეწველობის, არამედ ბრუნვის სფეროშიც. კერძო კაპიტალი თითქმის სავსებით გაძევებულია როგორც საბითუმო, ისე ცალობით ვაჭრობიდან. ამას ადასტურებს ამხ. სტალინის მიერ მე-16 ყრილობაზე მოყვანილი ციფრები. ამ ცნობების მიხედვით 1929-30 წელს საშინაო ვაჭრობის განსაზოგადოებული სექტორის ხელთ არის საბითუმო ვაჭრობის 99 პროცენტი, ცალობით ვაჭრობის — 89 პროცენტზე მეტი. „ეს ნიშნავს იმას,—ამბობს ამხ. სტალინი, — რომ კოოპერაცია სისტემატიურად ანადგურებს კერძო სექტორს და ხდება მონოპოლისტი ვაჭრობის დარგში. ეს, რასაკვირველია, კარგია. მაგრამ ცუდია ის, რომ ეს მონოპოლია ბევრ შემთხვევაში მომხმარებლის საზიანოდ მოქმედებს".

კოოპერაციის მუშაობის უმთავრეს ნაკლად ამხ. სტალინი აღიარებს კოოპერატიული აპარატის მოუქნელობას, მისგან ბიუროკრატიზმის განუდევნელობას, მოგებით გატაცებას და ყოველივე ამის გამო მუშების ცუდ მომარაგებას. კოოპერაცია ვერ აწოდებს მუშებს თავის დროზე და საკმაო რაოდენობით პირველ მოთხოვნილების საგნებს, განსაკუთრებით სასოფლო - სამეურნეო პროდუქტებს, რის გამო მუშები თავიანთ მოთხოვნილების 25 პროცენტს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებზე იკმაყოფილებენ კერძო ბაზრის საშუალებით. კოოპერაციის ცუდი მუშაობის გამო კერძო ბაზარზე მუშა სხვადასხვა პროდუქტებზე ზედმეტს იხდის, ეს კი ამცირებს მის ბიუჯეტს და სცემს რეალურ სამუშაო ხელფასს.

სწორედ ამის გამო, ჯერ კიდევ მიმდინარე წლის 15 მაისს გამოიტანა ცენტრალურმა კომიტეტმა საყურადღებო დადგენილება სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაობის გაუმჯობესების შესახებ, ხოლო მე-16 ყრილობამ კატეგორიულად მოითხოვა მუშათა რეალური ხელფასის გადიდების მიზნით სამომხმარებლო კოოპერაციის მთელი მუშაობის გარდაქმნა. მიუხედავად ამ დადგენილებისა, სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაობაში დღემდე არ მომხდარა გარდატეხა, ჩვენ დღემდე ვერ ვხედავთ რაიმე საგულისხმო შედეგს მუშათა მომარაგების, მოწესრიგების და საზოგადოებრივი კვების გაუმჯობესების საქმეში.

სამომხმარებლო კოოპერაციის სუსტი მუშაობა უარყოფით გავლენას ახდენს სამრეწველო - საფინანსო გეგმაზე და აფერხებს ხუთწლიანი გეგმის ოთხ წელში შესრულებას. მუშათა მომარაგების საქმის მოგვარებას, — ვკითხულობთ საკ. კ. პ. (ბ) ცეკას 3 სექტემბრის მიმართვაში — უდიდესი მნიშვნელობა აქვს სამრეწველო-საფინანსო გეგმის შესრულებისათვის. განაწილების ორგანიზაციის გასაუმჯობესებლად კოოპერაციამ უნდა გაშალოს მომარაგების ისეთი ფორმები, რომლებმაც გაამართლეს თავიანთი თავი და რომელნიც ყველაზე უფრო უზრუნველყოფენ საწარმოო მუშათა ინტერესებს (დახურული განმანაწილებლები, მუშა მეპაიების მიმაგრება მაღაზიებზე, დაუნდობელი ბრძოლა ქურდობის წინააღმდეგ კოოპერატიულ აპარატში, რეპრესიების გაძლიერება ბარათების და ტალონების საქმეში ჩადენილ ბოროტმოქმედებისათვის და სხვ.) და გაძლიერდეს სამრეწველო რაიონებში ქალაქის განაპირა მეურნეობების ორგანიზაცია (ბოსტნების, მერძევეობის და მესაქონლეობის მეურნეობანი). ქალაქების მომარაგებაში სასოფლო - სამეურნეო პროდუქტებით ყველაზე მეტი როლი შეუძლია ითამაშონ ქალაქის განაპირა მეურნეობებმა, რომელთა მოწყობა კოოპერაციის მიერ წარმოუდგენლად ნელი ტემპით მიმდინარეობს და რომელთა მშენებლობის ირგვლივ კოოპერაციამ ვერ შესძლო მუშა-მომხმარებელთა ფართო მასების ყურადღების მობილიზაცია.

იმის გამო, რომ კოოპერაციის აპარატი დღემდე არაა გაწმენდილი ბიუროკრატიულ და აშკარა მავნე ელემენტებისაგან, მრავალ დეფექტებს აქვს ადგილი მუშების დეფიციტური საქონლით მომარაგებაში, ადგილი აქვს ბოროტმოქმედებას სასურსათო წიგნაკების გაცემის მხრივ, გულგრილი მოპყრობის გამო ათასი ფუთობით ფუჭდება საწყობში მიტანამდე და თვით საწყობებში ხილი და ბოსტნეული, იზრდება ფასები სამრეწველო საქონელზე და სხვ. ყოველივე ამ უმსგავსოებათა მიზეზი უნდა ვეძიოთ იმაში, რომ სამომხმარებლო კოოპერაცია დღემდე ვერ დაუახლოვდა მუშათა მასებს, არ იქნა დაწინაურებული სათანადო რაოდენობით მუშები კოოპერატიულ აპარატში და პარტიულ და პროფესიონალურ ორგანიზაციების მიერ ვერ იქნა დამყარებული მასიური კონტროლი კოოპერაციის მთელ მუშაობაზე.

ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში გამოქვეყნებული საკ. კ. პ. (ბ) ცეკას დადგენილება პარტიულ, პროფესიონალურ და კომკავშირულ ორგანიზაციებისაგან მოითხოვს ხელმძღვანელობის გაუმჯობესებას სამომხმარებლო კოოპერაციაზე და მის მუშაობაში მეტი მონაწილეობის მიღებას. მაგრამ საჭიროა ხელმძღვანელობა არა კოოპერაციის გამგეობების საერთო მუშაობაზე, არამედ კოოპერატიული აპარატის ყოველდღიურ საქმიანობაზე, საჭიროა იმის სისტემატიური კონტროლი, თუ როგორ და რა ფასებში მზადდება პირველი მოთხოვნილების საგნები, სწარმოებს თუ არა წესიერად პროდუქტების გადაზიდვა, შენახვა და განაწილება. ცეკას დადგენილება მოითხოვს, რათა ფართოდ გამოვიყენოთ კოოპერაციის მუშაობის გაუმჯობესებისა და მის აპარატში ბოროტმოქმედებათა აღმოფხვრისათვის მუშათა ბრიგადები, რომლებმაც უნდა განახორციელონ მუშათა ნამდვილი მასიური კონტროლი კოოპერაციის ცალკე სავაჭროებზე, სასურსათო მაღაზიებზე, სასადილოებზე, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების საწყობებზე და სხვ. მხოლოდ ამით შევძლებთ ჩვენ, როგორც ნათქვამია ხსენებულ დადგენილებაში, მუშათა კონტროლის მაქსიმალურად მიახლოებას დაბალი საფეხურის კოოპერატიული ერთეულებისადმი და მხოლოდ ასეთი კონტროლი მოგვცემს ხელშესახებ ეფექტს კოოპერატიული აპარატის მუშაობის გაუმჯობესებაში.

კოოპერაციის მუშაობის გაუმჯობესებაში დიდი როლი უნდა ითამაშონ სადუქნო კომისიების და მუშათა ბრიგადების გვერდით კოოპერატიულმა ბიუროებმა, რომელნიც „უნდა მოეწყოს ყველა საწარმოებში". საწარმოებმა თავის მხრივ ყოველდღიური ხელმძღვანელობა უნდა გაუწიონ როგორც მუშათა ბრიგადებს, ისე კოოპერატიულ ბიუროებს და სადუქნო კომისიებს, რისთვისაც უნდა გამოყონ „საქარხნო-საფაბრიკო კომიტეტის სპეციალური წევრი". სადუქნო კომისიებს, კოოპერატიულ ბიუროებს და მუშათა ბრიგადებს დიდი პასუხისმგებლობა აწევთ, მათ მუშაობაზე დიდადაა დამოკიდებული კოოპერაციის მუშაობის გაუმჯობესება. მათ უნდა მისპონ რიგები— ნათქვამია ცეკას 6 სექტემბრის დადგენილებაში, — **საქონლის გაცემის სისტემის გაუმჯობესების საშუალებით, აწარმოონ ბრძოლა პროდუქტების დაკარგვასთან, გაფუჭებასა და ფასების ძალზე აწევასთან და განახორციელონ კონტროლი მომარაგების საქმეში კლასობრივი პრინციპის განხორციელებისათვის.**

ცეკას 6 სექტემბრის დადგენილების საფუძველზე ჩვენ უნდა გავაუმჯობესოთ პარტიულ, პროფესიონალურ და კომკავშირულ ორგანიზაციების ხელმძღვანელობა კოოპერაციაზე, უნდა შევძლოთ მუშათა მასების მობილიზაცია და დარაზმვა განსაკუთრებით კოოპერაციის დაბალი საფეხურის მუშაობის ირგვლივ, მუშა-მომხმარებელი რაც შეიძლება მეტად უნდა დაუახლოვოთ როგორც ზედა, ისე ქვედა კოოპერატიულ აპარატს და შევქმნათ პირობები, რათა მუშათა მასებმა ნამდვილად განახორციელონ თავიანთი კონტროლი პირველი მოთხოვნილების საგნების დამზადებაზე, განაწილებაზე და საზოგადოებრივ კვებაზე.

უმუშევრობის სწრაფი ზრდა ინგლისში და გერმანიაში

გერმანიის მენშევიკების მოლაპარაკება ნაციონალისტებთან დიდი კოალიციის აღსადგენათ

პოლონეთში დააპატიმრეს მემარცხენე-ცენტრისტულ ოპოზიციის ხელმძღვანელები

რეიხსტაგის არჩევნების წინ

გერმანიის სოციალ - დემოკრატები ცდილობენ ბურჟუაზიულ პარტიებთან შეთანხმებას

ბერლინი, 10 სექტემბერი. გერმანიის სოციალ - ფაშისტები, რომლებიც რეიხსტაგის საარჩევნო კამპანიას უმაგალითო ანტისაბჭოთა გამოსვლების ნიშნით აწარმოებენ, იმავე დროს ყოველი საშუალებით ცდილობენ შეუთანხმდნენ ბურჟუაზიულ პარტიებს. დღეისვე არ გავა, რომ სოციალ - დემოკრატიული პარტიის ბელადები მუხლის ჩოქით არ ევედრებოდნენ ბურჟუაზიულ პარტიებს — გააახლონ დიდი კოალიცია.

პრუსიის მთავრობის თავმჯდომარემ, სოციალ - დემოკრატმა ბრაუნმა, შეკითხვა მისცა ცენტრის პარტიის ბელადს ბრიუნინგს— მართალია თუ არა, რომ მან უარი განაცხადა სოციალ - დემოკრატებთან თანამშრომლობაზე. ამგვარივე შეკითხვა მისცა ცენტრის პარტიას რეიხსტაგის სოციალ - დემოკრატიული ფრაქციის თავმჯდომარემ ბრეიტშეიდმა გაზეთ „ფორვერტს"-ში. ბრიუნინგმა ჯერ უარი განაცხადა გაეცა პასუხი ამ შეკითხვაზე და მხოლოდ ირონიულად სთქვა, რომ მას ახირებულად ეჩვენება სოციალ-დემოკრატების სურვილი — ითანამშრომლონ ისეთ კაცთან, რომელსაც ასე გაბოროტებით ესხმიან თავს საარჩევნო კამპანიის დროს.

პრუსიის პრემიერმა ბრაუნმა ამის საპასუხოდ განაცხადა, რომ ბრიუნინგის საწინააღმდეგო თავდასხმები მხოლოდ „საარჩევნო ფრაზებს" წარმოადგენენ.

მემარცხენე გაზეთ „ბერლინ ამ მორგენ"-ში დაიბეჭდა სენსაციური ცნობა, რომელიც სოციალ - დემოკრატიულ პარტიასთან ახლო მდგომ და საქმის კარგად მცოდნე წყაროებიდან არის მიღებული და რომელიც საკმაოდ ჰფენს ნათელს „შეთანხმებისათვის მზადყოფნის" ნამდვილ შინაარსს.

ამ ცნობის მიხედვით, **სოციალ - დემოკრატებსა და ცენტრის პარტიებს შორის რამდენიმე კვირის განმავლობაში სწარმოებს მოლაპარაკება**, რომელიც არსებითად ერთ მიზანს ისახავს, სახელდობრ იმას, რომ **სავსებით დაუმორჩილოს სოციალ - დემოკრატია ბურჟუაზიული დიქტატურის პოლიტიკას და ამ გზით შეინარჩუნოს პრუსიაში კოალიციონური მთავრობა.**

სოციალ - დემოკრატებთან მოლაპარაკების დროს ცენტრის პარტიის წარმომადგენლებმა წამოაყენეს შემდეგი კატეგორიული პირობები: 1) სოციალ - დემოკრატები პირობას სდებენ, რომ არ შეიტანენ წინადადებას ბრიუნინგის იმ დეკრეტების გაუქმების შესახებ, რომლებიც მე 48 პარაგრაფის ძალით არიან გამოცემული; 2) რეიხსტაგის სოციალ - დემოკრატიულმა პარტიამ ხმა უნდა მისცეს ახალი გადასახადების შემოღებას ლუდზე და თამბაქოზე; 3) სოციალ-დემოკრატები უმუშევართა დახმარებისათვის დანიშნული ხარჯების საკითხში უნდა დასთანხმდნენ ისეთ კომპრომისს, რომელიც შეეფერება ცენტრის პარტიის ინტერესებს; 4) სოციალ - დემოკრატები უნდა დასთანხმდნენ იმ სასკოლო კანონის სასწრაფოდ გამოცემას, რომელიც არ იქნა მიღებული რეიხსტაგის 1928 წლის არჩევნებთან დაკავშირებით.

როგორც გაზეთი იუწყება, სოციალ - დემოკრატიულმა პარტიამ მიიღო ყველა ეს პირობები (ადს).

კომპარტიების გამოძახილი გერმანიის კომპარტიის ცეკას საარჩევნო მოწოდების გამო

ბერლინი, 10 სექტემბერი. გერმანიის კომპარტიის ცეკას პროგრამული ხასიათის საარჩევნო მოწოდებას ძმური კომუნისტური კომპარტიები ძლიერი ინტერესით და ერთსულოვანი მოწონებით გამოეხმაურენ. ძმური კომპარტიების ცენტრალურმა კომიტეტებმა მიიღეს სპეციალური დადგენილებები, რომლებითაც სოლიდარობას უცხადებენ გერმანიის კომპარტიის მოწოდებას. ასეთი შინაარსის განცხადება მოუვიდა გერმანიის კომპარტიას, საფრანგეთის, პოლონეთის, იტალიის, ბელგიის და ჩეხო-სლოვაკიის კომპარტიებისაგან.

პოლონეთის კომპარტიის განცხადებაში ნათქვამია, რომ ვერსალის ხელშეკრულებამ პოლონეთს დააკისრა საბჭოთა კავშირის საწინააღმდეგო მსოფლიო იმპერიალისტური შეტევის მომზადების გამომწვევის როლი.

პოლონეთის ბურჟუაზიამ ოქტომბრის რევოლუციის საწინააღმდეგო კონტრ-რევოლუციონური ომის დროს, ხელთ იგდო დასავლეთ-უკრაინა და დასავლეთ-ბელორუსია. ვერსალის ხელშეკრულების საფუძველზე მან გაჰკვეთა ზემოსილეზია და შექმნა პოლონეთის კორიდორი, რომელიც ომის საფრთხის კერას წარმოადგენს. პოლონეთის კომპარტია ერთად-ერთ პოლიტიკურ ძალას წარმოადგენს, რომელიც პოლონეთის მასებს უჩვენებს ახლანდელი კრიზისიდან გამოსავალს, სახელდობრ **ფაშისტური ჯალათური დიქტატურის დამხობას მუშათა, გლეხთა და ჯარისკაცთა შეიარაღებული აჯანყების საშუალებით და პოლონეთის საბჭოთა რესპუბლიკის შექმნას.**

პოლონეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი თავის მოწოდებაში აღნიშნავს, რომ **პოლონეთის საბჭ. რესპუბლიკის პირველი ნაბიჯი იქნება ხალხთა თვითგამორკვევის უფლების დაუყოვნებლივ განხორციელება, დაბეჩავებულ ხალხთა, თუნდაც სრული გამოყოფით პოლონეთისაგან. პოლონეთის გამარჯვებული პროლეტარიატი დაფხრეწს ვერსალის ხელშეკრულებას.** ზემო სილეზიის და პოლონეთის კორიდორის საკითხის გადაწყვეტა შეუძლია მხოლოდ საბჭოთა გერმანიის და საბჭოთა პოლონეთის პროლეტარულ კავშირს, მხოლოდ ამ კავშირს შეუძლია უზრუნველჰყოს ორივე ქვეყნის მშრომელთა ეკონომიური და კულტურული კეთილდღეობა. **საბჭოთა პოლონეთი დაანგრევს საბაჟოებისა და სამხედრო საზღვრებს ყველა მის მეზობელ საბჭოთა რესპუბლიკებთან და მჭიდრო ძმურ კავშირს შეჰკრავს საბჭოთა გერმანიასთან და საბჭოთა კავშირთან.**

პოლონეთის რევოლუციონური პროლეტარიატის სახელით პოლონეთის კომუნისტური პარტია აცხადებს, რომ იგი ყოველგვარი ძალღონით და საშუალებით დაუჭერს მხარს გერმანიის პროლეტარულ რევოლუციას (ადს).

მაქს ჰელცი მძიმედ დასჭრეს ფაშისტებმა

ბერლინი, 10 სექტემბერი. მაქს ჰელცი მძიმედ დასჭრეს ნაციონალისტებმა (ფაშისტებმა) ბად ელსტერ ფოგტლანდში.

ჰელცი საგიტაციო მიზნით მოგზაურობდა ფოგტლანდის რაიონებში, სადაც იგი 1921 წელში ხელმძღვანელობას უწევდა მუშათა რევოლუციონურ აჯანყებას.

მთელი ბურჟუაზიული და აგრეთვე სოციალ-ფაშისტური პრესა ჰელცის ბერლინში პირველი გამოსვლის დღიდან ველურ კამპანიას აწარმოებდა მის წინააღმდეგ, რასაც შედეგად მოჰყვა ის, რომ სასამართლომ პასუხისგებაში მისცა ჰელცი. ეხლა კი ნაციონალ - სოციალისტებმა განიზრახეს მისი მოკვლა. ამ მიზნით ნაციონალ - სოციალისტებმა აირჩიეს პატარა ქალაქი ბად ელსტერი, სადაც დღემდე არ არსებობდა კომუნისტური ორგანიზაცია.

ჰელცი უნდა გამოსულიყო იმ კრებაზე, რომელიც მოწვეული იყო კომპარტიის ადგილობრივი ორგანიზაციის შესაქმნელად. როცა ჰელცი ამხანაგების მცირერიცხოვან ჯგუფით გამოცხადდა კრების ადგილზე, მათ თავს დაესხა რამდენიმე ასეული ნაციონალ-სოციალისტი და დაუწყეს ცემა ჯოხებით. ჰელცს მიაყენეს რამდენიმე ჭრილობა თავზე და ხელზე. გრძნობადაკარგული გაგზავნეს საავადმყოფოში, სადაც ორი საათის შემდეგ მოვიდა გონს. დამახასიათებელია, რომ პოლიციამ სრული თავისუფლება მისცა ფაშისტებს (ადს).

დემონსტრაციების აკრძალვა

ბერლინი, 10 სექტემბერი. რეიხსტაგის არჩევნების დამთავრებამდე ბერლინში აკრძალეს დემონსტრაციები ღია ცის ქვეშ (ადს).

გერმანიის კომპარტიის საარჩევნო მიტინგი რურის ოლქში

ბერლინი, 10 სექტემბერი. ესენში გაიმართა გერმანიის კომპარტიის დიდი საარჩევნო მიტინგი, რომელზედაც გამოვიდა ტელმანი. ეს მიტინგი, რომელშიაც 30,000 მუშა ღებულობდა მონაწილეობას, პარტიების საარჩევნო ბრძოლის კულმინაციურ პუნქტად გადაიქცა რურის ოლქში. მუშათა მასები გერმანიის კომპარტიის ბელადს მხურვალე ოვაციით და „ინტერნაციონალის" სიმღერით შეხვდნენ (ადს).

სადაო საკითხი სხვა დროისთვის გადასდვეს

ერთა ლიგის საბჭოში

ბერლინი, 10 სექტემბერი. როგორც ჟენევიდან იუწყებიან, ერთა ლიგის საბჭომ განიხილა ორი საკითხი, რომელიც ეხებოდა დანციგს, — ზემო - სილეზიის გერმანულ ეროვნულ უმცირესობათა მთელი რიგი საჩივრები და საარის ოლქის რკინის გზების საერთაშორისო დაცვის გაუქმების საკითხი.

საბჭომ დაამტკიცა დანციგის თავისუფალ სახელმწიფოს კონსტიტუციის შეცვლა. ამ ცვლილების მიხედვით დანციგის სენატის წევრთა რიცხვი საგრძნობლად მცირდება.

საარის ოლქის რკინისგზების საერთაშორისო დაცვის საკითხის განხილვის დროს ბრიანსა და კურციუსს შორის მოხდა პატარა სიტყვიერი შეტაკება, რის გამო საბჭომ დაადგინა, გადაიტანოს ეს საკითხი ერთ-ერთ უახლოეს სხდომაზე (ადს).

საბჭოთა მფრინავები სპარსეთში

თეირანი, 10 სექტემბერი. 9 სექტემბერს, 12 საათზე საბჭოთა საჰაერო ესკადრილია მშვიდობიანად დაეშვა აეროდრომზე თეირანში.

მანძილი თბილისიდან თეირანამდე (1080 კილომეტრი) ესკადრილიამ განვლო 6 საათში, რომლის დროსაც ჰქონდა ძლიერი შემხვედრი ქარი.

თბილისიდან რეშტამდე ესკადრილია მიემართებოდა პირდაპირ, მაში შემავალი აეროპლანები სერავდნენ უდაბური მთის ქედებს 3,500 მეტრის სიმაღლეზე ღრუბელთა ზევით და მათ ქვევითაც. ხშირი დაბურული ღრუბლების გამო გზაში, რეშტიდან თეირანამდე (მთის ქედები, რომელთა სიმაღლე— 4,000 მეტრამდე აღწევს, ღრუბლებით იყო დაფარული) გადაწყდა შეევლოთ ქალაქ ყაზვინში, გარს შემოევლოთ მთებისათვის და სავლელ ბაზად ამოერჩიათ მთის პატარა მდინარის ვიწრო ხეობა, აეროპლანებს მთელი ამ ხნის განმავლობაში შემჭიდროებულ მწკრივად უხდებოდათ სვლა, რომ ერთიმეორის დანახვა და გარჩევა მოეხერხებიათ. 11 საათსა და 40 წუთზე აეროპლანები მოუახლოვდნენ თეირანს.

აეროდრომზე მფრინავებს შეხვდნენ საბჭოთა კავშირის საქმეთა რწმუნებული სპარსეთში ამხ. **ლოგანოვსკი**, სპარსეთის საჰაერო ძალთა უფროსი, უცხოეთის სახელმწიფოთა საელჩოების წარმომადგენლები და საბჭოთა კოლონია.

სპარსეთის საჰაერო სარდლობამ აეროდრომზე საბჭოთა მფრინავებს საპატიო შეხვედრა გაუმართა.

თეირანში მფრინავები დარჩებიან 9 და 10 სექტემბერს, შემდეგ ისინი გაფრინდებიან ქაბულში (ადს).

დარბაზობა საბჭოთა მფრინავების პატივსაცემად

თეირანი, 10 სექტემბერი. თეირანში საბჭოთა საჰაერო ესკადრილიის ყოფნასთან დაკავშირებით, საბჭოთა სრულუფლებიან წარმომადგენლობაში გაიმართა დიდი დარბაზობა, რომელსაც დაესწრნენ სპარსეთის მთავრობის წევრები საგარეო საქმეთა მინისტრის მეთაურობით, სპარსეთის გენერალური შტაბის უფროსი, სპარსეთის ავიაციის და საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლები, ავღანისტანის და თურქეთის კონსულები.

საბჭოთა კავშირის საქმეთა რწმუნებულმა ამხ. **ლოგანოვსკიმ** მადლობა გადაუხადა სპარსეთის მთავრობას მფრინავების გულთბილად მიღებისათვის და გამოსთქვა რწმენა, რომ გადაფრენა კიდევ უფრო განამტკიცებს მეგობრულ დამოკიდებულებას სპარსეთსა და საბჭოთა კავშირს შორის.

სპარსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა წარმოსთქვა დიდი სიტყვა, რომელშიაც განაცხადა, რომ **სპარსეთის მთავრობა მეგობრული გრძნობებით არის გამსჭვალული საბჭოთა კავშირის მიმართ**, და ხაზგასმით აღნიშნა, რომ **საბჭოთა კავშირის მშვიდობის მოყვარეობა და თანაგრძნობით მოპყრობა აღმოსავლეთის ხალხებთან ხელს შეუწყობს თურქეთის, სპარსეთისა და ავღანისტანის კიდევ უფრო დაახლოვებას საბჭოთა კავშირთან.**

მისასალმებელი სიტყვა წარმოსთქვა აგრეთვე სპარსეთის გენერალური შტაბის უფროსმა.

საპასუხო სიტყვა წარმოსთქვა საბჭოთა საჰაერო ესკადრილიის უფროსმა **ინგაუნისმა.**

საღამოს საბჭოთა მოქალაქეების კლუბში მფრინავებს მიესალმა საბჭოთა კოლონია. ორატორები აღნიშნავდნენ საბჭოთა ავიაციის მიღწევებს. მფრინავებს უძღვნეს საჩუქრები—სპარსული ხელოვნების პორტსიგარები.

სამოქალაქო ავიაციის საბჭოსათვის გადასაცემად მფრინავებს ჩააბარეს ხალიჩა, რომელზედაც გამოხატულია საბჭოთა გერბი.

ესკადრილია თეირანიდან გაფრინდება 11 სექტემბერს განთიადისას (ადს).

თეირანი, 10 სექტემბერი. სპარსეთის ხელისუფლებამ საბჭოთა მფრინავების პატივსაცემად გამართა ბანკეტი, რომელსაც დაესწრნენ სპარსეთის არმიის მთავარი სარდლობის წარმომადგენლები გენერალური შტაბის უფროსის მეთაურობით და წარმომადგენლები საბჭოთა სრულუფლებიან წარმომადგენლობიდან. ბანკეტს მეტისმეტად მეგობრული ხასიათი ჰქონდა (ადს).

თეირანი, 10 სექტემბერი. თეირანში მყოფმა საბჭოთა მფრინავებმა დღეს ინახულეს სასახლის მინისტრი და შტაბის უფროსი. მფრინავებს მიესალმნენ თურქეთისა და ავღანისტანის სამხედრო ატაშეები, რომლებიც სპეციალურად გამოცხადდნენ აეროდრომზე.

თეირანის გაზეთები დიდი ყურადღებით ეკიდებიან გადაფრენას და აღნიშნავენ ესკადრილიის სტუმრად მისვლის მეგობრულ ხასიათს, აგრეთვე საბჭოთა საავიაციო მრეწველობის მიღწევებს (ადს).

უმუშევრობა კაპიტალისტურ ქვეყნებში

ბერლინი, 10 სექტემბერი. უმუშევართა რიცხვს აგვისტოს მეორე ნახევარში **28.000 კაცი შეემატა.** ამჟამად **გერმანიაში 2.876.000 უმუშევარია** (ადს).

ლონდონი, 10 სექტემბერი. ოფიციალური ცნობების მიხედვით, ინგლისში აღრიცხვაზე აყვანილ უმუშევართა რიცხვი, წარსულ კვირასთან შედარებით, 1-ლ სექტემბრისათვის **გაიზარდა 20.742 კაცით.** სულ ამ დღისათვის აღრიცხვაზე იყო აყვანილი **2.060.444 უმუშევარი, ანუ 908.184 კაცით მეტი, ვიდრე წარსული წლის 1-ლ სექტემბერს** (ადს).

პილსუდსკის სამფლობელოში

მემარცხენე - ცენტრისტული ოპოზიციის ხელმძღვანელთა დაპატიმრება

ვარშავა, 10 სექტემბერი. შინაგან საქმეთა მინისტრ **სკლადკოვსკის** განკარგულებით 10 სექტემბერს ვარშავაში დააპატიმრეს მემარცხენე ცენტრისტული ოპოზიციის თითქმის ყველა მეთაური - ხელმძღვანელები.

დაპატიმრებულია პოლონეთის სოც. პარტიის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე **ბარლიცკი**, პოლონ. სოციალ. პარტიის დეპუტატები **ლიბერმანი** და **პრაგერი**, „რაბოტნიკ"-ის რედაქტორები **დობუა, ციოლკოვსკი და მოსტეკი**, „ვიზვოლენიე"-ს დეპუტატები **ბაგინსკი და პოტეკი**, პიასტოველები — პარტიის ლიდერი **ვიტოსი** და ყოფილი შინაგან საქმეთა მინისტრი **კერნიკი**, მემარჯვენე ეროვნული მუშათა პარტიის წევრი **პოპელი**. დაპატიმრება გრძელდება.

სარწმუნო წრეებიდან იუწყებიან, რომ დაპატიმრებულია 30—40 კაცი. დაპატიმრებამ ქალაქში უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა. სასწრაფოდ გამოიცა გაზეთების სპეციალური ნომრები. დაპატიმრების შესახებ დადგენილება გამოტანილ იქნა ღამით, ცნობის მიღების შემდეგ იმის შესახებ, რომ ჩამოყალიბებულ იქნა მემარცხენე - ცენტრისტული საარჩევნო ბლოკი შემდეგ სახელწოდებით: „ხალხის უფლებათა და თავისუფლების დაცვის კავშირი" (ადს).

ვარშავა, 10 სექტემბერი. როგორც „პშეგლონდ ვეჩორნი" (პილსუდჩიკებთან ახლოს მდგომი ორგანო) იუწყება, ბრძანება მემარცხენე - ცენტრისტული ოპოზიციის ხელმძღვანელთა დაპატიმრების შესახებ გაცემულ იქნა სისხლის სამართლის კოდექსის მე-100 მუხლის საფუძველზე. ამ მუხლში ლაპარაკია არსებულ წყობილების წინააღმდეგ შეიარაღებულ გამოსვლისათვის მზადებაზე. მემარცხენე - ცენტრისტული ოპოზიცია ამზადებდა კვირისათვის დემონსტრაციას, რომელიც „ემუქრებოდა უშიშროებას და საზოგადოებრივ წესრიგს" (ადს).

დააპატიმრეს პროფკავშირთა კონფერენციის 80 დელეგატი

ვარშავა, 10 სექტემბერი. პოლიტიკურმა პოლიციამ დააპატიმრა პროფკავშირთა კონფერენციის დელეგატები. დაპატიმრებულია 80 დელეგატი (ადს).

სეიმის დეპუტატებს აეკრძალათ იარაღის ტარება

ვარშავა, 10 სექტემბერი. შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოსცა განკარგულება, რომელიც აუქმებს სეიმის დეპუტატებისათვის მიცემულ იარაღის ტარების ნებართვას. განკარგულებაში ნათქვამია, რომ უკანასკნელ დროს ადგილი ჰქონდა დეპუტატების მიერ პოლიციაში სროლის შემთხვევებს. როგორც ვიცით, პოლიციის ამ ლეგენდის მიხედვით დააპატიმრეს და საპყრობილეში ჩასვეს კომფრაქციის დეპუტატი **ჟარსკი** და ბელორუსთა მუშურ - გლეხური კლუბის წევრი **დვორჩანინი.** (ადს).

ჩხრეკა და დაპატიმრება ვილნოში

ვარშავა, 10 სექტემბერი. ვილნოში კვლავ მოხდა ჩხრეკა და დაპატიმრება. პოლიციის ცნობით, ჩხრეკის დროს აღმოჩენილ იქნა დიდი კომუნისტური არქივი და დიდძალი კომუნისტური მოწოდებები (ადს).

პილსუდსკის პასუხი სეიმის დეპუტატების წინააღმდეგ წამოყენებულ ბრალდებაზე

ვარშავა, 10 სექტემბერი. **პილსუდსკის** უკანასკნელ ინტერვიუსთან დაკავშირებით, რომელშიაც ის სეიმის დეპუტატებს ბრალს სდებდა მექრთამეობაში, მთელი რიგი ოპოზიციონური გაზეთები იტყობინებიან, რომ სახელმწიფო ხაზინამ პიკელიშკის მამულში დახარჯა რამდენიმე ასი ათასი ზლოტი და აჩუქა ეს მამული პილსუდსკის. კანონით ყველაზე უდიდესი მიწის ნორმა, რაც შეიძლება მიეცეს არმიის დამსახურებულ მოხელეს, უდრის 45 ჰექტარს. პიკელიშკის ფართობი კი უდრის 300 ჰექტარს (ადს).

ბრძოლა ჩინეთში

წითელმა ჯარმა დაიპყრო ქალაქი შაში

პარიზი, 10 სექტემბერი. „ინდოპასიფიკ"-ის საგენტოს შანხაელი კორესპონდენტი იუწყება, რომ **წითელმა ჯარმა დაიკავა ქალაქი შაში,** რომელიც მდებარეობს მდინარე იანცზიზე სამხრეთ ხუბეიში. წითელმა ჯარმა დაიკავა აგრეთვე სხვა რამდენიმე ქალაქი იანცზის ზემო ნაწილში (ადს).

მანჯურიის ლიდერების თათბირი

ტოკიო, 10 სექტემბერი. ხარბინიდან მიღებული ცნობით, 9 სექტემბერს მუკდენში მოწვეულია მანჯურიის ლიდერების თათბირი იმ მდგომარეობის განსახილველად, რომელიც შეიქმნა პეკინში ჩრდილოეთის მთავრობის შედგენის შემდეგ. მუკდენის პრესა თათბირს დიდ მნიშვნელობას აძლევს.

იაპონური გაზეთი „შინ ძინ ში ბაო" კომენტარიებს უკეთებს თათბირს და სწერს: მუკდენის ძველი დაჯგუფება, რომელსაც ახსოვს ჩინეთ - საბჭოთა კონფლიქტის გაკვეთილები, შეეცდება ნეიტრალიტეტის შენარჩუნებას.

ჩან სიუე-ლიანმა დეპეშით აცნობა ენ სი-შანს, რომ ის უარს ამბობს ჩრდილოეთის მთავრობაში მონაწილეობაზე.

ჩრდილოეთის მთავრობის შედგენასთან დაკავშირებით ენ სი-შანმა განაცხადა, რომ მთელი სამხედრო საქმეების ხელმძღვანელობა გადაეცემა **ფინ იუი-სიანს. ჩან კაი-ში ჩამოგდებული იქნება ოქტომბრის დადგომამდე** (ადს).

წითელი არმიების მოძრაობა

შანხაი, 10 სექტემბერი. კომუნისტურ არალეგალურ გაზეთს „ხუნცი ბაო"-ს მოჰყავს მთელი რიგი ცნობები წითელი არმიების შემდგომი მოძრაობის შესახებ სხვადასხვა პროვინციებში. **ლიანჩენის მაზრა, ფუძიანის დასავლეთით, დაკავებულია წითელი არმიის მიერ. ლიანშუს მაზრის მრავალი რაიონებიც ძიანსუს პროვინციაში დაიკავა წითელმა არმიამ.** დაკავებულია აგრეთვე იუნძის და შიკონის მაზრების ყველა სოფლები გარდა სამაზრო ქალაქებისა. ჩეძიანის პროვინციაში უკანასკნელად თავი იჩინა გლეხთა აჯანყებების შეუნელებელმა ზრდამ ჩეძიანის პროვინციის შუაგულ ნაწილებში. ადგილობრივი გლეხთა რაზმები განმტკიცდნენ როგორც თვისებით, ისე რაოდენობითაც. კომუნისტების გავლენა მათ შორის მეტად ძლიერია. **წითელმა არმიამ დაიპყრო პენხეს მაზრა გუანდუნისა და ფუძიანის პროვინციების საზღვარზე და განაიარაღა ადგილობრივი ჯარები** (ადს).

იმპერიალისტების თვალთმაქციური განცხადება

ლონდონი, 10 სექტემბერი. ინგლისის პრესამ გამოაქვეყნა ცნობა იმის შესახებ, რომ ინგლისის, ამერიკის და იაპონიის ნაღმოსნები ესროდენ ჩინეთის წითელ არმიას მდინარე იანცზიზე. გაზეთები ცდილობენ გაერთიანებული ინტერვენციის ეს ფაქტი დახატონ, როგორც „თავდაცვის აქტი" უცხო სახელმწიფოების ნაღმოსნების მხრით, რომლებსაც, თითქოს, სროლა აუტეხეს კომუნისტებმა (ადს).

მუშათა მოძრაობის გაძლიერება ნანკინში

შანხაი, 10 სექტემბერი. როგორც კომუნისტური არალეგალური გაზეთი „ხუნცი ში ბაო" იტყობინება, ნანკინის ხელისუფლებას მეტად აფიქრებს **მუშათა მოძრაობის გაძლიერება ნანკინში.** ნანკინის გარნიზონის ყაზარმაში კომუნისტური პროკლამაციების აღმოჩენასთან დაკავშირებით დაპატიმრებულია რამდენიმე ათეული ჯარისკაცი. ტელეგრაფის მუშებს შორის შექმნილ მღელვარების გამო, რომლებიც გაფიცვისათვის ემზადებიან, ნანკინის ხელისუფლებამ შეიპყრო ტელეგრაფის მთელი რიგი მომუშავეები, რომელთაგან სამს დაუყოვნებლივ თავი მოჰკვეთეს (ადს).

წითელი ნაწილები შაშის მიდამოებში

ბერლინი, 10 სექტემბერი. სიმბუნ რენგოს საგენტო იტყობინება, რომ წითელი ნაწილები უკვე შაშის მიდამოებში იმყოფებიან. **ხანკოუში საალყო წესები შემოიღეს** (ადს).

„პან-ევროპის" შექმნის ცდა დამარცხდა

იტალიის პრესის გამოძახილი

რომი, 10 სექტემბერი. მთელი იტალიის პრესა ხაზგასმით აღნიშნავს სრულ მარცხს, რომელიც პან-ევროპის კონფერენციაზე ჟენევაში **ბრიანმა** და მისმა ევროპის სახელმწიფოთა ფედერაციის შექმნის გეგმამ განიცადა.

ტურინში გამომავალი გაზეთი აღნიშნავს, რომ **მრავალრიცხოვანი დათმობების შემდეგ დიდი პროექტისაგან დარჩა მხოლოდ დროებითი კომიტეტი საკითხის შესასწავლად.** კომიტეტი იქნება ერთა ლიგის სრულ მორჩილებაში და ძალიან საეჭვოა, რომ მისმა მუშაობამ დადებითი შედეგები გამოიღოს (ადს).

ფაშისტების თარეში ფინეთში

სოციალ-დემოკრატებსაც აღარ ინდობენ

ჰელსინგფორსი, 10 სექტემბერი. ის სრული დაუსჯელობა და თითქმის აშკარა მფარველობაც კი, რასაც ფინეთის ხელისუფლება ფაშისტებისადმი იჩენს, ამ უკანასკნელთ აქეზებს ახალი „საგმირო" საქმეების ჩადენისათვის.

ტამერფორსში ფაშისტები შეეცადნენ მუნიციპალიტეტის მემარცხენე წევრის **რენკფორსის** გატაცებას. ისინი შეიჭრნენ რენკფორსის ბინაში, შეიპყრეს ის და რამდენიმეჯერ სილა გააწნეს. ყვირილის გაგონებაზე მოცვივდნენ მუშები და რენკფორსი გაანთავისუფლეს. თავდამსხმელები მიიმალნენ.

ფაშისტები არ ზოგავენ სოციალ-დემოკრატებსაც კი. კურსევარში ფაშისტებმა შეიპყრეს, სცემეს და შემდეგ ტყეში დასტოვეს სოციალ-დემოკრატი **ნიუტიხენი.** მთელ რიგ ადგილებში ფაშისტები ცხადდებოდნენ სოციალ-დემოკრატების მიერ გამართულ კრებებზე და უკრძალავდნენ სოციალ-დემოკრატ ორატორებს სალაპარაკოდ გამოსვლას. უკანასკნელნიც ემორჩილებოდნენ. ვიბორგში ფაშისტებმა ინახულეს გუბერნატორი და მოსთხოვეს მას სოციალ-დემოკრატიული საზოგადოების დახურვა. (ადს).

ხანძარი პირეის ნავთსადგურში

ათინა, 10 სექტემბერი. პირეის ნავთსადგურში დაიწვა 15 იალქნიანი ხომალდი და ერთი დიდი გემი, რომლის წყალწყვა 4 ათას ტონას უდრიდა. **ზარალი რამდენიმე ათეულ მილიონ დრახმს უდრის** (დრახმა— 2,5 კაპეიკია). ადამიანის მსხვერპლთა რიცხვი ჯერჯერობით აღნუსხულია 20 კაცის რაოდენობით.

ნავთსადგურის უნიტარულმა პროფკავშირებმა მთავრობას წარუდგინეს მოთხოვნა დაღუპულთა ოჯახების უზრუნველყოფის შესახებ (ადს).

ფილოსოფოსების საერთაშორისო კონგრესი

ლონდონი, 10 სექტემბერი. ოქსფორდში დამთავრდა ფილოსოფოსების საერთაშორისო ყრილობა. ფილოსოფოსების საერთაშორისო გაერთიანების აღმასკომის შემადგენლობაში საბჭოთა კავშირიდან არჩეულ იქნენ **ლუნაჩარსკი და ლუპოლი** (ადს).

მიეცით ბამბა საფეიქრო ფაბრიკებს

მოსკოვი, 11 სექტემბერი. 11 სექტემბრის „პრავდა"-ში მოთავსებულია შემდეგი წერილი: „მიმდინარე წლის სამრეწველო - საფინანსო გეგმის შესრულებისა და ხუთწლედის მესამე წლის პროგრამის შესრულების ამოცანა დაბეჯითებით მოითხოვს მუშებისათვის სამრეწველო საქონლის მიწოდების გაუმჯობესებას. აქედან გამომდინარეობს საფეიქრო მრეწველობის პროდუქციის ზრდის დაჩქარების ამოცანა. „მძიმე ინდუსტრიის განვითარების წარმატებანი და სასოფლო-სამეურნეო სანედლეულო ბაზის ზრდა (ნათესი სივრცეების გაფართოება, ბამბის, ჭარხლის და მთელი რიგი სხვა ტექნიკური კულტურების გადიდებული მოსავალი) უზრუნველჰყოფს მსუბუქი მრეწველობის ზრდის ბევრად უფრო მაღალ ტემპს, ვიდრე წინა წლებში" (საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის მიმართვა).

მიმდინარე წელს ჩვენ შეგვიძლია შარშანდელზე ბევრად მეტი ბამბა ავკრიფოთ. ბამბის ნათესი ფართობი გადიდდა და მოსავლიანობამ იმატა. დაკვრითი ამოცანებია: მთლიანად ავკრიფოთ ბამბის მოსავალი და შევასრულოთ პურის დამზადების გეგმა.

ამ ამოცანების შესრულებას დიდი სიძნელეები ელობება. ყოველ წელიწადს დიდძალი ბამბა აუკრეფელი რჩება და თოვლ ქვეშ იღუპება. ყოველ წელიწადს ბამბის 6-8 პროცენტი ადგილზე რჩება, კონტრაქტაციის ხელშეკრულებები არ სრულდება (ბამბის სასაქონლო პროდუქციის ზრდა უფრო ნელა მიმდინარეობს, ვიდრე ნათესი ფართობის ზრდა).

მიმდინარე წელს ბამბის მოსავლის აკრეფის სიძნელეებს ადიდებს მუშახელის თვალსაჩინო ნაკლებობა. ბაიები იყენებენ საქონლის ნაკლებობას, ენერგიულ აგიტაციას ეწევიან დეჰკანებს შორის და აქეზებენ მათ არ იჩქარონ ბამბის აკრეფა და არ მიჰყიდონ იგი სახელმწიფოს. ჯერ კიდევ სუსტად მუშაობს ბამბის დასამზადებელი აპარატი. მებამბეობის კოოპერაციის ორგანოებში შეპარულნი არიან უცხო ელემენტები. ხშირია ისეთი ფაქტები, როდესაც შესყიდული ბამბა დაუდევრად შენახვის გამო შესასყიდ პუნქტებზე წვიმაში ლპება.

მებამბეობის რაიონების პარტორგანიზაციებს დაკისრებული აქვთ საპასუხისმგებლო და უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობის ამოცანა — უზრუნველჰყონ ნედლეულით საფეიქრო მრეწველობა და ამით ხელი შეუწყონ მუშებისათვის სამრეწველო საქონლის მიწოდების გაუმჯობესებას და ხუთწლედის მესამე წლის პროგრამის შესრულებას.

კლასობრივი მტერი მთელი თავისი ძალღონით ცდილობს ჩაშალოს ბამბის აკრეფის კამპანია. უნდა გავშალოთ ფართო ახსნა-განმარტებითი მუშაობა შუა აზიის დეხკანებსა და მებამბეობის ახალი რაიონების კოლმეურნეთა და ინდივიდუალურ მეურნეთა შორის, რათა აღვკვეთოთ ბაიების აგიტაცია.

შუა აზიის, ამიერ-კავკასიის, ჩრდილოეთ - კავკასიის და მებამბეობის სხვა რაიონების პარტორგანიზაციებმა უნდა მისცენ ბამბა საფეიქრო ფაბრიკებს და დაამტკიცონ, რომ ისინი ნამდვილად იბრძვიან ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის მიმართვის ცხოვრებაში გატარებისათვის, ხუთწლედის მესამე წლის პროგრამის შესრულებისათვის".

დირიჟაბლი „გრაფ ცეპელინ"-ი

გაფრინდა მოსკოვიდან

მოსკოვი, 11 სექტემბერი. დირიჟაბლი „გრაფ ცეპელინი" მოსკოვის თავზე გამოჩნდა 10 სექტემბერს, დილის 10 საათზე და მთელი 2 საათის განმავლობაში იფრინა ქალაქის ირგვლივ. დირიჟაბლს განუშორებლად დაჰყვებოდა ორი საავიაციო რაზმი აგრეთვე რამდენიმე მსუბუქი და მძიმე ჰაეროპლანი, რომლებშიც იმყოფებოდნენ კორესპონდენტები, კინო-ოპერატორები და ფოტოგრაფები. 11 საათსა და 50 წუთზე დირიჟაბლმა იწყო დაშვება აეროდრომზე, სადაც თავი მოიყარა 60 ათასამდე მაყურებელმა. დაშვების პროცედურა დამთავრდა სრულ 12 საათზე. დირიჟაბლის ჩამომშვები რაზმი სწრაფად ასრულებდა ყველა ბრძანებებს, რომლებიც მოდიოდა დირიჟაბლის უფროსის დოქტორ **ეკკნერის** კაბინიდან. დაშვებას დაესწრნენ საბჭოთა კავშირის რევოლუციონურ სამხედრო საბჭოს უფროსი ამხ. **ბარანოვი**, თავდაცვა-ავიაქიმის დირიჟაბლის მიმღები კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. **მალინოვსკი** და სხვა.

ეკკნერმა მადლობა განაცხადა გულთბილი მიღებისათვის. „ჩემთვის,—სთქვა მან,— განსაკუთრებით სასიამოვნოა გაჩვენოთ გერმანიის ავიაციის მიღწევები, ვინაიდან ყველამ კარგად იცის, თუ როგორის ყურადღებით ადევნებენ თვალს საბჭოთა კავშირში მცხოვრები ერები ტექნიკის უკანასკნელ მიღწევებს".

4 საათსა და 30 წუთზე დოქტორ ეკნერი და მისი თანამგზავრები გამოეთხოვნენ ამხ. ბარანოვს, მუკლევიჩს, ფონტკარდოვსკის და სხვებს და ავიდნენ დირიჟაბლზე.

დირიჟაბლი წყნარად მიიწევს მაღლა და მას თან მისდევს 15 საბჭოთა აეროპლანი. გაისმის დამსწრეთა საერთო ტაშის ცემა. დირიჟაბლი გაემართა დასავლეთისაკენ.

მოსკოვიდან ფრიდრიხსჰაფენამდე დირიჟაბლს მიჰყვებიან საბჭოთა ინჟინრები და მფრინავები ამხ. **ლატუგინი** და **აისბერგი.** დირიჟაბლმა მოსკოვიდან წაიღო 60 კილო ფოსტა (ადს).

ღონისძიებები რაციონალიზატორული მუშაობის გასაუმჯობესებლად

რაციონალიზაციის სამმართველოები

მოსკოვი, 11 სექტემბერი. საკ. კ. პ. (ბ) ცენტრ. საკონტროლო კომისიის და მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატის კოლეგიის გაერთიანებულ სხდომაზე მიღებულ იქნა ვრცელი დადგენილება რაციონალიზატორული მუშაობის შესახებ მრეწველობაში.

საბჭოთა კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების ს. მ. უ. საბჭოებთან, ტრესტებთან და საწარმოებთან უნდა გაიხსნას რაციონალიზაციის დამოუკიდებელი სამმართველოები.

ასეთივე ტიპის ორგანოები რაციონალიზაციის დარგისათვის უნდა გაიხსნას გზათა სახალხო კომისარიატის, მიწსახკომის, ვაჭრობის სახალხო კომისარიატის, ცენტროსოიუზის და სხვა საწარმოებთან.

სამეურნეო ორგანოებმა,—ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობის ქვეშ, ერთი თვის განმავლობაში უნდა დაამთავრონ რაციონალიზატორული ორგანოების სისტემის შევსება კვალიფიციური მუშაკებით.

რაციონალიზატორულ მუშაობაზე გადაყვანილ უნდა იქნას ყველაზე უფრო გამოცდილი ოპერატიული მუშაკები, საბჭოთა კავშირში მომუშავე უცხოელი სპეციალისტები და დაწინაურებულები, განსაკუთრებით დამკვრელთაგან.

შრომის სახალხო კომისარიატმა და საკავშირო პროფსაბჭომ ერთი თვის განმავლობაში უნდა გადასინჯონ რაციონალიზატორების სატარიფო განაკვეთი. ადმინისტრატიულ-სამეურნეო ხარჯების შემცირების დროს რაციონალიზაციის ორგანოების შტატი და ფონდი ხელუხლებელი უნდა დარჩეს.

რაციონალიზატორთა კადრების მოსამზადებლად მიმდინარე სასწავლო წლიდან უნდა გაიხსნას უმაღლეს სასწავლებლებში სათანადო განყოფილებები და კურსები. საჭიროა რაციონალიზაციის ელემენტარული კურსის სწავლება მოეწყოს ყველა საშუალო სასწავლებლებსა, საფაბრიკო-საქარხნო სკოლებსა და შვიდწლედებში.

„სოციალისტური რაციონალიზაციის წინააღმდეგ მიმართული ყოველგვარი მოქმედება,—ნათქვამია დადგენილებაში,—უნდა ჩაითვალოს... (გამოტოვებულია) (ადს).

მოსკოვი

(ტელეგრაფით საკუთარი კორესპონდენტისაგან)

ბრძოლა საწარმოო-საფინანსო გეგმების შესრულებისათვის

მოსკოვი, 11 სექტემბერი. საკავშირო პროფსაბჭომ და გაზეთმა „ტრუდ"-მა, მოაწყვეს სამი ბრიგადა, რომელიც თვალყურს ადევნებს ჩამორჩენასთან ბრძოლის ერთთვიურს და მზადებას ახალი სამეურნეო წლისათვის. ბრიგადები იმუშავებენ მოსკოვის 18 საწარმოში. საკავშირო პროფსაბჭომ და „ტრუდმა" დააწესეს აგრეთვე განსაკუთრებული მეთვალყურეობა საბჭოთა კავშირის 90 მნიშვნელოვან ქარხანაზე და მაღაროზე.

პროლეტარული სტუდენტობა მხურვალედ გამოეხმაურა ცეკას მოწოდებას

მოსკოვი, 11 სექტემბერი. საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას მოწოდებასთან დაკავშირებით, საინჟინრო-ეკონომიური ინსტიტუტის კომუნისტმა სტუდენტებმა წამოაყენეს მუშაობის ახალი ძვირფასი მეთოდები. პარტუჯრედმა მოაწყო სტუდენტების ბრიგადა, რომელიც გაგზავნა რაიკომის განკარგულებაში — მონაწილეობის მისაღებად საწარმოო-საფინანსო გეგმების შესრულებაში. ახალგაზრდობის საერთაშორისო დღეს კომკავშირელმა სტუდენტებმა მობილიზაციაქმნილად გამოაცხადეს თავი საწარმოო - საფინანსო გეგმების შესრულებისათვის საბრძოლველად. კომუნისტ და კომკავშირელ სტუდენტების მსგავსად მობილიზაციაქმნილად აცხადებს თავს უპარტიო სტუდენტობაც, რომელმაც შექმნა ბრიგადები და გადასცა პარტუჯრედს. პარტიული ბიურო ახდენს გამოცდილ მუშა - სტუდენტების მობილიზაციას ბრიგადებთან ერთად სამუშაოდ უშუალოდ საწარმოებში სექტემბრის 20 გადამწყვეტი დღის განმავლობაში.

„კომსომოლსკაია პრავდა" მთლიანად უჭერს მხარს ადგილების მიერ წამოყენებულ წინადადებას სტუდენტთა მობილიზაციის შესახებ და წინადადებას აძლევს მსხვილი ცენტრების მოსწავლეებს — ჩაატარონ მობილიზაცია იმ საწარმოებში სამუშაოდ, რომლებიც მუშა-ხელის ნაკლებობას განიცდიან.

საწარმოო - ამხანაგური სასამართლოები

მოსკოვი, 11 სექტემბერი. საკავშირო პროფსაბჭომ დაამტკიცა დებულება საწარმოო - ამხანაგური სასამართლოების შესახებ იმ საწარმოებში, სადაც 100-ზე მეტი კაცი მუშაობს. სასამართლოების მთავარი ამოცანაა — ბრძოლა წარმოების დეზორგანიზატორებთან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯულფა-ბაქოს რკინის გზის მშენებლობის მდგომარეობის შესახებ

(საქ. კ. პ. (ბ) ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის 1930 წლის 6 სექტემბრის დადგენილება)

საქ. კ. პ. (ბ) ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტმა მოისმინა მოხსენება ჯულფა-ბაქოს რკინის გზის მშენებლობის მდგომარეობის შესახებ. საოლქო კომიტეტი აღნიშნავს, რომ ჯულფა-ბაქოს რკინის გზის მშენებლობის ხელმძღვანელობისადმი „ზაკჟელდორსტროი“-ს დანაშაულებრივ დაუდევარი დამოკიდებულებისა და ამ მშენებლობისათვის სათანადო პარტიული და პროფესიონალური ორგანიზაციების მხრივ სათანადო ყურადღების მიუქცევლობის გამო, ამ რკინის გზის მშენებლობა აშკარად არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს, რასაც მოწმობენ შემდეგი ფაქტები:

1. სრულიად არადამაკმაყოფილებელია „ზაკჟელდორსტროი“-ს ხელმძღვანელობა ჯულფა-ბაქოს რკინის გზის მშენებლობის მიმართ, რაც აიხსნება ხელმძღვანელთა ხშირი შეცვლით, „ზაკჟელდორსტროი“-ს აპარატის მოუქნელობით, მისი ბიუროკრატიული ხასიათით, აპარატში უცხო ელემენტების არსებობით, მშენებლობისაგან მისი სრული მოწყვეტით, საკითხების ფორმალურ-ბიუროკრატიულად გადაწყვეტით, აგრეთვე მშენებლობის მიმდინარეობის მიმართ საინსპექტორო ზედამხედველობის არ არსებობით.

„ზაკჟელდორსტროი“-ს აპარატისა და ხელმძღვანელობის ასეთი სრულიად შეუწყნარებელი მდგომარეობა წარმოადგენს მშენებლობაზე შექმნილი იმ მდგომარეობის ძირითად და გადამწყვეტ მიზეზს, რომელიც ჩაშლას უქადის 1929—30 წლის საამშენებლო გეგმას.

2. მიმდინარე წლის საწარმოო გეგმა შესრულებულია მხოლოდ 52 პროცენტით; უბნებზე არ არსებობს საორიენტაციო-საწარმოო პროგრამები და ცნობები 1930-31 წლისათვის საჭირო მასალებისა და ინსტრუმენტების რაოდენობის შესახებ, მოთხოვნები 1930-31 წლისათვის საჭირო მასალებზე წარდგენილია გზათა სახალხო კომისარიატში 1 ნახ.—2 თვის დაგვიანებით დაწესებულ ვადებთან შედარებით, რაც იწვევს იმის შიშს, რომ მომავალი საამშენებლო წლისათვის მომზადება თავის დროზე არ მოხდება.

3. ვინაიდან თავის დროზე არ იყო მიღებული ზომები და არ არსებობდა მუშახელთა და ინჟენერ-ტექნიკოსთა პერსონალით უზრუნველყოფის გეგმა, მშენებლობა სათანადოდ არ არის უზრუნველყოფილი მუშებითა და სპეციალისტებით. ადგილი აქვს შემადგენლობის დიდ ცვალებადობას მშენებლობის მუშებსა და ინჟენერ-ტექნიკოსთა პერსონალს შორის.

ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მიზეზს იმ გარემოებისას, რომ მშენებლობა უზრუნველყოფილი არ არის მუშა ხელით, წარმოადგენს: შუა ვოლგის მხარეში მუშების მიკრების შემთხვევითი ხასიათი და უგეგმობა, აგრეთვე მშენებლობაში მკვიდრი მოსახლეობიდან გამოსული მუშების არასაკმაოდ ჩაბმა, რაც აიხსნება ამ საქმისადმი დიდმპყრობელურ-ჩინოვნიკური, გულგრილი დამოკიდებულებით „ზაკჟელდორსტროი“-ს მთელი რიგი პასუხისმგებელი მუშაკების მხრივ.

4. ბიუროკრატიულ-გულგრილი და უპასუხისმგებლო დამოკიდებულება მუშებისათვის პირველი საჭიროების საგნების მიწოდების მოგვარებისადმი, თვითნებობა და უსისტემობა დეფიციტიანი საქონლის გაცემაში, ადგილობრივი კოოპერატიული ორგანიზაციების სრული უინიციატივობა და მოუქნელობა, კოოპერატიული დახმარების შეუფარდებლობა ახლად გასაყვან გზაზე მუშაობის სპეციფიურ პირობებთან და საზოგადოებრივი კვების ორგანიზაციის სრულიად არ არსებობა.

მუშებისათვის სპეცტანსაცმლისა და ფეხსაცმლის სრულიად არადამაკმაყოფილებელი მიწოდება, რაც თითქმის მშენებლობას უდრის და რაც იწვევს მუშა ხელის წასვლას, უნაყოფო გაცდენას და შრომის ნაყოფიერების შემცირებას.

მუშათა ყოფაცხოვრების მძიმე პირობები, სამკურნალო დახმარების სუსტად მოგვარება და მუშების გასაჯანსაღებლად პროფილაქტიური ზომების სრულებით არ მიღება, მედიკამენტების ნაკლებობა, განსაკუთრებით ქინაქინის უქონლობა, რაც არაფრით არ შეიძლება გამართლებულ იქნას იმ რაიონებში, რომლებშიაც მეტად გავრცელებულია მალარია.

5. პარტიული ხელმძღვანელობის არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა, რასაც მოწმობს ის, რომ თავის დროზე არ იყო მიღებული გაფრთხილება მშენებლობაზე შექმნილი მდგომარეობის შესახებ, დაგვიანებით დაისვა ეს საკითხი ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის წინაშე, მუშები ჩაბმულნი არ არიან მშენებლობის საწარმოო ცხოვრებაში, სუსტია კომუნისტური ფენა მუშებს შორის, მუშები საკმაოდ არ არიან ჩაბმულნი პარტიაში, არ სწარმოებს მუშაობა თვით პარტიის წევრთა პოლიტიკური დონის ასამაღლებლად.

პარტიული მუშაობის სისუსტე თვალსაჩინოდ აიხსნება პარტიული ხელმძღვანელობის იმ არასწორი სისტემით, რომელსაც ანხორციელებს ა. კ. პ. (ბ) ბაქოს ორგანიზაციის სადგურის გადაღმა სარაიონო კომიტეტი ბაქოს ქვერაიკომის საშუალებით. ამან გამოიწვია ის, რომ ვინაიდან სადგურის გადაღმა სარაიონო კომიტეტს ორგანიული კავშირი არ ჰქონდა მშენებლობასთან და დაშორებული იყო მას, უზრუნველყოფილი ვერ იყო ჯეროვანი ხელმძღვანელობა და ამიტომ ა. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ყურადღებას ვერ აქცევდა მშენებლობას.

ამასთან ერთად ქვერაიკომი მოწყვეტილი იყო მეოთხე უბნის უჯრედს.

6. მშენებლობის მეოთხე უბანზე პროფორგანიზაციის ფაქტიურად არ არსებობა და პროფესიონალური მუშაობის არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა დანარჩენ უბნებზე, რაც აიხსნება სრული მოწყვეტით მშენებლობისაგან და აზერბეიჯანის ს. ს. რ. მშენებელთა კავშირის ცენტრალური გამგეობის გულგრილი დამოკიდებულებით მშენებლობისადმი.

პარტიული და პროფესიონალური მუშაობის ასეთი მდგომარეობის გამო ადგილი აქვს არაჯანსაღ მოვლენებს მუშებს შორის, სოციალისტური შეჯიბრების ფაქტიურად არ არსებობას (მე-4 უბანი), შრომის დისციპლინის დაცემას, მტაცებლობას, ანტაგონიზმის ელემენტებს სხვადასხვა ეროვნების მუშებს შორის.

ვინაიდან ჯულფა-ბაქოს რკინის გზის მშენებლობის მდგომარეობა მოითხოვს „ზაკჟელდორსტროი“-ს და სათანადო პარტიული, პროფესიონალური და კოოპერატიული ორგანიზაციების მუშაობის ძირიანად გარდაქმნას, საქ. კ. პ. (ბ) ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტი ადგენს:

1. დაევალოს ამიერ-კავკასიის საოლქო საკონტროლო კომისიას და მუშგლეხინს დაუყოვნებლივ შეამოწმოს „ზაკჟელდორსტროი“-ს აპარატის პირადი შემადგენლობა და მისი მუშაობის მთელი სისტემა იმ თვალსაზრისით, რომ უზრუნველყოფილ იქნას ჯულფა-ბაქოს რკინის გზის მშენებლობის გეგმის, აგრეთვე სხვა მშენებლობათა გეგმის შესრულება. ამასთან საჭიროა სახელმძღვანელოდ მიღებულ იქნას „ზაკჟელდორსტროი“-ს მეტის მეტად გაბერილი აპარატის მაქსიმალურად შემცირება, მისი გადაჭრით გაწმენდა ყველა მუშაობის უუნარო, უვარგისი და უცხო ელემენტებისაგან და „ზაკჟელდორსტროი“-ს გადაჭრით დაახლოვება ახალ მშენებლობებთან.

2. დაევალოს ამიერ-კავკასიის მუშგლეხინს უსასტიკეს პასუხისგებაში მისცეს ის პირები, ვისაც ბრალი მიუძღვის 1929-30 წლის მშენებლობის გეგმის შეუსრულებლობაში, მუშების სპეცტანსაცმლით დაუკმაყოფილებლობაში და 1930-31 წლის მშენებლობისათვის მზადების გაშლის შეფერხებაში.

წინადადება მიეცეს საქ. კ. პ. (ბ) ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის განმანაწილებელ განყოფილებას უმოკლეს ვადაში შეავსოს „ზაკჟელდორსტროი“-ს აპარატი კვალიფიციური პარტიული კადრებით

3. დაწინაურებულ იქნას „ზაკჟელდორსტროი“-ს უფროსის მოადგილის თანამდებობაზე ჯულფა-ბაქოს რკინის გზის მშენებლობაში სამუშაოდ ჯულფა-ბაქოს რკინის გზის ქვერაიკომის მდივანი მუშა ამხ. ხუდაზაროვი, რომელსაც დაევალოს მუდმივად ყოფნა მშენებლობის ადგილზე.

ხელმძღვანელობის იგივე სისტემა მიღებულ იქნას შავი ზღვის რკინის გზის მშენებლობის მიმართ ხელმძღვანელობაშიაც.

წინადადება მიეცეს ა. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს, ამხ. ხუდაზაროვის სხვა სამუშაოზე გადაყვანასთან დაკავშირებით, დაუყოვნებლივ დააწინაუროს მის ადგილზე კვალიფიციური მუშაკი.

4. წინადადება მიეცეს „ზაკჟელდორსტროი“-ს:

ა) შეადგინოს არა უგვიანეს ა. წ. 20 სექტემბრისა მშენებლობის სწორი გეგმა წარმოების ვადების და თვითეულ ცალკე სამუშაოს დამთავრების აღნიშვნით და სამრეწველო-საფინანსო გეგმა მიიყვანოს მუშათა ფართო მასამდე.

ბ) საამშენებლო სამუშაოთა შემოდგომის სეზონის ჩაშლის თავიდან აცილების მიზნით, შეადგინოს 20 სექტემბრისათვის ა.-კ. შრომის სახ. კომისარიატთან ერთად მშენებლობის საჭირო მუშა-ხელით და საინჟენერო-ტექნიკური პერსონალით უზრუნველყოფის გეგმა, ამასთან მაქსიმალურად იქნას ჩაბმული მშენებლობაში მუშები მკვიდრი მოსახლეობიდან.

5. მიეთითოს ა.კ. შრომის სახ. კომისარს ამხ. რაგიმოვს, რომ იგი ფორმალურად ეკიდებოდა „ზაკჟელდორსტროი“-ს საჭიროების დაკმაყოფილებას და არ ღებულობდა თავის დროზე ზომებს მშენებლობის მუშახელით უზრუნველსაყოფად.

6. დაევალოს „ზაკჟელდორსტროი“-ს დაუყოვნებლივ მიიღოს ზომები მუშების ეხლანდელი შემადგენლობის უზრუნველსაყოფად სპეცტანსაცმლით და ფეხსაცმლით, რისთვისაც ა.-კ. ვაჭრობის სახ. კომისარიატმა სასწრაფოდ გამოყოს შესაფერი საქონლის საჭირო რაოდენობა.

შესრულების ვადა—7 დღე.

7. წინადადება მიეცეს „ზაკჟელდორსტროი“-ს და ა.-კ. რკინის გზების ჯანმრთელობის განყოფილებას დაუყოვნებლივ უზრუნველყონ მშენებლობის უბნები კვალიფიციური საექიმო მუშაკებით, მედიკამენტებით და განსაკუთრებით ქინაქინით, ამასთან გაძლიერდეს პროფილაქტიური ზომები მუშების მალარიის დაავადების წინააღმდეგ.

ამავე დროს „ზაკჟელდორსტროი“-მ და აზერბეიჯანის მშენებელ მუშების კავშირის ცენტრალურმა გამგეობამ აღმოფხვრან მუშების ყოფა-ცხოვრებითი მომსახურების დეფექტები და მიიღონ ზომები ბინების, სამრეცხაოების, აბანოების, სასადილოების, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების მშენებლობისათვის და ადუღებული სასმელი წყლით მოსამარაგებლად.

8. მუშათა მომარაგების გასაუმჯობესებლად გატარდეს შემდეგი ღონისძიებები:

ა) ცნობილ იქნას აუცილებლად ჯულფა-ბაქოს რკინის გზის და შავი ზღვის რკინის გზის ჩარიცხვა იმ ახალ მშენებლობათა სიაში, რომლებიც მუშების მომარაგების მხრით განსაკუთრებულ მდგომარეობაში იმყოფებიან;

ბ) მოეწყოს ახალ მშენებლობაში საკუთარი კოოპერატივი, რომელიც უშუალოდ დაექვემდებარება „ზაკხოიუზ“-ს.

გ) მოეწყოს მშენებლობის მთავარ პუნქტებში საზოგადოებრივი სასადილოები, ხოლო იმ ადგილებში, სადაც მუშები არიან დაგროვილი— ფარდულები და უზრუნველყოფილ იქნას მათი შეუფერხებლად მომარაგება საქონლით და საკვები პროდუქტებით.

9. მეოთხე უბანში მუშათა მომარაგების ჩაშლისათვის მიცემულ იქნან პასუხისგებაში „ზაკხოიუზ“-ის ნახიჩევანის განყოფილება და ნახიჩევანის მთლიანი სამომხმარებლო საზოგადოების გამგეობა.

საყვედური გამოეცხადოს „ზაკხოიუზ“-ის გამგეობის ფრაქციას ჯულფა-ბაქოს რკინის გზაზე მუშათა მომარაგების საკითხებისადმი უყურადღებობისათვის.

წინადადება მიეცეს საქ. კ. პ. (ბ) ა.-კ. საოლქო კომიტეტის განმანაწილებელ განყოფილებას სადეკადო ვადაში შეამოწმოს და შეისწავლოს „ზაკხოიუზ“-ის პასუხისმგებელ მუშაკების შემადგენლობა და მიიღოს ზომები „ზაკხოიუზ“-ის ხელმძღვანელობის განსამტკიცებლად.

10. წინადადება მიეცეს აზერბეიჯანის კომპარტიის (ბ) ცენტრალურ კომიტეტს:

ა) გარდაქმნას პარტხელმძღვანელობის არსებული სისტემა, რათა აზერბეიჯანის კომპარტიის (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა უშუალოდ გაუწიოს ხელმძღვანელობა მთელ პარტიულ მუშაობას ჯულფა-ბაქოს რკინის გზის მშენებლობაში.

ბ) გამოყოს 5 კვალიფიციური პარტმუშაკი მაინც ქვედა საფეხურის სამუშაოს მუდმივ საწარმოებლად მშენებლობის ადგილზე;

გ) პარტგანათლების გაძლიერების მიზნით, მოაწყოს სპეციალური კურსები და წრეები;

დ) მიიღოს ზომები პარტიულების რიცხვის გასადიდებლად მუშებსა და საინჟენერო-ტექნიკურ პერსონალს შორის, გააძლიეროს იმ მუშების ჩაბმა პარტიაში, რომლებიც მშენებლობაში მუშაობენ;

ე) განამტკიცოს პროფმუშაობისათვის ხელმძღვანელობის გაწევა ჯულფა-ბაქოს რკინის გზის მშენებლობაში, რისთვისაც გადაისინჯოს ქვედა საფეხურის პროფორგანიზაციების მუშაკების არსებული შემადგენლობა და გაძლიერდეს საგზაო განყოფილების აპარატი კვალიფიციური ინსტრუქტორების შემადგენლობით;

ვ) გაიგზავნოს პასუხისმგებელი მუშაკები ინსტრუქციების მისაცემად და პარტიული და პროფესიონალური მუშაობის გასაჯანსაღებლად.

11. წინადადება მიეცეს აზერბეიჯანის კომპარტიის (ბ) ცენტრალურ კომიტეტს, აზერბეიჯანის პროფსაბჭოს და მშენებელთა კავშირის ცენტრალურ გამგეობას შესაფერ სიმაღლეზე დააყენონ პოლიტიკური და კულტურული მუშაობა მშენებლობის მუშებს შორის, დარაზმონ მუშათა ფართო მასები გაშლილი თვითკრიტიკის საფუძველზე, მშენებლობის საწარმოო გეგმის შესრულების გარშემო და ამ მიზნით მოაწყონ მუშათა კონფერენციები, გააძლიერონ საწარმოო თათბირების და კომისიების მუშაობა და მოაწყონ სოცშეჯიბრება და დამკვრელობა.

დაევალოს პარტიულ და პროფესიონალურ ორგანიზაციებს გააცნონ მუშათა ფართო ფენებს უბნების, საამშენებლო პუნქტების და სხვ. სამრეწველო-საფინანსო გეგმა და მიიღონ ზომები საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მიერ ერთმმართველობის შესახებ გამოცემული დირექტივის დაუყოვნებლივ ცხოვრებაში გასატარებლად.

12. გამოეცხადოს საყვედური აზერბეიჯანის მშენებელ მუშების კავშირის ცენტრალურ გამგეობის ფრაქციას იმისათვის, რომ გულგრილად, ფორმალურად და ბიუროკრატიულად ეკიდებოდა პროფმუშაობისათვის ხელმძღვანელობის გაწევას მშენებლობაში.

13. წინადადება მიეცეს ფოსტა-ტელეგრაფის სახ. კომისარიატის რწმუნებულ სასწრაფოდ გამოარკვიოს კორესპონდენციების მიწოდების შეფერხების მიზეზები, დასაჯოს დამნაშავენი და სარაიონო კანტორების უფროსების პირადი პასუხისმგებლობით აღმოფხვრას ფოსტის მუშაობის დეფექტები, რომელთაც ადგილი აქვს მშენებელ მუშების მომსახურებაში.

14. წინადადება მიეცეს ა.-კ. სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოს გამოარკვიოს დამნაშავენი, რომლებიც არ უბრუნებდნენ მუშებს ჩამორთმეულ დოკუმენტებს (პროფკავშირის წიგნაკები, სამხედრო დოკუმენტები) და მისცეს ისინი პასუხისგებაში.

15. დაევალოს ა.-კ. საოლქო საკონტროლო კომისიას და მუშათა და გლეხთა ინსპექციას შეამოწმოს საოლქო კომიტეტის დირექტივის შესრულება შესაფერ ორგანიზაციების მხრით.

16. გაიგზავნოს ა.-კ. საოლქო კომიტეტის პასუხისმგებელი ინსტრუქტორი, რომელიც გააცნობს პარტიულ და პროფესიონალურ ორგანიზაციებს და მუშათა მასებს საქ. კ. პ. (ბ) ა.-კ. საოლქო კომიტეტის გადაწყვეტილებებს და პრაქტიკულად გაატარებს მათ ცხოვრებაში.

მუშების საერთო განათლების დონის ასაწევად

მომავალი წლიდან გაიხსნება 19 სკოლა

ჩვენს წარმოებებში საკმაოდ მოიპოვებიან ისეთი მოზრდილი მუშები, რომელთაც არათუ არ აქვთ საერთო განათლება, არამედ ბევრმა წ.-კითხვაც არ იცის. ეს გარემოება საგრძნობ გავლენას ახდენს როგორც მათ კვალიფიკაციაზე, ისე შრომის ნაყოფიერებაზე. გარდა ამისა, ისინი თავიანთ გაუნათლებლობის გამო ხშირად აფერხებენ საწარმოო გეგმების შესრულებას და ვერ ერკვევიან ქვეყნის გარდასაქმნელად წარმოებულ მუშაობის ამოცანებში.

დღემდე მოზრდილ მუშების და გლეხების საერთო განათლებისათვის ცოტა რამეა გაკეთებული. ის ოთხი საერთო განათლების სკოლა, რომელიც არსებობდა მოზრდილ მუშებისათვის რესპუბლიკის სხვადასხვა ადგილას, სრულებით ვერ აკმაყოფილებდა მოთხოვნილებას. სოფლად კი ასეთი დაწესებულება ერთიც არ ყოფილა გახსნილი.

ამ ნაკლის გამოსასწორებლად და მოზრდილ მშრომელთა შორის საერთო განათლების გასავრცელებლად, სახალხო განათლების სისტემის რეორგანიზაციასთან დაკავშირებით შედგენილია ცალკე გეგმა.

ამ გეგმის მიხედვით მომავალი წლიდან ჩატარებული იქნება შემდეგი ღონისძიებები:

მოზრდილ მუშებში პოლიტიკურ და საერთო ცოდნის გასავრცელებლად იმ 4 სკოლის გარდა, რომელიც არსებობს თბილისში, ქუთაისში, ჭიათურაში და სამტრედიაში, მომავალ წლიდან გაიხსნება 19 სკოლა. აქედან 3 სკოლა მოეწყობა ავტონომიურ რესპუბლიკებში.

ამავე მიზნით მთავარ ქალაქებში მოეწყობა ერთწლიანი მუშათა კურსები. ამ კურსების მიზანია მოზრდილ მუშებს, მუშაობის მოუცდენლად მისცეს შესაფერი კულტურულ-პოლიტიკური ცოდნა და მოამზადოს ისინი საზოგადოებრივ მუშაობისათვის. ასეთი კურსები მომავალ წლიდან გაიხსნება სულ 20

შედარებით მომზადებულ მუშებისათვის კი გაფართოებული იქნება არსებული მუშათა უნივერსიტეტი.

ეს მუშათა უნივერსიტეტები არსებობს თბილისში და მას აქვს შემდეგი ფაკულტეტები: პოლიტექნიკური, სოც.-ეკონომიური, ანტირელიგიური და სხვ.

უნივერსიტეტს აქვს 4 სექტორი: ქართული, რუსული, სომხური და თურქული.

1932-33 წელს კი მეორე მუშათა უნივერსიტეტი გაიხსნება ქუთაისში.

საკოლმეურნეო უნივერსიტეტი

მუშათა უნივერსიტეტთან მომავალ წლიდან იარსებებს საკოლმეურნეო უნივერსიტეტი, რომელსაც ექნება სამი განყოფილება: 1) საკოლმეურნეო-კოოპერატიული, 2) აგროტექნიკური, 3) საბჭოთა მშენებლობის.

პირველი განყოფილება მოამზადებს კოლმეურნე-ორგანიზატორებს და ძირითად კოოპერაციის მუშაკებს. მეორე განყოფილება გამოუშვებს ათისთავებს, მემინდვრეებს, მესაქონლეებს, მეცხვარეებს, მესამე-ტრაქტორისტებს, მებოსტნე-მებაღეებს, მეფუტკრეებს და სხ. მესამე განყოფილება კი მოამზადებს საბჭოთა ძირითად აპარატის მუშაკებს, ახალი ყოფის ორგანიზატორებს და სხვ.

უნივერსიტეტში პირველ რიგში მიღებული იქნებიან კოლმეურნეები, მოჯამაგირეები და ღარიბი გლეხები.

გარდა ამისა, მომავალ წლიდან 5 წლედის დამლევამდე მთლიან კოლექტივიზაციის რაიონებში გაიხსნება საკოლმეურნეო უნივერსიტეტის 65 ფილიალი.

ვინაიდან ეს ღონისძიებები არ იქნება საკმაო მშრომელთა შორის საერთო განათლების ფართოთ გასავრცელებლად, გადაწყვეტილია განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს თვითგანათლების საქმის ორგანიზაციას მასებში. გარდა ამისა მოეწყობა დაუსწრებელ კურსების ახალი ქსელი. თვითგანათლების საქმის ფართოდ დასაყენებლად მოეწყობა თვითგანათლების ცენტრალური ბიურო და საკონსულტაციო პუნქტები რაიონებში.

საქ. ცაკში

სამზადისი საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 10 წლისთავისათვის.

საქ. ცაკის პრეზიდიუმმა გამოჰყო სპეციალური კომისია საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 10 წლისთავის შესაფერი სამზადისის ჩასატარებლად. კომისიაში შედიან: ამხ. ფ. მახარაძე, ს. თოდრია, ს. მამულია, იმედაძე, დევდარიანი, თ. ჟღენტი, ბუჩიაშვილი, ბუაჩიძე, ვარო ჯაფარიძე და ბ. მაჩაიძე.

მშრომელ ქალთა ყოფა-ცხოვრების გამაუმჯობესებელი კომიტეტების დებულება

ცაკის პრეზიდიუმმა დაამტკიცა მუშა და გლეხ ქალთა ყოფა-ცხოვრების გამაუმჯობესებელი კომიტეტების დებულება.

ცაკის თავმჯდომარის მოადგილე

საქ. ცაკის თავმჯდომარის ამხ. მიხა ცხაკაიას შვებულებაში წასვლის გამო, ცაკის თავმჯდომარის მოვალეობის შესრულება დაკისრებული აქვს ამხ. ვ. ბოლქვაძეს.

თესლის ნაკლებობა ჩაშლას უქადის შემოდგომის თესვას

მიწსახკომის ბუნდოვანად და ბიუროკრატიულად შედგენილ დირექტივებს არევ-დარევა შეაქვს ადგილებზე თესვისათვის მზადების და სათესლე ფონდების შეგროვების საქმეში,—ბაშკიჩეთის და ბორჯომის რაიონულ აღმასკომებს დღემდე არ დაუწყიათ სათესლე ფონდების შეგროვება

დავაჩქაროთ სათესლე ფონდების და სათესლე სესხების შეგროვება

დაუდევრები მიწსახკომიდან

(წერილი კახეთიდან)

ამჟამად სოფლად მიმდინარეობს მთელი რიგი მეტად დიდმნიშვნელოვანი კამპანიებისა: პურის დამზადება, საშემოდგომო სას. სამეურნეო კამპანიისათვის მზადება, მთლიანი სასოფლო-სამეურ. გადასახადის გაწერა, სასილოსო მშენებლობა, მოსავლის აღების დამთავრება და სხვა. ამ კამპანიების უმეტესი ნაწილი ტარდება მიწადმოქმედების სახ. კომისარიატის საერთო დირექტივების და ხელმძღვანელობის საფუძველზე. ეს დირექტივები კი მაშინ მიაღწევენ მიზანს, თუ ისინი შედგენილნი იქნებიან ზუსტად, მარტივად და გასაგებ ენით. არ უნდა გვავიწყდებოდეს ერთი მთავარი გარემოება: ცენტრალური ორგანოების ყოველგვარი დირექტივები და განკარგულებები მთელი რიგი ინსტანციების განვლის შემდეგ ფაქტიურად სრულდებიან საბჭოთა ძირეულ ორგანოების, სასოფლო-საბჭოების მიერ, ამიტომ ასეთ დირექტივების გაცემის დროს კარგად უნდა გვახსოვდეს, რომ მათი შემსრულებელი, მათი გამტარებელი (ცხოვრებაში უშუალოდ არის სას. საბჭო და მისი აპარატი. ეს უკანასკნელნი კი ჯერ-ჯერობით ღარიბნი არიან ყოველმხრივ მომზადებული და კვალიფიციური მუშაკებით. მაშასადამე დირექტივების და სხვადასხვა ხასიათის წერილობითი განკარგულებების შედგენის დროს ჩვენ უნდა ვცდილობდეთ, რათა ისინი იწერებოდნენ რაც შეიძლება მარტივ და ყველასათვის გასაგები ენით.

მაგრამ სწორედ მაშინ, როდესაც საჭიროა საჩქარო და ამასთან ერთად მარტივი და გასაგები დირექ. გაცემა, ჩვენ იმის მოწამენი ვხდებით, რომ ამ დირექტივებს დაგვიანებით აწოდებენ ადგილებს და, რაც მთავარია, ისინი ისეთი ენით არიან შედგენილი, რომ ხშირად საჭირო ხდება განსაკუთრებულ კომისიების გამოყოფა ადგილებზე, რომ შეთვისებულ იქნეს მათი შინაარსი და შემდეგ კი სათანადოთ განმარტებული ქვემდგომ ორგანოებისათვის.

ეს სენი ბევრ ცენტრალურ საბჭოთა ორგანოებს ახასიათებს. ამჟამად მაგალითისათვის გვინდა მოვიყვანოთ საქ. მიწსახკომის აპარატი.

1. ა. წ. სექტემბრის 5-ს თარიღით და 1420 №-ით საქ. მიწსახკომი (ალბად მასიური აგრ. და სას.სამ. კამპანიების სახით) უგზავნის ყველა სარაიონო აღმასკომებს ვრცელ ცირკულიარულ განკარგულებას, რომელიც ეხება მთელ რიგ ღონისძიებებს საშემოდგომო თესვის კამპანიის წარმატებით ჩატარებისათვის.

აბა ყური დავუგდოთ ამ დოკუმენტების შესავალს:

„შემოდგომის თესვითი (?) კამპანიის გეგმა უნდა შესრულდეს მთლიანი საშემოდგომო სასოფლო სამეურნეო საოპერაციო გეგმის შინაარსით. სადაც გათვალისწინებული უნდა იქნეს ყველა დარგში საშემოდგომო და ნაწილობრივ საგაზაფხულო სამუშაონი საშემოდგომო გეგმის მიხედვით ადგილობრივ პირობებთან შეფარდებით.

შემოდგომის თესვითი კამპანიის გეგმა უნდა იქნეს სარაიონო სასოფლო საბჭოებზე საწარმოო თათბირებზე განხილული საშემოდგომო თესვითი გეგმა ფართო უნდა იქნეს გაცნობილი ცალკე მეურნ. კოლექტმეურნეობისადმი განაერთიანებს და რაიონს მიწსახკომი გეგმით გათვალისწინებული სათესი და ტექნიკურ კულტურების ფართობის გაფართოების შესასრულებლად საჭიროა. რომ არც ერთი ფართობი სასოფ. საბჭოს მასშტაბით შედგენილ გეგმების განხორციელებას შეუდექით სასწრაფოდ მოახდინეთ. მობილიზაცია მთელი ძალებისა რათა შეამოწმოთ გეგმების შესრულების შესაძლებლობანი“. (ტექსტი ისე ყველგან დედანის მიხედვით).

რა უნდოდათ ეთქვათ ამით ავტორებს. რას ავალებენ ისინი იმ ორგანოს, რომელსაც ამ დირექტივას უგზავნიან? განა ამ ტექსტის გაგება შეუძლია ვისმეს?

შეიძლება გვითხრან: რა მნიშვნელობა აქვს სწორად დაწერილ ქართულს თუ თვით შინაარსი წამკითხველისათვის გასაგებია! ჩვენ ამას ვიტყვით აქ იმაზე, რომ ენის სისწორე სიფაქიზეზე ყველგან უნდა იქნეს დაცული. მაგრამ ბოლოს და ბოლოს წაკითხულს ხომ გაგება უნდა? ვნახოთ ქვევით:

„გეგმით გათვალისწინებული მანქანაიარაღების შემოზიდვის და გამოყენების მიზნით მიწადმოქმედების განყოფილებამ ყოველგვარი ზომები უნდა იხმაროს მის შესასრულებლად“.

რაშია აქ საქმე? ჩვენ ხომ კარგად ვიცით, რომ მანქანა - იარაღების შემოზიდვა რესპუბლიკის ფარგლებში და მათი გეგმიანი განაწილება თვით იმავ მიწსახკომის ხელშია? მაშ რა „ზომები შეუძლიან იხმაროს მის (?) შესასრულებლად“ მიწადმოქმედების განყოფილებამ? რისთვის არის ეს წინადადება აქ ასე უაზროდ და უადგილოდ ჩაჩხირული,—ძნელი გასაგებია.

შემდეგ:

„მწკრივად თესვას, ჩვენს პირობებში დიდი მნიშვნელობა აქვს. მოსავლიანობისათვის გადიდების საქმეში, რისთვისაც გეგმებით გეგმით დასახულ ფართობის მწკრივად დათესვის შესრულება. ამ ამოცანის შესასრულებლად საჭიროა მთელი მანქანები. კერძო ხელში, მყოფი მანქანები ჩამორთმეული და გადაცემული უნდა იქნეს დამთეს სამეულების რწმუნებულებისათვის მტკიცე ნორმა უნდა იქნეს თქვენ მიერ მიცემული. კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს და სკოლებს (თუ ასეთი აქვს მათ). იმის შესახებ თუ რამდენი ჰექტარი დაუთესონ მწკრივად მათ გარშემო მდებარე სოფლებს“.

აქაც დიდი თავის ტეხა საჭირო, რომ და წერილის ნამდვილი შინაარსი შეითვისო ადამიანმა: რა უნდა ჩამოერთვას, ვის ერ- და ჩამოერთვას მთელი მანქანები, თუ მარტო კერძო ხელში მყოფი მანქანები და სხვა.

არის ადგილებზე მოსული კიდევ ერთი დოკუმენტი—იმავე კომისარიატისა, რომელიც ეხება სათესლე ხელშეუხებელ ფონდების შეგროვების წესს. როგორც ეტყობა საკავშირო მიწსახკომის ცირკულიარი საქართველოს მიწსახკომში უთარგმნიათ და იგი ყოველგვარი შესწორება და კომენტარიების გარეშე გაუგზავნიათ სახელმძღვანელოდ ადგილებისათვის. ეს უკანასკნელი დირექტივები წარმოადგენს „შემოდგომის თესვის კამპანიის ჩატარების საგანგებო რწმუნებულის დადგენილებას“. ამ დოკუმენტებში ნათქვამია: „წინადადება მიეცეს საკოლმეურნეო-კოოპერატიულ სისტემას ჩაატაროს ყველა მარტივ საწარმოო გაერთიანებებში და სამიწადმოქმედო საზოგადოებებში (!) ნებაყოფლობის ნიადაგზე მარცვლის საზოგადოებრივი შენახვა“. ეს დირექტივა უმთავრესად სამიწადმოქმედო საზოგადოებების მიმართ არის დაწერილი. ჩვენ, კახეთში გაგვაკვირვებია ამ მდგომარეობამ. სამიწადმოქმედო საზოგადოებანი ჩვენში არ არსებობენ და როგორ შეიძლება რამიე დავალების მიცემა არ არსებულ ორგანიზაციაზე

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ აღნიშნული დადგენილება მიზნად ისახავს დაწვრილებით „განუმარტოს“ ადგილებს წესი ხელშეუხებელ სათესლე ფონდების შეგროვებისა. მაგრამ ეს წესი სრულიად არ ამოწურავს ყველა იმ მეტად დიდმნიშვნელოვან საკითხებს, რომელნიც საფუძვლად უნდა დაედოს ფონდის შეგროვების საქმის მოგვარებას. ასე, მაგალითად, ნათქვამია, რომ ფონდი უნდა შეიქმნას დასათესი ფართობისათვის საჭირო სათესლე მასალის 15 პროცენტის რაოდენობით, „ფუნების მიხედვით“. მორჩა და გათავდა.

რა საზომით უნდა იქნეს აღებული, როგორ უნდა იქნას გაწერილი სათესლე ხორბალი და ან როგორ უნდა აიკრიფოს იგი, რა ზომები შეიძლება იქნეს მიღებული იმ კულაკურ მეურნეობათა წინააღმდეგ, რომელნიც განძრახ არ გაიღებენ სათესლე ფონდისათვის მათზე შეწერილ ხორბლეულს ან იმ მეურნეობების მიმართ, რომელთაც სრულიად არ მოეპოვებათ ხორბალი და სხვა. ამაზე დადგენილებაში არაფერია ნათქვამი. თვით ტექსტი ამ დადგენილებისა იმგვარივე დეფექტებით არის სავსე, როგორც პირველი. ზოგ შემთხვევაში დაწერილის აზრის გაგება ყოვლად შეუძლებელი ხდება.

ასეთი დაუდევრობა ხშირად აფერხებს ადგილებზე გეგმიან მუშაობას.

საჭიროა ამ გარემოებისადმი ყურადღების გამახვილება იმ ორგანოების მხრივ, რომელთა პირდაპირ მოვალეობას შეადგენს ჩვენს აპარატებში დაბუდებულ ბიუროკრატიულ სულით გაჟღენთილთა გაცხრილვა.

უამისოდ ჩვენ ვერ მივაღწევთ დადებით შედეგებს ჩვენი აპარატების ყოველდღიურ მუშაობაში.

მეგობარი.

სათესლე ფონდის შეგროვება სუსტად მიმდინარეობს

შემოდგომის თესვისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს სათესლე ფონდის თავის დროზე შეგროვებას. ამ საქმეში დაგვიანებას შეუძლია გამოიწვიოს სათესლე ფონდის შეგროვების გეგმის შეუსრულებლობა, რის გამო, მოუხერხებელი გახდება ახალი თესვის დროს სათესლე მასალაზე მოთხოვნილების დაკმაყოფილება.

სამწუხაროდ ადგილობრივი ორგანოები ნაკლებ ყურადღებას აქცევენ სათესლე ფონდის შეგროვებას. სათესლე ფონდის შეგროვების შესახებ 9 სექტემბრამდე ცნობები მიღებულია მხოლოდ 11 რაიონიდან. სადაც, როგორც იტყობინებიან, „ობიექტიური“ მიზეზების გამო სათესლე ფონდის შეგროვების გეგმა არ სრულდება. ზოგიერთ რაიონში თესლის შეგროვებას სრულებით არ შესდგომიან. მაგალითად ბაშკიჩეთის რაიონში ადგილობრივ პარტორგანოების უმოქმედობის გამო, სათესლე ფონდის შეგროვება სრულებით არ სწარმოებს.

ონის რაიონში, მოუსავლობის გამო, თესლის შეგროვების გეგმა შესრულებული იქნება მხოლოდ 50 პროცენტით.

გურჯაანის რაიონში ნაცვლად 7.490 ცენტნერისა შეგროვილია მხოლოდ 2.930 ცენტნ., ისიც კოლექტივებში, ინდივიდუალურ მეურნეობებში ჯერ არაფერი გაკეთებულა. ერწოს რაიონში შეგროვილია 3.785 ცენტ., უნდა შეგროვილიყო — 10.756 ცენტნ. და სხ.

ბორჯომის რაიონში თესლის შეგროვებას ჯერაც არ შესდგომიან. ზუგდიდის რაიონში დამწვევ 15 პროცენტიან ფონდის შეგროვებას სრულებით არ ფიქრობენ.

ამრიგად, სათესლე ფონდის შეგროვების საქმე საფრთხეშია. საჭიროა სასწრაფო ზომების მიღება, რათა თესლის შეგროვების გეგმა უსათუოთ იქნეს შესრულებული.

დადგენილება

საქართველოს სს რესპუბლიკაში საშემოდგომო სასოფლო-სამეურნეო კამპანიის ჩამტარებელ განსაკუთრებულ რწმუნებულთან რესპუბლიკანური საუწყებათაშორისო კომისიის მოწყობის შესახებ

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

მოეწყოს საქართველოს სს რესპუბლიკაში საშემოდგომო სასოფლო-სამეურნეო კამპანიის ჩამტარებელ განსაკუთრებულ რწმუნებულთან რესპუბლიკანური საუწყებათაშორისო კომისია შემდეგი შედგენილობით: ამხ. ამხ. გვარამია (მემინდვრეთა კავშირი), კვირკველია ი. (მესაქონლეთა კავშირი), ჟღენტი (მიწა-ტყის მუშაკთა კავშირი), წამალაშვილი (ვაჭრობის სახკომი), ქიქინაძე (ცეკავშირი), იაკობაშვილი (მ.-გ. ინსპექცია), სართანია (კოლმეურნეობათა ცენტრი), ადიკაშვილი (თბილისის აღმ. მიწათ-მოქმ. განყ.), ლომთათიძე (მიწათ-მოქმედების სახკომი) და ეფრემიძე (მიწათ-მოქმ. სახკომი).

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე:
გ. მგალობლიშვილი.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი:
პ. მეგრელიშვილი.

1930 წ. სექტემბრის 6
თბილისი — სასახლე.

საშემოდგომო თესვა თელავის რაიონში

სარაიონო აღმასკომმა შეადგინა საშემოდგომო თესვის გეგმა, რომელიც ეხლა განხილვის პერიოდში იმყოფება სოფლის საბჭოებში, კოლექტივებში და საერთოდ ფართო მასებში. კოლექტივებში გეგმის შესადგენად და სარაიონო გეგმის პოპულარიზაციისათვის მობილიზაციაქმნილია სარაიონო აქტივი აგრონომების ხელმძღვანელობით.

თელავის რაიონში 15166 მეურნეობაა; აქედან კოლმეურნეობებში გაერთიანებულია — 1173 კომლი, ე. ი. 7,7 პროც.

რაიონში საშემოდგომო ნათესებს უკავია (გეგმით): პურს 18178 ჰექტარი, ქერს — 1828, საკვებ ბალახებს—50 ჰექტარი.

კოლმეურნეობებში ფართობის ზრდა განზრახულია 50 პროც., კერძო მეურნეობებში 2,7 პროც. საერთოდ კი—1,7 პროც. მოსავლიანობის გადიდებას გეგმა გულისხმობს 7,8 პროც. ეხლა განვიხილოთ, რა საშუალებებით უნდა მიაღწიოს რაიკომმა ამ ამოცანას.

მანქანა-იარაღები

რაიონში იმყოფება შვიდი ტრაქტორი, რომელთა დატვირთვა ნავარაუდევია სეზონში ას-ას ჰექტარით. ეს შესაძლოა, იმ შემთხვევაში, თუ ტრაქტორებს ამუშავებენ ღამითაც. ამისათვის კოლექტივები მომზადებულნი არიან, ამისათვის მათ შარშანდელი გამოცდილებაც აქვთ.

გუთნები აქვთ 1188 ცალი, შემოიტანენ—200; ფარცხები აქვთ—275, შემოიტანენ—55, სათესი აქვთ (პურის) 20, შემოაქვთ—40, ტრიერბი ქონიათ—80, შემოაქვთ 20, კულტივატორი—62, ექნებათ კიდევ ახალი—30.

მწკრივად თესვა განზრახულია 1500 ჰექტარზე, აქედან ნახევარი სოციალისტურ სექტორში. აქ გასაფრთხილებელია გეგმის შემდგენლები,—რადგან არსებული სათესი მანქანები სუსტი ნაყოფიერებისანი არიან (6-8 რიგიანები) ამიტომ ახლად შემოსატანი უფრო ბარაქიანები უნდა იყვნენ და მეორე, როგორც გამწევი ძალა გამოყენებულ უნდა იქნან ცხენები და ტრაქტ-ბი, წინააღმდეგ შემთხვევაში გეგმა შეიძლება ვერ შესრულდეს ან შესრულდეს დაგვიანებით, მაგრამ ამ შემთხვევაში მწკრივად თესვა სათანადო ეფექტს არ გამოიღებს.

მუშა-საქონელი

გამწევი ძალით რაიონი არ ყოფილა ღარიბი. ეს მდგომარეობა იძლევა საშუალებას მძლავრად ხნულის (საშემოდგომო ანეულის) ფართობის გადიდებისას, რამაც დიდი მნიშვნელობა ექნება საგაზაფხულო ნათესების მოსავლიანობის აწევაში. ცხენი ჰყოლიათ—4079, მუშა-ხარი—6580, მუშა-კამეჩი—6293, ფურკამეჩი (რომელსაც საშემოდგომოთ იყენებენ ხვნა-თესვაში)—5287, სულ კი 22139. სამწუხაროდ, ცხენების გამოყენება ხვნაში მინდვრად (ვენახში კი იციან) არ არის შემოღებული და ეს მთლიანად არ არის იმის მიზეზი, რომ ადგილობრივი ცხენი უღონოა და გამოუსადეგარი. მუშა ცხენის გაუმჯობესებას, მისი გამოყენების ხვნა-თესვაში დიდი ყურადღება უნდა მიექცეს და ამაზე ამთავითვე უნდა ვიზრუნოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში მწკრივი ნათესების გაფართოვება შეუძლებელი იქნება. რაიონში მყოფ მუშა-საქონლიდან სამუშაოდ გამოდგება 85—90 პროც. (გაზაფხულზე უფრო ნაკლები), თითო ჰექტარის დამუშავებას თავის დაფარცხვით უნდება 30 სული, სეზონში სამუშაო დღე იქნება 48 დღე.

აქედან ადვილი გამოსაანგარიშებელია, რომ მუშა-საქონელი უზრუნველყოფს გეგმით გათვალისწინებულ ფართობის დამუშავებას დროზე.

აგროღონისძიებანი

სათესლე პური და ქერი დარჩეული იქნება მთელი ასი პროცენტით. არსებული ტრიერები ამას შესძლებენ მხოლოდ მაქსიმალური დატვირთვით. თითოზე მოდის 42 ტონამდე), იქნება მოძრავი სარკეკვი პუნქტები და სათანადო პერსონალის მომზადება. ორიოდე სიტყვა ამ აგრ.-რწმუნებულების შესახებ: თავის დროზე ისინი არჩეულნი იყვნენ და სათანადო კურსებზედაც გადამზადებულნი, მაგრამ რაღაც მიზეზების გამო მათი მუშაობა არსად არა ჩანს, მათი პოპულიარობა უმნიშვნელოა, ალბად არ იყო კარგი შერჩევა და ხელმძღვანელობაც მოიკოჭლებდა.

სათესლე მასალა კოლექტივებში შეწამლული იქნება გუდაფშუტის წინააღმდეგ — 100 პროცენტით, კერძო სექტორში—80 პროც. მიწსახკომის მცენარეთა დაცვის ბიუროს წინასწარი სამზადისის მიხედვით უკვე შეიძლება ითქვას, რომ გეგმა მთლიანად და დროზე შესრულდება.

სარაიონო აღმასკომმა გამოუშვა შემოდგომის თესვის კამპანიასთან დაკავშირებით აგრო და ზოომინიმუმი. აგრომინიმუმი ითვალისწინებს მეურნეობებში მყოფ ყველა სასუქი მარაგის გატანას მინდვრად, [illegible] მავნებლებთან ბრძოლას და სხვა. დადგენილების სისწორით გატარება ცხოვრებაში დიდ როლს ითამაშებს მოსავლიანობის გადიდებაში.

გამოყენებული იქნება როგორც ადგილობრივი, ისე შემოტანილი ხარისხოვანი თესლი, გაფართოებულია ცდები მინერალურ სასუქებზე, რომელმაც გასულ წელს პურეულობის მოსავალზე თვალსაჩინოთ იმოქმედა.

მიმდინარეობს საწარმოო თათბირების და აგრორწმუნებულების საქმიანობის შემოწმება. მისი დამთავრებისთანავე არჩეულ იქნებიან ახალი კადრები და ეწყობა 5 დღიანი მოსამზადებელი კურსები 13 თემსაბჭოში.

კრედიტები

სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღების შესაძენად გაღებული იქნება 27082 მანეთი, აქედან 6.600 კოლმეურნეობებისათვის. დანარჩენი კერძო სექტორზე.

ბელლების და სასიმინდეების ასაგებათ (შენდება 15 ბელელი და 5 სასიმინდე) საჭიროა 51396 მანეთი. ვენახების გასაშენებლად გადაიდო (საშემოდგომო პლანტაჟი) 70.000 მანეთი; გამოფენისათვის—2.000 მანეთი და სხვ.

ახალი დარგები (წამოწყებები)

ქ. თელავის ახლოს მოეწყობა, დაახლოვებით 100 ჰექტარზე, მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობა, ფშავლის რაიონში, სადაც მშვენიერი ტყეებია, მეღორეობის მეურნეობა 400 სული ადგილობრივი ჯიშის ღორებით. ყოფილ შუამთის მონასტრის მიდამოებში მერძეობის ფერმა და სხვ.

სასწრაფოდ დგება ხარჯთაღრიცხვები და საორგანიზაციო გეგმები ხსენებულ მეურნეობებისა. პირველი ოქტომბრიდან უნდა დაიწყოს პრაქტიკული მუშაობა ადგილებზე. გარდა ამისა, მევენახეობის საბჭოთა მამული, რომელსაც უკვე აქვს 80 ჰექტარამდის ნამყენზე აღდგენილი ახალი ვენახები—გაფართოვებული და გამსხვილებული იქნება მაქსიმალურ შესაძლებლობის ფარგლებში.

ალაზნელი.

სიღნაღის რაიონში სუსტად გროვდება სათესლე მასალა

(სიღნაღი)

სიღნაღის რაიონში ასაკრეფია 15,714 ფუთი სათესლე ხორბალი და 2,470 ფ. ქერი. ამ რაოდენობიდან 6 სექტემბრისათვის აკრეფილი იყო მხოლოდ 2,946 ფუთი ხორბალი და 97 ფ. ქერი.

სათესლე მასალის ასეთი ტემპით შეგროვება აუცილებლად საფრთხეს უმზადებს საშემოდგომო თესვას, ეს იმ დროს, როდესაც სათესი ფართობი შემოდგომისათვის გასულ წელთან შედარებით გადიდებული იქნება საგრძნობლად.

მემინდვრეთა რაიკავშირს რამოდენიმეჯერ დაუგზავნია უწყებები ადგილებისათვის—სათესლე მასალის ჩასაბარებლად, მაგრამ ადგილები ამას ანგარიშში არ უწევენ. ამ მდგომარეობას ხსნიან იმით, რომ მათ მოსავალი არ მოუყვანიათ და არც ჩაბარება შეუძლიათ.

იმავე დროს რაიკავშირს მოსდის ცნობები, რომ სათესლე მასალას პურის დამზადების ანგარიშში აბარებენ. პურის დამამზადებელი ორგანიზაციები ამას ყურადღებას არ აქცევენ. მათ შეგნებული არა აქვთ ის, რომ სათესლე მასალის ჩაუბარებლობა საშემოდგომო თესვას საფრთხის წინაშე დააყენებს.

ამის გარდა, მემინდვრეთა რაიკავშირს მიუმართავს კოოპერატივებისათვის, რომ მათ სათესლე მასალა ჯიშების მიხედვით მიიღონ, მაგრამ არც ეს სრულდება. საერთოდ სათესლე მასალის შეგროვებას რაიონში ძლიერ სუსტად ეკიდებიან.

სიღნაღის რაიაღმასკომი როგორც ჩანს, სათანადო ყურადღებას არ აქცევს ამ ფრიად მნიშვნელოვან საკითხს. მემინდვრეთა რაიკავშირი თავისი უწყებებით ვერაფერს გახდება. საჭიროა რაიპარტკომის საფუძვლიანი ზომები სათესლე მასალის შესაგროვებლად.

გაზ. „კომუნისტი“-ს ბრიგადა

კოლექტივი, რომელიც არ ემზადება თესვისთვის

(სოფ. ქსოვრისი, მცხეთის რაიონი)

ქსოვრისის კოლექტივს შემოდგომაზე მოსახნავი აქვს 40 ჰექტ. მიწა. თესვის კამპანიისათვის სამზადისი ჩატარებულია, გლეხობას განმარტეთ თესვის მნიშვნელობა, მაგრამ ეს საქმეს არ შველის. პრაქტიკულად შემოდგომის თესვისათვის (ჯერ სრულებით არაფერი გაკეთებულა. ანეულის მოხვნის გეგმა მთლიანად ჩაიშალა. კოლექტივს უნდა მოეხნა 27 ჰექტ., მაგრამ არც ერთი ჰექტარი არ მოუხნავთ.

ამის მიზეზი არის ის, რომ კოლექტივს არ ყავს გამწევი ძალა. არტელში გაერთიანებულია 7 სული მუშა - საქონელი, მაგრამ ამით ერთი გუთნის შებმაც არ მოხერხდა, რადგან გუთნეულს სჭირდება 12 სული. არც გუთანი აქვს კოლექტივს. ერთი გუთანი გამოუგზავნია მცხეთის რაიკავშირს, რომელიც არ გამოდგა (პატარა იყო და ვერ მოხნა), მის გადაცვლაზე კი რაიკავშირმა უარი განაცხადა. გლეხები ამბობენ: „მიწები მოხნული, რომ იყოს, თესლს შევკრიბავდით და ეხლა რა საჭიროა თესლის შეკრებაო“... მათ არავითარ დახმარებას არ უწევენ რაიონული ორგანიზაციები არც ტრაქტორით და არც მუშა - საქონლით.

საჭიროა სასწრაფო დახმარება აღმოეჩინოს ქსოვრისის კოლმეურნეობას.

„კომუნისტის“ ბრიგადა.

მანქანა იარაღების შეკეთება ფერხდება

შემოდგომის თესვისათვის სასოფლო-სამეურნეო მანქანების თავის დროზე შეკეთებას აბრკოლებს უმთავრესად კვალიფიციურ ხელოსნების ნაკლებობა და მანქანებს საჭირო რაოდენობით უქონლობა.

აღსანიშნავია აგრეთვე ის გარემოება, რომ შემკეთებელ სახელოსნოების უმრავლესობა კვლავ მოუწყობელია და გაზაფხულზე დაწყებულ სახელოსნოების აგება ჯერაც არ დამთავრებულა.

მრავალ ტრაქტორის შეკეთება შეფერხებულია, რადგან არაა სათადარიგო ნაწილები, განსაკუთრებით სახელოსნოებს არა აქვთ „ვალის“ სისტემის ტრაქტორების ნაწილები.

მიწების დაჩქარებით დამუშავების მიზნით განზრახულია ტრაქტორები გადაყვანილი იქნენ 20 საათის განმავლობაში განუწყვეტლივ მუშაობაზე, მაგრამ საჭირო ფარნების უქონლობის გამო, ტრაქტორების ღამით გამოყენება შეუძლებელი ხდება.

ტრაქტორების სრული დატვირთვას შეიძლება ხელი შეუშალოს იმ გარემოებამაც, რომ სამანქანო - სატრაქტორო სადგურების და სატრაქტორო კოლონების მუშებისათვის არაა მოწყობილი საცხოვრებელი ბინები, მოძრავი სამზარეულოები და სხ.

საშემოდგომო თესვის გეგმის მიხედვით, ამჟამად სწარმოებს კოლექტივებზე სატრაქტორო კოლონების გადაცემა. გაშლილია განკარგულება, რათა სასოფლო-სამეურნეო მანქანები მათი სრული დატვირთვის მიზნით, გადატანილი იქნეს ერთი რაიონიდან მეორე რაიონში.

სახელოსნოებში და ტრაქტორებზე მომუშავეთა ახალი კადრების მოსამზადებლად 1 ოქტომბერს გაიხსნება რამდენიმე კურსები.

ხუთწლედის მესამე წლისათვის

პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიმართვამ ხუთწლედის მესამე წლისათვის მზადების შესახებ მძლავრად აამოძრავა მთელი პარტია და საბჭოთა კავშირის მთელი მუშათა კლასი. ისე როგორც ზამთარში, როცა პირველი კვარტალის ჩამორჩენა გამოაშკარავდა, ეხლაც აზვირთდა ძლიერი ტალღა მიმდინარე წლის გეგმის მთლიანად შესრულებისა და მომავალ 1930-31 წლის ბოლშევიკური შეხვედრისათვის საბრძოლველად. ახლო წარსულის მაგალითები უეჭველად გვარწმუნებენ, რომ ამ შემთხვევაშიაც პარტია და მუშათა კლასი გამარჯვებული გამოვა ახალ სიძნელეების წინააღმდეგ ბრძოლიდან.

მხოლოდ ჩვენს კლასობრივ მტრებს და მათ აგენტებს — მემარჯვენე ოპორტუნიზმის მხდალ პანიკიორებს შეუძლიათ ჩვენ მიერ გამოაშკარავებული ჩამორჩენა შეაფასონ ისე, თითქოს ჩვენს ძალებს აღემატება მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნის ის ტემპები, რომლებიც ავიღეთ.

ამიტომ, ჩვენ არ გვიკვირს, რომ გერმანული ბურჟუაზიული გაზეთი „ფოსიშე ცეიტუნგ“-ი ცენტრალური კომიტეტის მიმართვის შესახებ აუწყებს მკითხველებს წერილით „ხუთწლიანი გეგმა მარცხდება“. ჩვენი ხუთწლიანი გეგმა არა ერთხელ დაუსამარებიათ ბურჟუაზიული პრესის ფურცლებზე. მაგრამ ეს იყო ორი წლის წინად. ამ ორი წლის განმავლობაში კი ჩვენ მთელ ფრონტზე გადაჭარბებით შევასრულეთ ხუთწლიანი გეგმა. ჩვენი წინანდელი ხუთწლიანი გეგმა უკვე შორს მივატოვეთ.

ეხლა სწარმოებს ბრძოლა ხუთწლიანი გეგმის დაჩქარებით განხორციელების ვადებისათვის.

სად და როდის ჰქონდა ადგილი სამრეწველო პროდუქციის ზრდის ისეთ სწრაფ ტემპებს, იმ ბუმბერაზულ მშენებლობას, რომელიც ჩვენ გვქონდა ხუთწლედის პირველ ორწლიწადში? რომელ ქვეყანას შეეძლო ასეთ მოკლე ხანში მრეწველობის „ძირითადი კაპიტალის“ განახლება 54 პროცენტით უცხოეთის სესხების დაუხმარებლად მტრული კაპიტალისტური გარემოცვის პირობებში, კაპიტალისტური ტექნიკის ყველაზე უფრო მძლავრ და შესანიშნავ მუშების თანასწორ უზარმაზარ ქარხნების მშენებლობის ფართო ფრონტით გაშლა და მთელ რიგ შემთხვევებში მათი წარმატებით დამთავრება.

უკვე ამჟამად კაპიტალურ მშენებლობის დარგში (ფაქტიური შესრულების მხრით) 15 პროცენტით გადავაჭარბეთ ხუთწლიანი გეგმის დავალებებს მოცემულ ვადაში.

უკვე ამჟამად 7 პროც. გადამეტებით შევასრულეთ გეგმა მძიმე მრეწველობაში, რომელიც ჩვენი სოციალისტური ინდუსტრიის საფუძველს წარმოადგენს.

„ბერლინერ ტაგებლატ“-ი 10 აგვისტოს ნომერში ათავსებს წერილს სათაურით: „საფრთხე, რომელიც ემუქრება ხუთწლიან გეგმას“. ამ წერილში ნათქვამია: „ჯერ-ჯერობით შეუძლებელია იმის გათვალისწინება, თუ რას მოგვცემს საბოლოო ანგარიშით სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია“.

ჩვენ შეგვიძლია გავცეთ პასუხი პატივცემულ გაზეთისათვის გამოურკვეველ კითხვაზე. ხორბლეულის პროდუქცია გაიზარდა 22 პროცენტით, ბამბის პროდუქცია — 52 პროცენტით, შაქრის ჭარხლის — 153 პროცენტით, სოციალისტური სექტორის — საბჭოთა მეურნეობების და კოლმეურნეობების წილი ხორბლეულის პროდუქციაში 34 პროცენტს უდრის ტექნიკურ კულტურების პროდუქციაში 38 პროცენტზე მეტს.

მუშათა კლასის მიღწევები და მისი გაძლიერებული აქტივობით ამ მიღწევების განმტკიცება განსაზღვრავენ კიდევ უფრო სწრაფი ტემპებით განვითარების შესაძლებლობას მომავალი წლისათვის. ეს წინანდელი მიღწევები განსაზღვრავენ მსუბუქი ინდუსტრიის განვითარების დაჩქარების შესაძლებლობას, რომლის პროდუქცია წლევანდელ დონესთან შედარებით, 40 პროცენტზე უფრო მეტით უნდა გაიზარდოს, ე. ი. ორ მილიარდზე უფრო მეტით. განა საჭიროა ბევრი ლაპარაკი იმაზე, რომ ეს ზრდა ძლიერ შეუწყობს ხელს სასურსათო სიძნელეების ლიკვიდაციას, საქონლის ნაკლებობის შენელებას და, მაშასადამე, მუშათა კლასის მდგომარეობის გაუმჯობესებას? მსუბუქი მრეწველობის განვითარებას ჩვენ უზრუნველყოფთ მძიმე ინდუსტრიის კიდევ უფრო სწრაფი ზრდით და მრეწველობის ნედლეულის ბაზის სწრაფი განვითარებით საბჭოთა მეურნეობების და კოლმეურნეობების მშენებლობის საფუძველზე.

მხოლოდ მემარჯვენე და „მემარცხენე“ ოპორტუნისტებს, რომლებსაც არ სწამთ სოციალიზმის მშენებლობა, მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების ფარულ და აშკარა მტრებს შეუძლიათ განზრახ დახუჭონ თვალი, არ დაინახონ და არ შეიგნონ, რომ მიღწეულ წარმატებათა საფუძველზე ჩვენ გვაქვს უფართოესი პერსპექტივები შემდგომი წინსვლისათვის, რომ ჩვენ გვაქვს ყველა შესაძლებლობა ხუთწლიანი გეგმის 4 წელიწადში წარმატებით შესრულებისათვის.

ჩვენი სოციალისტური მშენებლობის ბრწყინვალე წარმატებანი, ყველა შეფერხების მიუხედავად, განსაკუთრებით მკაფიო ხდებიან, თუ მათ შევადარებთ იმ მდგომარეობას, რომელშიაც ამჟამად მსოფლიო კაპიტალიზმი იმყოფება. მსოფლიო კრიზისი ვითარდება და სულ ახალ და ახალ ქვეყნებს ედება. შეუჩერებლივ იზრდება უმუშევრობა, რომელიც ზამთრის მოახლოვებასთან დაკავშირებით კვლავ ბუმბერაზულად იმატებს. შეადარეთ ეს უმუშევრობის მოსპობის ფაქტს ჩვენში, რაც თვალსაჩინოდ მოწმობს საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის ბუმბერაზულ აღორძინებას, მსოფლიო კაპიტალიზმის კრიზისის გამწვავებასა და გაღრმავებასთან ერთად.

ბურჟუაზიულ პრესას ცენტრალური კომიტეტის მიმართვის გამო შეუძლია ტკბილად იოცნებოს ხუთწლიანი გეგმის ჩაშლაზე. ამ ვაჟბატონებს უნარი არა აქვთ შეიგნონ, რომ ცენტრალური კომიტეტის მოწოდების მიზანია ჩვენი წარმატებების კიდევ უფრო გადიდება. მათ არ ესმით, რომ სწორედ იმისათვის, რომ კიდევ უფრო დიდ წარმატებებს მივაღწიოთ, ჩვენ მთელი გარკვეულობით ვლაპარაკობთ ჩვენში არსებული მრავალი ნაკლის შესახებ. ჩვენ არ ვკმაყოფილდებით იმით, რომ სამრეწველო პროდუქცია 10 თვის განმავლობაში 27 პროცენტით გაიზარდა. ჩვენთვის ეს 27 პროცენტი ცოტაა. ჩვენ გვინდა მივაღწიოთ საკონტროლო ციფრების მთლიანად შესრულებას, ვინაიდან ამაზე დამოკიდებულია ტემპების შემდგომი დაჩქარება და ჩვენი ქვეყნის სოციალისტური ეკონომიის საძირკვლის ჩაყრის უმოკლეს დროში დამთავრება.

მძიმე ინდუსტრიის გაშლის ტემპმა საშუალება მოგვცა საერთოდ გადაგვეჭრა მარცვლეულის პრობლემა და თვალსაჩინოდ წავსულიყავით წინ სანედლეულო ბაზის განვითარების საქმეში, მიუხედავად იმ სიძნელეებისა, რომლებსაც გვიქმნის საერთაშორისო ბურჟუაზია და რომლებიც იწვევენ ჩვენი საიმპორტო შესაძლებლობების შეზღუდვას და პირისპირ მივდგომოდეთ მსუბუქი ინდუსტრიის გაძლიერების საქმეს.

მაგრამ ჩვენ ჯერ კიდევ არ გვეხერხება საკმაოდ სრულიად გამოვიყენოთ ჩვენი სამეურნეო სისტემის უპირატესობანი. ამიტომ, იმ სიძნელეებთან ერთად, რომლებსაც ჰქმნის კაპიტალისტური გარემოცვა, მტრული კლასების წინააღმდეგობა და ჩვენი ჩამორჩენილობა, ხშირად იქმნებიან სიძნელენი ჩვენი უუნარობის გამო—შევეგუოთ სამეურნეო ვითარების დადებით ცვლილებებს, რასაც ადგილი აქვს ამჟამად უმუშევრობის მოსპობასთან დაკავშირებით.

ბოლშევიკური თვითკრიტიკა მიზნად ისახავს —მიღწეულ იქნას ჩვენი უპირატესობების მაქსიმალურად სრული გამოყენება. იგი მიაპყრობს პარტიისა და მუშათა კლასის ყურადღებას სუსტ ადგილებზე. იგი ულმობლად ამჟღავნებს შეფერხებებს, რათა მათ უფრო მალე და იოლად მოხდეს მათი ლიკვიდაცია. ჩვენ ხმამაღლა ვლაპარაკობთ ჩვენს დეფექტებზე იმისათვის, რომ მივაღწიოთ მათ აღმოფხვრას და ამ დეფექტების ირგვლივ ვრაზმავთ მასების ყურადღებას, ვინაიდან საბჭოთა კავშირში მუშათა მასები სამეურნეო მშენებლობაში უაღრესად აქტიური მონაწილენი არიან. ჩვენი სიძნელენი ნორჩი და სწრაფად მოზარდი სოციალისტური მეურნეობის ზრდის ავადმყოფობაა. მასების შემოქმედებითი აქტივობა ამ სიძნელეთა გადალახვის საუკეთესო საშუალებაა. სოციალისტურ ინდუსტრიის გაშლა, მისი, როგორც ჩვენი ეკონომიკის ხელმძღვანელი დარგის, მნიშვნელობის ენით გამოუთქმელი გაძლიერება და მუშათა კლასის პოლიტიკური ზრდა სრულ საფუძველს გვაძლევს განვაცხადოთ, რომ ჩვენ გადავლახავთ იმ სიძნელეებს, რომლებსაც ჰქმნიან კაპიტალიზმის ნაშთები ჩვენს ქვეყანაში. განა შეიძლება ჩვენი სიძნელეების შედარება იმ სიძნელეებთან, რომელნიც მსოფლიო კაპიტალიზმის წინაშე დგანან? იქ ადგილი აქვს მთელი სამეურნეო სისტემის ღრმა საერთო კრიზისს, რასაც კრახისაკენ მიჰყავს ეს სისტემა. კაპიტალიზმის სტაბილიზაციამ შეუწყვეტელი რღვევა იწყო. ხოლო, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი იზრდება და მაგრდება. რაც არ უნდა სთქვან ჩვენმა მტრებმა იმ შეფერხებებზე, რომლებსაც თითონ ჩვენ ვამჟღავნებთ და ვსპობთ, საბჭოთა კავშირის პროლეტარები წინანდებურად უშიშრად ააშკარავებენ მთელს ჩვენს დეფექტებს და სისუსტეს და კიდევ მეტი ენერგიით იბრძოლებენ ინდუსტრიალიზაციის ტემპებისათვის, პირველ რიგში შემდეგი მორიგი ამოცანის გადაჭრისათვის: მოვახდინოთ ხუთწლედის მეორე წლის შეფერხებათა ლიკვიდაცია და მთელი ბოლშევიკური ენერგიით და გამბედაობით მოვკიდოთ ხელი მესამე წლის შესრულებას.

„პრავდა“, 11 სექტემბერი.

საყოველთაო-სავალდებულო პირველდაწყებითი სწავლების გატარების მოსამზადებელი მუშაობა მთელ რიგ რაიონებში ძალიან ნელი ტემპით მიმდინარეობს

საყოველთაო-სავალდებულო სწავლების გატარება საფრთხეშია

თათბირი სასკოლო განათლების მორიგ ამოცანებზე

სახალხო განათლების სარაიონო მუშაკთა თათბირი

გუშინ, საღამოს 7 საათზე, განათლების მუშაკთა სახლში გაიხსნა სახალხო განათლების სარაიონო მუშაკთა და კომკავშირის სარაიონო კომიტეტების რესპუბლიკანური თათბირი სასკოლო განათლების საკითხებზე.

თათბირი გაიხსნა განათლების სახალხო კომისრის ამხ. გაიოზ დევდარიანის თავმჯდომარეობით.

თათბირის დღის წესრიგში დგას შემდეგი საკითხები: განათლების ორგანოების რეორგანიზაცია, საყოველთაო - სავალდებულო სწავლების გატარება; სკოლების პოლიტექნიზაცია და მოხსენება წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის შესახებ.

განათლების სახალხო კომისარიატის რეორგანიზაციის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. გაიოზ დევდარიანმა.

ამხ. გაიოზ დევდარიანის მოხსენების გარშემო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს ამხ. ქუმბურიძემ (ქუთაისი), ჟვანიამ (ფოთი), ებრალიძემ (ოზურგეთი), ბურჭულაძემ (თბილისი), მეხუზლამ (დუშეთი) და შახბადიანმა (კ.კ. ცეკა).

კამათის დამთავრების შემდეგ თათბირმა მოისმინა ამხ. გაიოზ დევდარიანის საბოლოო სიტყვა.

იმავე სხდომაზე თათბირმა მოისმინა ამხ. გ. გოგუაძის მოხსენება სკოლების პოლიტექნიზაციის შესახებ.

ამხ. გაიოზ დევდარიანის და ამხ. გ. გოგუაძის მოხსენებათა ანგარიში მოთავსებული იქნება ჩვენი გაზეთის ხვალინდელ ნომერში.

თათბირის მეორე სხდომა შესდგება დღეს, დილის 9 საათზე, განათლების მუშაკთა სახლში.

საყოველთაო-სავალდებულო სწავლება
გორის რაიონში

ამჟამად გორის რაიონი აერთიანებს 14 სასოფლო საბჭოს—149 სოფლით. რაიონში 50 პირველი საფეხურის სკოლაა, რომელშიაც ჩაბმულია სასკოლო ჰასაკის ბავშვთა 55 პროცენტი. შედგენილი გეგმის მიხედვით საყოველთაო-სავალდებულო სწავლების გასატარებლად რაიონში უნდა გაიხსნას 49 ახალი 4 წლედი. არსებული სკოლების უმრავლესობა სრულკომპლექტიანი არ არის, ამიტომ ახალი ჯგუფების გახსნასთან ერთად ბუნებრივი ზრდის გამო 1930-31 წლისათვის უნდა გაიხსნას 30 დამატებითი ჯგუფი.

როგორ მიმდინარეობს საყოველთაო-სავალდებულო სწავლების გატარების მოსამზადებელი მუშაობა გორის რაიონში? როგორც რაიონულ აღმასკომთან, ისე სოფლის საბჭოებთან უკვე ჩამოყალიბდა დამხმარე კომისიები. საბავშო მოსახლეობის აღწერა ჩატარდა 11 სასოფლო საბჭოში. 3 სასოფლო საბჭოში უახლოეს ხანში მოთავდება სასკოლო ჰასაკის მუშაკთა აღწერა. საყოველთაო სავალდებულო სწავლების გეგმა განხილულია სასოფლო საბჭოს და კოლმეურნეობების თავმჯდომარეების, პარტიის და კომკავშირის უჯრედების მდივნების, პროფკავშირების, კოოპერაციის წარმომადგენლების და მიმაგრებული ამხანაგების რაიონულ თათბირზე. კომკავშირმა მობილიზაცია გაუკეთა ორგანიზაციის აქტიურ წევრებს 30 კაცის რაოდენობით და მიავლინა სოფლებზე მოსამზადებელი მუშაობის ჩასატარებლად. 25 აგვისტოს მასწავლებელთა ბრიგადები (16 კაცი) გაემგზავრა სოფლებში ახსნა-განმარტებითი მუშაობის ჩასატარებლად.

მთავარი საკითხია სასკოლო შენობების გამონახვა. ზოგიერთ სოფლებში დაწყებული შენობების დასრულება შეუძლებელი შეიქნა უსაძიობის გამო (სოფ. ფლავი, ფლავისმანი, შინდისი და სხვ.) რაიაღმასკომის დადგენილებით კულაკებისაგან ჩამორთმეული შენობები გამოყენებული იქნება სკოლებისათვის. ბევრ სოფლებში უკვე მზად არის პირობები, რომ პირველი საფეხურის სკოლები ახლავე გაიხსნას (ტინისხიდი, ორთაშენი, გორიჯვარი, ზემო და ქვემო ხოვისი და სხვ); სკოლების ნაწილი დროებით გაიხსნება დაქირავებულ ბინებში. საყოველთაო-სავალდებულო სწავლების გატარების მოსამზადებელ მუშაობაში ბევრ დეფექტებს აქვს ადგილი. ზოგიერთ სასოფლო საბჭოსთან ჩამოყალიბებული კომისიები უმოქმედობას იჩენენ. ერთ-ერთი საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა „ფული მოგვეცით და სკოლების და ინვენტარის შეკეთებას მერე შევუდგებით". საბავშო მოსახლეობის აღწერის დროს სოფ. უფლისციხეში კულაკებმა ხმები გაავრცელეს: „აღწერას იმიტომ ატარებენ, რომ ბავშვებს წაგვართმევენ და საზღვარგარეთ წაიყვანებენო".

ზოგიერთი სასოფლო საბჭოები დაუშვებელ გულგრილობას იჩენენ სასკოლო შენობების და ინვენტარების შეკეთების საქმეში. მაგალითად ტირძნისის სასოფლო საბჭოს ჯერ არაფერი არ გაუკეთებია სკოლების ინვენტარის მომარაგების და შენობების შესაკეთებლად;

ახალი მასწავლებლების დანიშვნა დაიწყება 12 სექტემბრიდან. აღრიცხვაზე აყვანილია 70 მასწავლებელი, საჭიროა—94 კაცი. დანაკლისი შევსებული იქნება საშუალო განათლების მქონე კომკავშირელების მობილიზაციით, რომლებიც ამჟამად სხვა სამუშაოზე არიან გამოყენებული. აგრეთვე ჩატარებული იქნება პედ. განხრის 10 წლედის და პედ. ტეხნიკუმის უკანასკნელი კურსების ვადამდე ადრე გამოშვება. ოსური სკოლებისათვის მასწავლებელთა კადრი სრულებით არ არის და ეს გარემოება საფრთხეს უქმნის სასკოლო ქსელის გაშლას ზონბევის და ზემო ახალსოფლის სოფლებში. მეორე უმთავრესი დამაბრკოლებელი პირობაა სოფლების დაქუცმაცება. გორის რაიონში არის მთელი რიგი სოფლები, სადაც კომლთა რაოდენობა ძალზე მცირეა. მაგალითად, წითნარში 4 კომლია, აცქეთში 9 კომლი, ზეგარდაში 6 კომლი და სხვ.

ასეთი პატარა სოფლები მიმდინარე წელს სკოლებით ვერ იქნებიან უზრუნველყოფილი და საყოველთაო-სავალდებულო სწავლება ამ სოფლებში მომავალ წელს გატარდება. პროფკავშირების მუშაობა სუსტია საყოველთაო - სავალდებულო სწავლების გატ. საქმეში. გარდა გან. მუშ. კავშირისა, არც ერთ კავშირს არაფერი არ გაუკეთებია ამ დარგში. 20 სექტემბრისათვის ჩატარებული იქნება მოსამზადებელი მუშაობის მასიური შემოწმება გორის რაიონში.

ქ. შიროზია.

დავრაზმოთ ფართო მასები
წ.-კ. უცოდინარობის ლიკვიდაციის გარშემო

წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია საქართველოში, გეგმის მიხედვით, უნდა დამთავრებულიყო 1931—32 სამეურნეო წელს. სამეურნეო მშენებლობის ტემპებმა და 5 წლიანი გეგმის—4 წელიწადში განხორციელების შესაძლებლობამ ბუნებრივად წამოჭრა საკითხი წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის 1930—31 სამსწავლო წელში დამთავრების შესახებ. ამის საფუძველზე შედგენილ იქნა წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის ახალი გეგმა. ახალი გეგმის მიხედვით ერთი წლის განმავლობაში საქართველოში უნდა დასრულდეს წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია. სამისოდ სათანადო ორგანოებმა უკვე გადადგეს პრაქტიკული ნაბიჯები.

წელს საქართველოს ტერიტორიაზე გაიხსნება სულ 6.343 ლიკკოლა. გარდა ამისა სხვა კულტურული ორგანიზაციები აწყობენ მოძრავ ლიკკოლებს ჩამორჩენილ რაიონებში. ამჟამად საქართველოში წერა-კითხვის უცოდინართა რიცხვი (18—40 წლამდე) 220 ათასამდე აღწევს. გეგმაში გათვალისწინებული სკოლები მთლიანად შესძლებენ 220 ათასი კაცის ჩაბმას. სკოლების კურსი ქალაქად 6 თვიანია, სოფლად კი 4 თვიანი იქნება.

მასწავლებელთა კადრებით სკოლები უზრუნველყოფილი იქნება. ლიკკოლებში მასწავლებლებად გამოყენებული იქნებიან სოფლის მასწავლებლები, სტუდენტები და პედაგოგიური ტეხნიკუმების უკანასკნელი კურსის მოსწავლეები. ხელფასის მიხედვით ლიკკოლ—ბის მასწავლებლები უზრუნველყოფილი იქნებიან. მათი პირობები გასულ წელთან შედარებით გაუმჯობესებულია.

ლიკკოლებისათვის გამოყენებული იქნება ყველა არსებული სკოლები, გარდა ამისა ლიკკოლები მოეწყობა ქოხ-სამკითხველოებში, კლუბებში და სხვ. კულტურულ დაწესებულებებში.

სახელმძღვანელოების მხრივ ლიკკოლები წელს გაცილებით უზრუნველყოფილნი იქნებიან ვინემ ეს გასულ წელს იყო. ძირითადად გადამუშავდა ძველი სახელმძღვანელოები, რომელიც გადაცემული აქვს სახელგამს გამოსაცემად. იბეჭდება სახელმძღვანელოები ნაცუმცირესობებისათვის.

წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციას დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს. საბჭოთა საზოგადოებრიობის ყურადღების ამ საქმისადმი დარაზმვის გარეშე, ჩვენ ვერ შევძლებთ ამ დიდი საქმის ჩატარებას. ჩვენ მობილიზაცია უნდა უყოთ ყველა საზოგადოებრივ ორგანიზაციებს წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციისათვის, რათა დასახული ამოცანა წარმატებით შევასრულოთ. დიდი მნიშვნელობა აქვს მატერიალური ბაზის შექმნას და გამტკიცებას. ჩვენივე ინიციატივით უნდა მოვახერხოთ სათანადო სახსრების და საშუალებების გამონახვა, რომ უზრუნველვყოთ წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია ამ ერთი წლის განმავლობაში.

კულტურულმა ლაშქრობამ, რომელიც ახლა მიმდინარეობს, კიდევ უფრო ფართოდ უნდა დარაზმოს მშრომელთა ფართო მასები წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის საქმეში.

ქ—ლი.

საყოველთაო-სავალდებულო დაწყებითი სწავლების ჩამტარებელი შტაბის შესახებ

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილება

საყოველთაო-სავალდებულო დაწყებითი სწავლების ჩატარებისათვის კამპანიის სახელმძღვანელოდ მოეწყოს განათლების სახალხო კომისარიატთან საყოველთაო-სავალდებულო დაწყებითი სწავლების ჩამტარებელი რესპუბლიკანური შტაბი შემდეგი შედგენილობით: თავჯ. ამხ. შ. გეგენავა (განსახ.), თავმჯდომარის მოადგ. ამხ. ოდილავაძე (შრომის სახკომი), წევრნი: ამხ. მახათაძე (კომკავშირი), არუთინოვი (პროფსაბჭო), ნ. ძიძიგური (განათლების მუშაკთა კავშირი), გორდელაძე, ა. ორჯონიკიძე (მუშკოოპი), ქუთათელაძე (ცეკავშირი), პევცოვი (საქ. სმუს), მეძმარიაშვილი (ამიერ-კავკ. სმუს), ქანთარია (კოლმეურნცენტრი), კვირკველია (საქართველოს ჩაი), დუნდუა (საქართველოს აბრეშუმი), ამირაგოვი (სახკინმრეწვი), სტურუა გ. (რადიო-ცენტრი), ფანცულაია (მიწდმოქმ. სახკომი), ორჯონიკიძე (ამიერ-კავკ. რკ. გზა), გვარამია (მემინდვრეთა კავშირი), ლიცინოვი (საქ. ღვინხილკავშირი), დევდარიანი (მეძროხე-მესაქონლეთა კავშირი), მიწიშვილი (სახელგამი), პოლოსოვი (თბილისის აღმასკომი), და 5 მუშა წარმოებიდან, რომელთაც გამოჰყოფს პროფკავშირთა საბჭო.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე:
გ. მგალობლიშვილი.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი:
პ. მეგრელიშვილი.

კომკავშირის ყველა კომიტეტებს და „მსუბუქი კავალერიის" შტაბებს

საყოველთაო სავალდებულო სწავლების გატარება საფრთხეშია

საქ. ა. ლ. კ. კ.-ის ც. კ-ი აღიარებს, რომ ჯერ-ჯერობით განათლების განყოფილების და სამეურნეო ორგანიზაციების ქვედა საფეხურის ორგანოების უმრავლესობა, კოოპერაცია, კლუბები, ქოხ-სამკითხველოები და დანარჩენი ორგანიზაციები სრულიად არ არიან დარაზმული და მათ აშკარად არავითარი ზომები არ მიუღიათ საყოველთაო სავალდებულო პირველ დაწყებითი სწავლების შესახებ პარტიისა და ხელისუფლების დირექტივების მახვილისათვის ახსნა-განმარტებლად და ცხოვრებაში გასატარებლად. მრავალ ორგანიზაციებს უკანასკნ. დრომდე არც კი განუხილავთ პრაქტიკული ღონისძიებანი ამ დადგენილებათა განაღდებაში მონაწილეობის მისაღებად.

საქ. კომკავშირის ც. კ.-ი განგაშს სცემს —**საყოველთაო - სავალდებულო სწავლების შემოღების საქმე საფრთხეშია.** ის ვერ მოითმენს ბიუროკრატიზმსა და დანაშაულებრივ აუჩქარებლობას. სასტიკად უნდა იქნან დასჯილი ყველა ისინი, ვინც შეგნებულად ან შეუგნებლად აფერხებს საყოველთაო სწავლების გატარებას.

ც. კ.-ი ამასთან ერთად აღიარებს, რომ ჯერ კიდევ არ ამოძრავებულან კომკავშირის ყველა კომიტეტები, როგორც საყოველთაო სწავლების „შტაბები", და არ მიუღიათ მათ პრაქტიკული ზომები ც. კ-ის ბიუროს 25 აგვისტოს დადგენილებათა განსანაღდებლად.

ც. კ.-ი საყოველთაო სწავლების ფრონტის ასეთს მდგომარეობას **უთვლად დაუშვებლად სთვლის და წინადადებას აძლევს ყველა რაიკომებს — დაუყოვნებლივ განიხილონ ბიუროებისა და აქტივის რიგსგარეშე მოწვეულ სხდომებზე საყოველთაო სწავლების გატარების მდგომარეობა თავიანთ რაიონებში,** მოაწყონ დამკვრელი საგიტაციო ბრიგადები და სექტემბრის 20-დე **მიიტანონ პარტიის გადაწყვეტილება თვითეულ ქარხნამდე, ფაბრიკამდე, კოლმეურნეობამდე, საბჭოთა მეურნეობამდე, მუშამდე და მშრომელ მოსახლეობამდე.** 15 სექტემბერს ყველა რაიონებში, ხანამ სასწავლო წელი დაიწყებოდეს, მოახდინონ ახალგაზრდა პედაგოგ-კომკავშირელების რაიონული შეკრება, რომ აქტიური მონაწილეობა მიიღონ საყოველთაო-სავალდებულო სწავლების შემოღებასთან დაკავშირებით დაარსებულ ჯგუფებსა და ბრიგადებში.

წინადადება ეძლევა „მსუბუქი კავალერიის" ყველა შტაბებს—16 სექტემბერს ჩაატარონ საყოველთაოდ „მ. კ."-ის თავდასხმები ყველა საგანმანათლებლო სამეურნეო კოოპერატიულ დაწესებულებებზე და კომკავშირის კომიტეტებსა და უჯრედებზე იმის შესამოწმებლად, თუ რამდენად მზად არიან ისინი და რა გეგმა აქვთ დასახული საყოველთაო სწავლების გასატარებლად და ფართოდ გააშუქონ ცენტრალურსა და ადგილობრივ პრესაში თავდასხმის შემდეგ შეკრებილი მასალები.

საქ. ა. ლ. კ. კ. ცეკას მდივანი
ს. იუზანოვი.

მოსამზადებელი მუშაობა სუსტად მიმდინარეობს

საყოველთაო - სავალდებულო სწავლის შემოსაღებად საჭირო ღონისძიებების გატარების მიზნით, საქ. სს. კომისართა საბჭოს დადგენილებით დაარსდა ცალკე შტაბი, რომელიც უკვე შეუდგა მუშაობას.

10 სექტემბერს ამხ. შ. გეგენავას თავმჯდომარეობით შესდგა შტაბის პირველი სხდომა.

სხდომაზე დამსწრე სხვადასხვა ორგანიზაციების წარმომადგენელთა მოხსენებებიდან გამოირკვა, რომ საყოველთაო-სავალდებულო სწავლების შემოსაღებად წარმოებულ მუშაობაში, ზოგიერთი სამეურნეო და საზოგადოებრივი ორგანიზაციები ჯერ კიდევ არ არიან ჩაბმული. ორგანიზაციების უმრავლესობა ზერელედ ეკიდებიან საყოველთაო-სავალდებულო სწავლების საკითხს და მიუხედავად მრავალი წინადადებისა, აგვიანებენ დასახულ ამოცანის განსახორციელებლად თავიანთ მონაწილეობის გეგმის შედგენას.

სუსტად მუშაობს სახელგამი, რომელიც აგვიანებს საყოველთაო-სავალდებულო სწავლების შესახებ ლოზუნგების და პლაკატების ბეჭდვას; მას არც პოპულიარული ლიტერატურა გამოუცია. მოუწყობელია სკოლების სასწავლო ნივთებით მომარაგების საქმე და სხ.

ზოგიერთი ორგანიზაცია კმაყოფილდება მარტო თანხების გადადებით და სრულებით არ ფიქრობს სხვა სახის მონაწილეობის მიღებას, საყოველთაო-სავალდებულო სწავლების საქმეში.

ადგილებიდან არავითარი ცნობები არ მოდის იმის შესახებ, თუ როგორ სწარმოებს მოსამზადებელი მუშაობა, ან რა ზომებია მიღებული საყოველთაო-სავალდებულო სწავლების შემოსაღებად, ამ მხრივ გამონაკლისს წარმოადგენენ სენაკის, თელავის და გურჯაანის რაიონები, სადაც მოსამზადებელი მუშაობა დამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს.

პროფკავშირთა საბჭო ახლო ხანში აწყობს ე. წ. კულტ-არმიელების ლაშქრობას ადგილებისათვის საჭირო დახმარების გასაწევად და შემჩნეულ დეფექტების აღმოსაფხვრელად. ცალკე კავშირებში ჩატარდება სპეციალური თათბირები საყოველთაო-სავალდებულო სწავლების შემოღების საქმეში აქტიური მონაწილეობის მისაღებათ.

გარდა ამისა საყოველთაო-სავალდებულო სწავლებასთან დაკავშირებული საკითხები განხილული იქნება მუშათა ფართო კრებებზე და წარმოებებში.

პროფკავშირთა საბჭომ საყოველთაო-სავალდებულო სწავლების შემოსაღებათ უკვე გადასდო 315.000 მანეთი.

სახკინმრეწვი გადაიღებს და გამოუშვებს შესაფერი მნიშვნელობის სურათებს. „საქ. აბრეშუმი" რამდენიმე სკოლას აიყვანს თავის შეფობის ქვეშ და ამ სკოლებს უზრუნველყოფს ყოველმხრივ: „საქ. აბრეშუმი" უკვე დახმარებას უწევს ძეგვის სკოლას.

კოლმეურნეობის ცენტრი მიიღებს ზომებს, რათა კოლმეურნეთა შვილები სკოლებში მოთავსებულნი იქნენ სრული 100 პროცენტით, კოლექტივებთან დაარსდება საყოველთაო-სავალდებულო სწავლების საქმის დამხმარე კომისიები; კოლექტივები, თავიანთი საშუალებებით, საკოლმეურნეო სკოლებს უზრუნველყოფენ 30 პროცენტით.

თვით განათლების კომისარიატი, სკოლების პოლიტექნიზაციასთან დაკავშირებით, შეუდგა საქარხნო-საფაბრიკო სკოლებისათვის მუშებისაგან მასწავლებელთა კადრების მომზადებას. ამ ახლო ხანში გაიხსნება ერთწლიანი კურსები თურქ მასწავლებელთა მოსამზადებლად.

საყოველთაო-სავალდებულო სწავლების მნიშვნელობის პოპულარიზაციის მიზნით —მოეწყობა მოტო-ველო გადარბენა სხვადასხვა მიმართულებით.

შტაბმა შეიმუშავა პრაქტიკული ღონისძიებები შემჩნეულ დეფექტების დაუყოვნებლივ გამოსასწორებლად და საყოველთაო-სავალდებულო სწავლების შემოღებისათვის მუშაობის გასაცხოველებლად.

ნიკო ფიროსმანიშვილის სურათების გამოფენა

ამ აგვისტოდან საქართველოს ეროვნულ გალერეიაში გამართულია სახალხო მხატვარის ნიკო ფიროსმანიშვილის სურათების გამოფენა. ამ უკანასკნელ წლების განმავლობაში უკვე მესამეჯერ იმართება ფიროსმანიშვილის გამოფენა, ეს უთუოდ იმით აიხსნება, რომ მხატვრის შემოქმედება თანდათანობით მეტ ყურადღებას იპყრობს და ცხოველ ინტერესს იწვევს.

უკანასკნელი გამოფენა ძველად მოწყობილ გამოფენებისაგან იმით განირჩევა, რომ აქ შეგროვილია თითქმის ყველაფერი, რაც დარჩენილია მხატვრის მემკვიდრეობიდან—60 ზედ მეტი სურათი ახლად შეძენილია და უმრავლესობა პირველად არის გამოფენაზე. აღსანიშნავია, რომ ნიკო ფიროსმანიშვილის სურათები ატარებდნენ ოსტატის ცხოვრებით გამოწვეულ დაუდევრობის ხასიათს.

როგორც ვიცით, ნიკო ფიროსმანიშვილი თავის საუკეთესო შედევრებს ქმნიდა სარდაფებში, დუქნებში და ყავახანებში. მისი საცხოვრებელი ბინაც, რომელიც მშვენივრად აწერა მხატვარმა ლადო გუდიაშვილმა, უფრო ბნელი სარდაფი იყო, ვიდრე მხატვარის სახელოსნო.

ამიტომ ზოგი მისი სურათები ისეთ პირების ხელში იყო, რომ ბუზებისა, კვამლისა, ჭვარტლისა და ობობის ქსელებში ძლივს იცნობდა კაცი. ზოგი მათგანი დახეულია, დაცრეცილი, გვერდებმოხეული, ეს მარტო მის შემნახველთა დაუდევრობით არ აიხსნება, თვითონ მასალა რაზედაც სწერდა ნიკო ფიროსმანიშვილი, ყოველთვის არ იყო ახალი და არც კარგ ტილოზე იყო დახატული. სწორედ ამის გამო ეროვნულ გალერეიას ამ გამოფენისათვის მოუხდება ნიკო ფიროსმანიშვილის სურათების რესტავრაცია.

ნიკო ფიროსმანიშვილი უმთავრესად ფერადების ალქიმიკოსია და სწორედ ეს გამოფენა კიდევ უფრო ამტკიცებს ამას.

ნიკო ფიროსმანიშვილი 1918 წელს გარდაიცვალა. მხოლოდ რამოდენიმე მისმა პატივისმცემელმა იცოდა მაშინ ამ უდიდესი ოსტატის ფასი, რომელმაც სიღარიბეში და გაჭირვებაში, სადღაც სარდაფის ყურემულში დალია სული.

ოფიციალური ქართული მხატვრობა თავიდანვე მტრულად იყო განწყობილი ფიროსმანიშვილისადმი. ძალიან იშვიათი იყო, რომ ვისმე გაებედნა მაშინ ნიკო ფიროსმანიშვილის დაცვა, მხოლოდ მემარცხენე სკოლის პოეტები და მხატვრები აღნიშნავდნენ, რომ ნიკო ფიროსმანიშვილს ბრწყინვალე მომავალი ელოდა. მაგრამ მისი ხმა იკარგებოდა გარშემო მტრულად განწყობილ ცრუ აკადემიკოსთა კბილთა ხრჭენაში.

ამით აიხსნება, რომ 1919 წელს პირველ ქართულ გამოფენაზე დიდების ტაძარში ნიკო ფიროსმანიშვილს მხოლოდ უმნიშვნელო ადგილი ჰქონდა დათმობილი და მაშინაც პრესაში მხოლოდ მემარცხენე ხელოვნების წარმომადგენლები სწერდნენ ნიკო ფიროსმანიშვილის უდიდესს ნიჭზე.

პრესა უკეთეს შემთხვევაში სდუმდა, მაგრამ უფრო ხშირად ზიზღით იხსენებდა „საწყალ მღებავს".

მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს მიეცა ნიკო ფიროსმანიშვილის შემოქმედებას ნამდვილი დაფასება. დაიწყო სისტემატიურად შეკრება მისი სურათებისა ეროვნულ გალერეიაში და აშკარა გახდა რომ ხალხის გულის წიაღიდან გამოსული მხატვარი თანდათან გზას იკაფავდა.

ჯერ კიდევ არ იყო სრულიად აღდგენილი ნიკო ფიროსმანიშვილის დიადი ოსტატობის რეპუტაცია, როცა სახელგამმა გამოუშვა მხატვარზე მონუმენტალური მონოგრაფია ამხ. მამია ორახელაშვილის რედაქტორობით. ამ მონოგრაფიისათვის ნიკო ფიროსმანიშვილის სურათების რეპროდუქციები დამზადებული იქნა მოსკოვში, და ლენინგრადში, აკადემიურმა კრიტიკოსებმა აქაც შეიკავეს თავი და მონოგრაფიაში დასაბეჭდათ არ მისცეს თავიანთი წერილები.

ამ წიგნით დაინტერესდა საბჭოთა კავშირისა და ევროპის მოწინავე ხელოვნების წარმომადგენლნი და ერთხმად აღიარებულ იქნა, რომ ნიკო ფიროსმანიშვილი უდიდესი პრიმიტივისტია და თუ არ გაასწრებს არ ჩამორჩება ფრანგ პრიმიტივისტ ანრი რუსსოს, გამოჩნდნენ ისეთებიც, რომელნიც ნიკო ფიროსმანიშვილს ადარებდენ [illegible] ჯოტოს.

აღფრთოვანებული წერილი უძღვნა ნიკო ფიროსმანიშვილს განსვენებულმა მხატვარმა გიორგი იაკულოვმა. რომელმაც მონოგრაფია წაიღო პარიზში და აჩვენა სახელგანთქმულ პიკასსოს, რომელიც აღტაცებაში მოიყვანა, ნიკო ფიროსმანიშვილის შემოქმედებამ.

გერმანიაში პირველად ნიკო ფიროსმანიშვილის შემოქმედებას გამოეხმაურა სტეფან ცვაიგი. ეროვნულ გალერეის წინადადება მოუვიდა გერმანიიდან, რათა გერმანიის მთავარ ცენტრებში გაიმართოს ფიროსმანიშვილის გამოფენა. მაგრამ ნიკო ფიროსმანიშვილს ნამდვილი ტრიუმფი ხვდა მოსკოვში.

1927 წელს როცა მოსკოვში გაიმართა ოქტომბრის რევოლუციის ათი წლის თავზე, საბჭოთა მხატვრების გამოფენა, სხვა მხატვართა შორის გამოფენილ იქნა ნიკო ფიროსმანიშვილის სურათებიც. აქ პირველად საბჭოთა საზოგადოებრიობამ სთქვა თავისი სიტყვა დავიწყებულ დიდი ოსტატის შესახებ.

ნიკო ფიროსმანიშვილი ცნობილ იქნა საბჭოთა მხატვართა გამოფენაზე. საუკეთესო დიდ ჟურნალებში და გაზეთებში დაიბეჭდა დიდ ჟურნალებში და გაზეთებში დაიბეჭდა წერილები. ფიროსმანიშვილს წერილები უძღვნეს: სამხატვრო აკადემიის პრეზიდენტმა პ. კოგანმა, აკადემიკოსმა ვ. ფრიჩემ და ახალი სახვითი ხელოვნების ცნობილმა მცოდნემ ვ. ტუგენხოლდმა. ტრეტიაკოვის გალერეაში შეძენილ იქნა მხატვრის სურათები.

მაშინვე აღიძრა საკითხი მოწყობილიყო მოსკოვში ნიკო ფიროსმანიშვილის სრული გამოფენა.

ამ მიზნით საქართველოს განსახკომთან დაარსდა ფიროსმანიშვილის კომიტეტი რომელმაც ფაქტიურად მოაწყო დღევანდელი გამოფენა, რაც მოკლე ხანში გადატანილი იქნება მოსკოვში და ბერლინში.

როგორ გაიმარჯვა ნიკო ფიროსმანიშვილმა?

არავისათვის საიდუმლოებას არ შეადგენს, რომ ნიკო ფიროსმანიშვილს მხატვრობა არსად უსწავლია, მას თბილისის გარეთ არ გაუდგამს ფეხი, თბილისში მაშინ სამღებრო სახელოსნოც არ იყო, არა თუ სამხატვრო სასწავლებელი ან აკადემია.

ნიკო ფიროსმანიშვილმა თვით გაიკვლია გზა. მას ჰქონდა არაჩვეულებრივი ინტუიცია და დაბადებული იყო მხატვრობისათვის. პირდაპირ გასაკვირია, როგორ შესძლო მხატვარმა ისეთ პირობებში მუშაობა, როცა სურათებს ერთ ჭიქა არაყზე სწერდა და როცა უხეში შემკვეთელები თავის ნებაზე მხატვრობდენ სურათებს.

მაგრამ ნიკო ფიროსმანიშვილი ახლო იდგა ხალხთან, მას ხალხის გულში ჰქონდა გადგმული ფესვები და ამან მისცა მას ფოლადის გამძლეობა.

ფიროსმანიშვილმა გადაშალა კახეთის ბუნება, რადგან თვითონ კახეთიდან იყო, მისი იშვიათი ნატურმორტები, დღეობა და ქორწილი კახეთში, კალოობა, ყურძნის კრეფა და სხვა მრავალი პირდაპირ მშრომელი გლეხობის ცხოვრებიდან არის ამოკვეთილი და გაცოცხლებული ძლიერი რეალიზმით.

მთელი შემოქმედება ნიკო ფიროსმანიშვილისა—ერთი ეპოპეაა ქართული სოფლის, ერთი გაუთავებელი ფერების სიმფონიაა, ვისაც უნდა დაინახოს რევოლუციის წინანდელი სოფელი მისთვის საკმარისია თვალი გადაავლოს ამ გამოფენას.

არანაკლებ დამახასიათებელია ნიკო ფიროსმანიშვილისათვის ძველი თბილისი. ნიკო ფიროსმანიშვილის სურათებში ძველი თბილისი დახატულია, მისთვის ყველაზე უფრო დამახასიათებელ დეტალებში: აქ მოცემულია გალერეა წვრილ ბურჟუაზიული თბილისის მოქალაქეებისა და ხელოსნებისა და აგრეთვე ეპიზოდები მუშათა კლასის ცხოვრებიდან. ნიკო ფიროსმანიშვილის ძველი თბილისი ძალიან გაირჩევა, იმ ძველ თბილისიდან, რომელიც ეთნოგრაფიულ ნალექია წინააზიის ხალხებისა.

ფიროსმანიშვილში არ არის მარტო ვულგარულად გაგებული ყარაჩოღელი, რომელიც ერთ დროს წალეკვას უქადოდა ქართულ ხელოვნებას თავისი ყარგონით მხატვრობაში, მწერლობაში და თეატრში.

ნიკო ფიროსმანიშვილის მალაქრები, ფუნიკულიორ. აღდგომის [illegible] [illegible] ბიჭი, რომელსაც მოჰყავს დატვირთული ვირი, მეთევზე, აქტრისა მარგარიტა, ორთაჭალის ტურფები, ვერის ბორანი, კოჯორის გზა, მოქეიფე თავადები, მეეტლეები, ქუჩის მუშები, რკინის გზელები და სხვა მრავალი ნახატები, რომელიც უხვად არის წარმოდგენილი ამ გამოფენაზე იმის მოწმეა, რომ თბილისს არ ყოლია მეორე მხატვარი, რომელიც ასე ღრმად ჩაწვდომოდეს მის ცხოვრებას. ასევე ითქმის მის ცხოველებზე და ნატიურ-მორტებზე.

ნიკო ფიროსმანიშვილის მხატვრული მემკვიდრეობა კიდევ მრავალ მხატვართა თაობას გააკვირვებს, ამიტომ გასაგებია გერმანელების მიერ მისი გამოფენის მოწყობის დაჟინებით მოთხოვნა.

სამწუხაროა, რომ მოსკოვის გამოფენაზე ადრე არ ეწყობა ნიკო ფიროსმანიშვილის სურათების გამოფენა მეზობელ რესპუბლიკებში: ბაქოში და ერევანში, უფრო სამწუხაროა, რომ თბილისის საზაფხულო კლუბებში არ გადააქვთ ეს გამოფენა, რომ მუშათა აუდიტორია დაეწაფოს სახალხო მხატვრის შემოქმედებას.

ტიციან ტაბიძე.

საბჭოთა კავშირის თავდაცვისათვის

წითელი ჯარი მტკიცედ სდგას საბჭოთა კავშირის სადარაჯოზე

მანევრებმა გამოააშკარავეს კავკ. წითელ-დრ. არმიის ნაწილების საუკეთესო საბრძოლო მომზადება, მეთაურთა და წითელ მებრძოლთა კვალიფიკაციის მაღალი დონე და განამტკიცეს კავშირი წითელ ჯარსა და ამიერ-კავკასიის მშრომელთა შორის

მორიგი გამარჯვება

(საუბარი კავკ. წით.-დრ. არმიის სარდალთან ამხ. აფქსენტიევსკისთან)

მანევრები, რომელიც ჩატარდა წელს ამიერ - კავკასიის ტერიტორიაზე, კავკასიის წითელ - დროშოვანი არმიის ნაწილებთან ერთად, მონაწილეობას იღებდნენ აგრეთვე ეროვნული ნაწილები. კერძოდ, იმ მანევრებში, რომელიც სწარმოებდა გურიაში, მონაწილეობდა სტალინის სახელობის ქართული დივიზია.

მანევრებზე მომქმედ ჯარის ნაწილები შევსებული იქნენ სპეციალური ტეხნიკური ნაწილებით და ავიაციით, რამაც საშუალება მისცა მანევრების ხელმძღვანელთ — ერთის მხრით — შეექმნათ ნაწილებისათვის რთული და საინტერესო პირობები და — მეორე მხრივ — თვით ნაწილებს მიეცათ შესაძლებლობა ახლო გაცნობოდნენ და შეეთვისებიათ ბრძოლის რთული ხერხები.

მანევრებში მონაწილე ჯარების მოქმედებამ გვიჩვენა როგორც მეთაურთა შემადგენლობის, ისე მთელი ნაწილების კვალიფიკაციის მაღალი დონე. ხელმძღვანელ ორგანოების მოთხოვნა, რომელიც ეხება ჩვენი წითელი არმიის მიერ ტეხნიკის ახალი სახეების დაპყრობას, უეჭველად მიღწეულ იქნა.

მიუხედავათ მძიმე პირობებისა, რომელშიაც ჩატარდა მანევრები (მთა - გორიანი ადგილები), მეთაურთა შემადგენლობამ, ნაწილებმა და ცალკე ერთეულებმა გამოიჩინეს სათანადო ცოდნა, მოქნილობა და მოძრაობის უნარიანობა, განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს საქმისადმი ის ინტერესი, რომელიც გამოიჩინეს მანევრებზე მეთაურებმა და წითელარმიელებმა.

მანევრებმა დაგვანახვა გასულ სამო სწავლო წლის კიდევ ერთი უდიდესი მიღწევა, რაც მდგომარეობს იმაში, რომ ჯარის ნაწილების მეთაურებმა მოხერხებულად გამოიყენეს ჯარის მთავარი სახეები და ტეხნიკა. მეთაურები მოხერხებულად მართავდნენ ჯარის ნაწილებს ფრიად რთულ პირობებში, აძლევდნენ მათ სწორ მიმართულებას, რაც უზრუნველჰყოფს გამარჯვებას, არის დიდი მიღწევები ჯარისა და ავიაციის ურთიერთ მოქმედების სფეროშიაც.

პარტიულმა, პოლიტიკურმა, კულტურულმა და საგანმანათლებლო მუშაობამ, ჩატარებულმა ნაწილებში და მოსახლეობაში, მოლოდინს გადააჭარბა. ამ დარგშიაც ჩვენ გვაქვს უდიდესი მიღწევები. ჩვენი საერთო პოლიტიკური ზრდის და სიმტკიცის მაჩვენებელია ის, რომ მანევრების დროს მოსახლეობასთან დამოკიდებულებაში ჩვენ არ გვქონია არც ერთი უარყოფითი მოვლენა. მანევრებმა უდიდესი მიღწევები დაგვანახვა წითელი ჯარის ინტერნაციონალურ აღზრდის საქმეში.

განსაკუთრებით ხაზი უნდა გაესვათ იმ ყურადღებას, რომელიც გამოიჩინეს წითელი ჯარის ნაწილების მიმართ ამიერ - კავკასიის რესპუბლიკების ხელმძღვანელ პარტიულმა, პროფესიონალურმა და საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა. ამ ყურადღებას მანევრებში მონაწილე ჯარის ნაწილები გრძნობდნენ ყოველ ნაბიჯზე.

ჩატარებული მანევრები უფლებას მაძლევს განვაცხადო, რომ **კავკასიის წითელ - დროშოვანი არმია, მთლიანად, წარმოადგენს ძლიერ და მტკიცე ერთეულს, რომელსაც შესაძლებლობა აქვს შეასრულოს უმძიმესი და ურთულესი საბრძოლო დავალებები რევოლუციის მონაპოვართა და პროლეტარული სახელმწიფოს სოციალისტური მშენებლობის დაცვის საქმეში.**

ჩემი შთაბეჭდილებიდან

ამიერ - კავკასიის ცაკის პრეზიდიუმის დადგენილებით, მე ვიყავი მივლინებული აზერბეიჯანში, აზერბეიჯანის დივიზიის მანევრებზე დასასწრებლად. 30 აგვისტოს ჩავედი ავეიკენტის რაიონში (ყოფილი განჯის ოლქი), გავეცანი მანევრებისათვის წინასწარ მოსამზადებელ მუშაობას და გავეშურე მანევრების ადგილისაკენ.

სიცხე - პაპანაქებაში წითელ არმიელები თავდაუზოგველად და ენტუზიაზმით ალუავს თხრიდნენ სანგრებს, აწყობდნენ ასაფეთქებელ მასალებს, ხლართავდენ ეკლიან მავთულებს და სხვ.. გამოველაპარაკე წითელ არმიელთა სხვადასხვა ჯგუფებს. ყველასაგან ვიღებდი მეტად დაკვირვებულ და მოსწრებულ პასუხს. წითელი არმიელები აღნიშნავდნენ ჯარში გაშლილ უდიდეს მუშაობას. წითელი არმიის ბრძოლის უნარიანობის ზრდას, მაგრამ აქვე მიმითითებდნენ მთელ რიგ გადახვევებზე, პარტიის ხაზის გადახვევებზე, რომელსაც მათი სიტყვით ადგილი აქვს სოფლად. წითელი არმიელები, ყველანი ერთხმად აღიარებენ, რომ კვება წითელ ჯარში სავსებით დამაკმაყოფილებელია, რომ პირველ მოთხოვნილების სამრეწველო საქონელი წითელ არმიელებს, მეთაურებს და იმათ ოჯახებს წესიერად ეძლევათ. ერთი სიტყვით მე არ მინახავს არც ერთი წითელი არმიელი, რომელსაც საყვედური გამოეთქვა კვების და ჯარისათვის სამრეწველო საქონლის მიწოდების შესახებ.

30 და 31 აგვისტოს ყოველივე სამხედრო სამზადისი „მტრის" დასახვედრად დამთავრებულია. 1-ლი სექტემბრისათვის, დილა ადრიანად, წითელი არმიელები და მათი ხელმძღვანელები ელიან სარდლობის ბრძანებას „მტრის" დაწყების შესახებ. მანევრები წითელი ჯარის ბრძოლის უნარიანობის გამოცდაა, გენერალური „რეპეტიცია" და ამას გრძნობს თვითეული წითელი არმიელი, თვითეული მეთაური.

თენდება, ყველას ემჩნევა ნერვიულობა, უფროსს, საშუალოს უმცროსს მეთაურებს და პოლიტმუშაკებს შესრულდა 8 საათი. მანევრებიც დაიწყო, აგრიალდა ზარბაზნები, ისმის ტყვიამფრქვევთა ტკაცუნი, ერთი სიტყვით ნამდვილი „ომია" გაჩაღებული.

სამხედრო პირი არა ვარ, ვერ ვიკისრებ ასეთი რთული საქმის შეფასებას. შესაძლებელია იყო დაშვებული ზოგი რამ გაუთვალისწინებლობა და შეცდომა. ამას მიიღებს მხედველობაში მანევრების შედეგების შემფასებელი კომისია და დაშვებულ შეცდომებს გაითვალისწინებენ მანევრებში მონაწილენი და საერთოდ მთელი წითელდროშოვანი არმია თავის მომავალ მუშაობაში.

მე კი, რომელიც ყურადღებით ვადევნებდი თვალყურს მანევრების მსვლელობას, ვიტყვი, რომ ჩვენი აზერბეიჯანის დივიზია არის ლომი, რომელსაც ვერავითარი ფინიების ყეფა ვერ შეაშინებს. მანევრებმა დაამტკიცეს, რომ აზერბეიჯანის დივიზიას აქვს დიდი მიღწევები სამხედრო საქმეებში და ის დაიკავებს ღირსეულ ალაგს საკავშირო მუშათა და გლეხთა მთლიან წითელ არმიაში, მისი ისტორიული მისიის შესრულებაში, სოციალისტურ მშენებლობაში და მსოფლიო სოციალისტური რევოლუციის დაგვირგვინებაში.

ვანო სტურუა

მეთაური და წითელარმიელი

ენტუზიაზმი, დისციპლინა

1-ლი ქართ. საარტილერიო ლეგიონის ბიულეტენში (№ 3), რომელიც გამოდიოდა მანევრებზე, მოთავსებულია კორესპონდენცია მე-8-ე ბატარეიდან. კორესპონდენციაში, სხვათა შორის, ნათქვამია: „ნაწილის მოძრაობის დროს დაცულ იყო სრული წესრიგი და დისციპლინა. ფართოდ იქნა გამოყენებული დამკვრელობა და სოც. შეჯიბრება. ბატარეიაში არის 40 ინდივიდუალური დამკვრელი და 5 დამკვრელი ჯგუფი. არმიელებს შეგნებული აქვთ მანევრების მნიშვნელობა, გარკვეულნი არიან მის ამოცანებში და მუშაობენ ენტუზიაზმით".

არმიელთა წარმატებით მუშაობას ხელი შეუწყო მანევრების ყოველი ეტაპის გეგმის დაყვანამ ცალკე მებრძოლამდე. მეთაურები და პოლიტხელმძღვანელნი ღებულობდნენ ყოველგვარ ზომებს, რომ არმიელი გასცნობოდა „ბრძოლის" გეგმას, რათა შესაძლებლობა ჰქონოდა თავისუფლად და შეგნებულად ემოქმედნა „ბრძოლის" ველზე. ამ საქმეში დიდი როლი ითამაშა წითელარმიელთა პრესამ—საველე გაზეთმა, ბიულეტენებმა და „წითელარმიელმა".

მეთაურნი სოცშეჯიბრებაში

მეთაურთა შემადგენლობა მანევრებში იდგა თავის მოწოდების სიმაღლეზე.

როგორც „ბრძოლის", ისე დასვენების დროს მეთაურები იყვნენ არმიელებთან, მართავდნენ მათთან საუბრებს, აცნობდნენ მომავალი დღის გეგმას, ამოწმებდნენ ჩატარებულ მუშაობას. დასვენების დროს ხშირად შეხვდებოდით არმიელთა ჯგუფებს, რომელთა შორის იდგა მეთაური და ესაუბრებოდა არმიელებს ამხანაგურად: აძლევდა რჩევა-დარიგებას, უსწორებდა შეცდომებს.

მეთაურები მანევრებზე მთლიანად იყვნენ ჩაბმულნი სოც. შეჯიბრებაში. კავკასიის 1-ლი მსროლელი დივიზიის მეთაურთა შემადგენლობამ მანევრების დაწყებისას გამოიწვია სოც. შეჯიბრებაში სტალინის სახელობის ქართული დივიზიის უფროსთა შემადგენლობა. შეჯიბრების პირობები ითვალისწინებენ: მანევრების მიზნების და ამოცანების დაყვანას თვითეულ ცალკე მებრძოლამდე, ჯარის საუკეთესო მართვას, მებრძოლებში ინტერნაციონალურ კავშირის განმტკიცებას, ჯარის ნაწილების აქტიობის ამაღლებას. სტალინის სახელობის დივიზიის მეთაურთა შემადგენლობამ მიიღო მოძმე დივიზიის მეთაურთა გამოწვევა და პირობებში შეიტანა ახალი მუხლები: შტაბის და პოლიტაპარატის შორის მჭიდრო კავშირის დამყარება, ბრძოლის ტეხნიკური საშუალებების საუკეთესოდ გამოყენება, ზრუნვა იმაზე, რომ მებრძოლებმა დროზე მიიღონ სურსათ-სანოვაგე, ლიტერატურის თავის დროზე მიწოდება, ზედმეტი დატვირთვის აცდენა.

როგორ შეასრულეს მეთაურებმა ნაკისრი ვალდებულება? ამის საუკეთესო დამამტკიცებელია კავკასიის წითელ-დროშოვანი არმიის სარდლის ამხ. აფქსენტიევსკის შემდეგი სიტყვები მეთაურთა მუშაობის შესახებ მანევრებზე: „მეთაურებმა მოხერხებულად გამოიყენეს ჯარის მთავარი სახეები და ტეხნიკა. მეთაურნი მოხერხებულად მართავდნენ ჯარის ნაწილებს ფრიად რთულ პირობებში, აძლევდნენ მათ სწორ მიმართულებას, რაც ბრძოლის დროს, უზრუნველჰყოფს გამარჯვებას".

ავიაქიმელები მანევრებზე

გურიაში ჩატარებულ წითელი ჯარის მანევრებში მონაწილეობა მიიღო თავდაცვა-ავიაქიმის ორგანიზაციამაც. ქუთაისის თავდაცვა-ავიაქიმის საბჭოს დაავალებული ჰქონდა გამოეყო ერთი ასეული, რომელიც იმოქმედებდა წითლების მხარეზე, სტალინის სახელობის ქართულ დივიზიის ნაწილებთან ერთად.

ქუთაისის მშრომელებმა, რომლებსაც გავლილი ჰქონდათ პირველი საფეხურის სამხედრო ცოდნათა წრის მთელი კურსი, გამოსთქვეს სურვილი შეევსოთ ასეული. საჩქაროთ შესდგა მებრძოლი ასეული 175 კაცის შემადგენლობით. მეთაურები და პოლიტხელმძღვანელები ასეულისათვის გამოჰყვეს სტალინის სახელობის დივიზიის ნაწილებმა.

მანევრების პირველი ეტაპი—ლაშქრობა—ავიაქიმელების მიერ ჩატარებული იქნა წარმატებით. ავიაქიმელები ფეხდაფეხ მისდევდნენ არმიელებს; არ იყო ჩამორჩენის, ავადმყოფობის და წესრიგის დარღვევის არც ერთი შემთხვევა.

ნასაკირალზე „ბრძოლის" დროს ავიაქიმის ასეული მოქმედებდა მარჯვენა ფრთაზე. ასეულს დავალებული ჰქონდა გაემაგრებინა ფრონტის მარჯვენა ფრთა და პირველ შემთხვევისთანავე შემოევლო „ლურჯებისათვის" ზურგიდან. ოპერაციების დროს ასეული ზედმიწევნით ასრულებდა ყოველგვარ დავალებებს. სოც. შეჯიბრებამ დიდათ შეუწყო ხელი ასეულის აქტიობას.

ნასაკირალზე გამომჟღავნდა ავიაქიმელების კარგი სამხედრო მომზადება. ამასთანავე გამოირკვა, რომ ავიაქიმის ნაწილს აქვს საკმაო საბრძოლო გამოცდილება და შეუძლიან იმოქმედოს წითელი ჯარის ნაწილების გვერდით.

მანევრებზე, წითელ ჯართან ერთად, ავიაქიმმაც ჩინებულად ჩააბარა გამოცდა. შუამავლებმა მანევრების გარჩევაზე აღნიშნეს ავიაქიმელების საუკეთესო მოქმედება. დადებითად იქნა დახასიათებული ასეული მანევრების მთავარი ხელმძღვანელის მიერ.

ქუთაისის ორგანიზაციის გარდა, მანევრებში მონაწილეობა მიიღო აჭარისტანის თავდაცვა-ავიაქიმმაც. ამ ორგანიზაციამ გამოჰყო 15 ავიაქიმელი-აგიტატორი, რომლებიც მუშაობდნენ „ლურჯების" მხარეზე. ამ ამხანაგებმა გზადაგზა, ქობულეთიდან ოზურგეთამდე, ჩაატარეს დიდი მუშაობა. სოფლად იმართებოდა საუბრები სხვადასხვა საკითხებზე. სოფლებში ამხანაგების თაოსნობით ჩამოყალიბდა ავიაქიმის უჯრედები და მიზიდულ იქნენ ახალი წევრები ავიაქიმის რიგებში.

ა. წილოსანი.

წითელარმიელთა პრესა

მანევრების დროს სისტემატიურად გამოდიოდა საველე გაზეთი, დივიზიის ორგანო, „დამკვრელი", რომელიც იბეჭდებოდა მოძრავ სტამბაში. საერთოდ ძნელია მუშაობა გაზეთის გამოცემაზე ველად, ამისათვის არ არის არავითარი ხელსაყრელი პირობები, მაგრამ რედაქციამ და სამხკორებმა დასძლიეს ყოველივე სიძნელე და ჩინებულად შეასრულეს თავისი მოვალეობა.

„დამკვრელი"-ს პირველი ნომერი გამოვიდა ჯერ ისევ გორში. ამ ნომერში მოცემულია მასალები იმის შესახებ, თუ რა პირობების დაცვაა საჭირო მანევრების ამა თუ იმ ეტაპის წარმატებით ჩასატარებლად. „დამკვრელი"-ს შემდეგი ნომრები (სულ სამი ნომერი) გამოვიდნენ უკვე „ბრძოლის" ველზე და უშუალოდ აშუქებდნენ „ბრძოლის" მსვლელობას ამა თუ იმ ნაწილის მოქმედებას.

მთავარი, რაც იქცევს ყურადღებას, როდესაც ათვალიერებ „დამკვრელი"-ს ნომრებს, არის საღი კრიტიკა, დაშვებული შეცდომების გულწრფელად აღიარება. ეს ეხება როგორც მეთაურებს, ისე წითელარმიელებს.

„დამკვრელი" გაბედულად ააშკარავებდა ყოველგვარ უარყოფით მოვლენას, რომელსაც ადგილი ჰქონდა მანევრების დროს და მიუთითებდა ამა თუ იმ შეცდომებზე და მის გამოსწორების გზაზე.

ერთ-ერთმა ნაწილმა მიიღო დავალება, რომ სასწრაფოდ გადასულიყო შეტევაზე, რადგან შეტევას უნდა გადაეწყვიტა „ბრძოლის" ბედ-იღბალი.

ამოცანის შესრულება დაგვიანდა, რადგან ასეულის მეთაურები იყვნენ უკან და მათ შეკრებას მოუნდა 10-15 წუთი. ეს შეცდომა აღნიშნულია—„დამკვრელი"-ს ფურცლებზე.

არმიელი, კომკავშირის წევრი, დათუნაშვილი გამოიწვიეს ამხანაგებმა სოც. შეჯიბრებაში. დათუნაშვილმა, გამოწვევის საპასუხოდ, ძალა მისცა თავი და დაემუქრა ამხანაგებს: „არ გაბედოთ ჩემი გამოწვევა შეჯიბრებაში"-ო—არც ეს მოვლენა დასტოვა აღუნიშნავი „დამკვრელ"-მა.

„დამკვრელი" დიდათ დაეხმარა არმიელებს და მეთაურებს მანევრების დროს და სავსებით გაამართლა თავისი დანიშნულება.

ხილ-ბოსტნეულის დამზადება ახალციხის რაიონში საფრთხეშია

„ა.-კ. ბაღბოსტანკავშირი" დაუშვებელ გულგრილობას იჩენს ზამთრის ბოსტნეულის დამზადებაში. — ხილის დამზადება გორის რაიონში კერძო ვაჭრების ხელშია. — გორის საკონსერვო ქარხანა ნედლეულის უქონლობის გამო ვერ ასრულებს საწარმოო გეგმას. — თბ. მუშკოოპს არა აქვს გეგმა საბჭოთა მეურნეობების მშენებლობის გასაშლელად.

ურყევად შევასრულოთ პარტიის დირექტივა ქალაქის გარე უბნებში საბჭოთა მეურნეობების მშენებლობის შესახებ

მუშკოოპის უთავბოლო მუშაობის შედეგი

სამომხმარებლო კოოპერაცია და კერძოდ თბილისის მუშკოოპი სასოფლო - სამეურნეო პროდუქტების წარმოების გაშლის საქმეში დაუშვებლად ნელი ტემპით მოქმედობენ. საქ. კ. პ. (ბ) ცეკა 7 სექტემბრის დადგენილებით წინადადებას იძლევა ყოველნაირად იქნას გამოყენებული ადგილობრივი რესურსები, მაქსიმალურად გაიშალოს კოოპერატიული წარმოება. ეს დადგენილება ითვალისწინებს არა მარტო იმას, რომ, რაც შეიძლება გადიდდეს ბოსტნების ფართობი, შეიქმნას ახალი და გაფართოვდეს არსებული სარძევე ფერმები, მეღორეობის მეურნეობანი და სხვა, არამედ გადაჭრით ავალებს **სამომხმარებლო კოოპერაციას დაადგეს მეურნეობის რაციონალური გაძღოლის გზას.**

თბილისის მუშკოოპი ძლიერ ცუდად უძღვება მეურნეობას. ქალაქის სანაპირო მეურნეობით იგი ძლიერ ნაკლებად არის დაინტერესებული. იმ სამეურნეობაში, რომელიც საქ. სახ. ვაჭრობამ გადასცა მუშკოოპს, საქმე იქამდე მიდის, რომ ერთი ქათამი რამდენიმე ათეულ მანეთი ჯდება და ეს იმიტომ, რომ ინკუბატორში აყარებელი კვერცხი ფუჭდება, ხოლო შემდეგ იხოცებიან წიწილები.

მებოსტნეობაც ათვალწუნებულია.

აპრილში მუშკოოპის ქალაქის სანაპირო მეურნეობის განყოფილებამ ერწო-თიანეთის რაიონში მიავლინა აგრონომი თავისუფალ მიწებზე კარტოფილის დათესვის მიზნით. სათანადო ოქმის მიხედვით, რომელსაც ერწო-თიანეთის რაიონის ხელისუფლება ამოწმებს, მუშკოოპმა ამ რაიონში დასთესა 160 ჰექტარი მიწა. რაკი მუშკოოპმა აქტი იგდო ხელთ, ყველაფერი გათავებულად ჩასთვალა და დამშვიდდა. ქალაქის სანაპირო მეურნეობებმა უნდა მოგვცენ კარგი მოსავალი, უნდა გადაიქცენ საჩვენებლად გლეხობისათვის, მაგრამ მუშკოოპის სამეურნეო მუშაობა ერწო-თიანეთის რაიონში მხოლოდ გულისტკივილს იწვევს. კარტოფილი დაითესა ტრაქტორით მოხნულ მიწაზე, მაგრამ დაითესა იმდენად ცუდად (რასაკვირველია, ტრაქტორის მიზეზით კი არა, არამედ იმ პირთა გულგრილობის წყალობით, რომელთაც თვალყური უნდა ედევნებიათ ხვნისათვის), რომ კარტოფილი მიწაში 1-1,5 ვერშოკის სიღრმეზე იმყოფება. კარტოფილი ძლიერ მოროშორის არის დათესილი და იმავე დროს დათესილია ძლიერ გვიან, ივლისის დამლევს. კარტოფილი გაიმარგლა მხოლოდ ერთხელ მიწის მიყრა კი ნორმალური დამუშავების წესით არ სწარმოებს, რის გამო კარტოფილს შერეული აქვს მავნე ბალახი. მიუხედავად იმისა, რომ კარტოფილის ნათესებს 6 დარაჯი ჰყავს, მას მაინც საქონელი აფუჭებს. ამ რაიონში კარტოფილის თესვის სახელმძღვანელოდ გაგზავნილი იყო აგრონომი მამუკიძე. მან ნათესები გაფანტა დაახლოებით 80 ნაკვეთ მიწაზე, რომელთაგან ზოგიერთი 20-25 ვერსით არის დაშორებული ერთმანეთზე. აშკარაა, ასეთ პირობებში მეტად ძნელია ნათესების თვალყურის დევნება. შედეგად კარტოფილის მოსავალი საშუალოზე ნაკლებია და კარტოფილიც მეტად წვრილი გამოვიდა. კარტოფილი უფრო კაკალს ჰგავს, ვიდრე კარტოფილს. მუშკოოპი ვარაუდობს, რომ ერწო-თიანეთიდან მიიღებს კარტოფილის მოსავალს 80 ათასი ფუთის რაოდენობით, მაგრამ ისიც კარგი იქნება, თუ 35-40 ათასი ფუთი მიიღოს. ჯერ არ არის გამორკვეული, რა დაჯდება კარტოფილი, ვინაიდან არ არსებობს არავითარი გასამართლებელი საბუთები, ხარჯთაღრიცხვა, ანგარიშები და სხვა.

როგორ ხელმძღვანელობას უწევდა კარტოფილის ნათესებს მუშკოოპის გამგეობა? ადგილობრივად მყოფ აგრონომს გაეგზავნა ერთი სადირექტივო წერილი და ერთხელაც პლანტაციებს ესტუმრა მუშკოოპის ქალაქის სანაპირო მეურნეობათა განყოფილების გამგე ამხ. მაქსიმოვი. ეს იყო და ეს მთელი „ხელმძღვანელობა".

ახლა მუშკოოპი იწყებს 1930-31 წლისათვის მზადებას, მაგრამ იწყებს სრულიად მექანიურად. მან არ იცის რამდენი თავისუფალი ფართობი იქნება ერწო - თიანეთის რაიონში, მაგრამ ზეპირად ვარაუდობს 500 ჰექტარს.

არ შეიძლება საქმის ასეთნაირად გაძღოლა ქალაქის სანაპირო მეურნეობათა გაშლის დარგში. უნდა შესრულდეს საქ. კომპარტიის (ბ) ცეკას დირექტივა ადგილობრივი რესურსების მაქსიმალურად გამოყენების შესახებ, მაგრამ ამისათვის საჭიროა დაუყოვნებლივ გადაისინჯოს მუშკოოპის ქალაქის სანაპირო მეურნეობათა განყოფილების მუშაობა.

ბოსტნეულის დასამზადებლად ახალციხის რაიონში არაფერი კეთდება

ახალციხის რაიონი, მეხილეობისა და მებოსტნეობის ერთი მნიშვნელოვანი რაიონთაგანია საქართველოში. აქ კარტოფილის, ხახვის, კომბოსტოს და სხვ. ბოსტნეულობის მოსავალი, ყოველთვის აჭარბებს საქართველოს სხვა კუთხეების ბოსტნეულობის მოსავალს. ახალციხის ვაშლი იშვიათი საექსპორტო ღირსებისაა. მიმდინარე წელს უნდა დამზადდეს: კარტოფილი—498.317 ფუთი. ხახვი—14.592 ფუთი, კომბოსტო—48.637 ფ. და სხვ. რაც შეეხება ვაშლს, იგი დაკონტრაქტებულია 135.840 ფუთის რაოდენობით და რამდენადაც გამოკვლევამ დაადასტურა ამ რაოდენობას თუ გადააჭარბებს, თორემ არაფერი დააკლდება.

ხილისა და ბოსტნეულობის დამზადების სეზონი უკვე დაწყებულია. სექტემბერში უნდა დამზადდეს: ვაშლი—27.270 ფუთი, კარტოფილი, 99.624 ფუთი. ხახვი—1.500 ფ. და კომბოსტო 1364 ფუთი.

არიან თუ არა მზად ამისათვის დამამზადებელი ორგანიზაციები? ამიერ-კავკასიის ბაღბოსტანკავშირს, რომელიც იბარებს ამ საქონელს რაიკავშირიდან, დღეისათვის უკვე უნდა ჰქონდეს მოწყობილი ხუთი მაცივარი და 2 ქვე პუნქტი, მაგრამ არც ერთი მათგანი ჯერ კიდევ არ არის მზად.

ვაიხანის დამამზადებელ პუნქტებში მოწყობილია ნაუცბათევი ფიცრული საწყობები, რომელიც ნახევრად ჯერ კიდევ დაუხურავია. ამის გამო ხილს აწვიმს და ლპება. ამასთან, მიწის იატაკი დაუტკეპნელია და შენობა მტვერითაა სავსე. შენობა ვერ დაიტევს საქონლისა და მუშების იმის მესამედსაც, რაც გათვალისწინებულია გეგმით.

ადიგენის პუნქტიც ფიცრული შენობისაა. წვიმა აქაც ჩამოდის და ანადგურებს ხილს. საწყობში არავითარი ხელსაწყო არ არის. ასეთივე მდგომარეობაშია აწყურის პუნქტიც, ჩამოდის წვიმა, მიწის იატაკი დაუტკეპნელია და მისადგომი გზაც არა აქვს. ასეთივე მდგომარეობაში იმყოფებიან ახალციხის რაიონის ბოსტნეულობის საზაფხულო საწყობები. რაც შეეხება საზამთრო საწყობებს, მზადება თებერვლამდე გრძელდება, მაგრამ დღემდე ამაზე ჯერ არავის უფიქრია.

ადგილობრივი მუშა-ხელით მომარაგებისათვის, სხვა რაიონიდან მოსაყვანად მუშათა რაოდენობის გამოკვლევისათვის, მუშათა ბარაკების მოწყობისათვის, მათი სურსათ-სანოვაგით მომარაგებისათვის და სხვ. ჯერ-ჯერობით არაფერი კეთდება. დამზადება უკვე დაწყებულია, უკვე მოდის ხილი და ბოსტნეული დასამზადებლად, მაგრამ ჯერ ამიერ-კავკ. „ბაღბოსტანკავშირს" პუნქტებისათვის მიმღები რწმუნებულებიც არ ჰყავს გამოყოფილი.

რაც მთავარია, დღემდე არც ერთ დაინტერესებულ ორგანიზაციას არავითარი ზომები არ მიუღიათ ტრანსპორტის საკითხის მოსაგვარებლად.

ამის გამო სექტემბრისათვის რაიკავშირის მიერ დამზადებული 1.500 ფ. ხახვი ვერ იქნა გადატანილი დანიშნულების ადგილას და მის გასასაღებლად ადგილობრივ დაიწყეს ბაზრის ძებნა.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ კარტოფილის ანგარიშში მისაცემი ფქვილი ჯერაც არაა მიღებული. გლეხობა ნდობით ეპყრობა დამამზადებელ ორგანიზაციებს, მაგრამ ეს უკანასკნელნი გაამართლებენ კი გლეხობისა და ხელისუფლების ნდობას? ვფიქრობთ, ასეთი მუშაობით ისინი ვერ გაამართლებენ მათ წინაშე მდგომ ამოცანებს.

ახალციხეს ამთავითვე უნდა მიეშველება, თორემ ხილისა და ბოსტნეულის დამზადება საფრთხეში ჩავარდება.

გ. რიონიძე.

უწესრიგობა ხილის და ბოსტნეულის ბაზარზე

(ტელეგრაფით საკუთარ კორესპონდენტისაგან)

გორის საკონსერვო ქარხანა ისევ საფრთხის წინაშეა. იგი ვერ ასრულებს მეორე კვარტალის საწარმოო გეგმას ნედლი მასალის უქონლობის გამო. ამას წინად გამოქვეყნდა საკავშირო ვაჭრსახკომის კოლეგიის № 161 ბრძანება, რომლის ძალით საკონსერვო ქარხნებს 30 კილომეტრი რადიუსის ფარგლებში ეძლევათ მონოპოლიური უფლებები ხილის და ბოსტნეულის დამზადების საქმეში.

უკანასკნელ დროს გორის სადგურიდან აყარებული ხილი გადიოდა რკინის გზით კერძო დამამზადებელთა მისამართით. გორის საკონსერვო ქარხანამ მიითვისა ბაზრის მოწესრიგების ფუნქციები და იკისრა ადმინისტრატიული ღონისძიებების გატარება. ამ მიზნით მათ დააყენეს თავისი კაცი რკ. გზის სადგურზე, რომელიც უკრძალავდა და აკავებდა კერძო დამამზადებელთა ხილსა და ბოსტნეულს. გორის შინავაჭრობის კომისიამ მოხსნა მათი დაყენებული კაცი და არც თითონ გაუწია მეთვალყურეობა კერძო დამამზადებელთა მოქმედებას. ამჟამად გორის სადგურიდან ყოველდღიურად გადის 1.000—1.500 ფუთი მარტო ატამი, კერძო დამამზადებელთა მისამართით.

გლეხობამ არ შეასრულა კონტრაქტაციის გეგმა. იგი კერძოზე ატამს ყიდის 10-12 მანეთად ფუთს, როდესაც ქარხანა მათ აძლევთ მხოლოდ 4 მანეთს. საუკეთესო ხარისხის ხილი კერძოებს უვარდებათ ხელში და უვარგისი, ძირს ნაყარი ხილი კი ბარდება გლეხობის მიერ საკონსერვო ქარხანას კონტრაქტაციის ანგარიშში. არც კოლმეურნეობები ასრულებენ კონტრაქტაციის ხელშეკრულებას. მაგ. ტინისხიდის და მერბუკის არტელები პამიდორს ჰყიდიან კერძო ბაზარზე 4—6 მანეთად ფუთს, როდესაც ამ არტელს ხელშეკრულება აქვთ დადებული ქარხანასთან.

არც გორის ეპოს საავაჭროებშია ხილი. ბაღბოსტანკავშირის გამგეობა არ ასრულებს თავის ვალდებულებას გორის ბაზრის მოწესრიგების და ხილით დაკმაყოფილების შესახებ. გორის კერძო ვაჭრები ბითუმად ჰყიდიან ხილს. სადგურის ახლოს გახსნილია პატარა ბუდკები, რომლებშიც ყოველ საღამოს გორის მატარებელზე ასაღებენ თითო 200-250 ფუთს მაინც. იგინი გირვანქობით აღარ ვაჭრობენ. სპეკულიანტები უწევენ ფასებს ყოველდღიურად. თავისუფლად აგზავნიან ხილს არა თუ მარტო რკინის გზით, არამედ ფოსტითაც. ეს უკანასკნელი განსაკუთრებულ სამსახურს უწევს სპეკულიანტებს ხილის მიღებაში და დროზე გატანაში. დღემდი არ არის სისრულეში მოყვანილი გორის მებაღე-მებოსტნეთა არტელის პროდუქციის ადგილობრივ ბაზარზე გასაღების საკითხი. ყველა ორგანიზაციები სრულ დაბნეულობას იჩენენ ამ საქმეში. საქართველოს ვაჭრ. სახკომი ვერ ხელმძღვანელობს ამ საქმეს.

ყველა ამის გამო საკონსერვო ქარხნის საწარმოო გეგმის შესრულება საფრთხეშია.

მოწამე.

ლენინის პროსპექტის გაყვანის გარშემო

(წერილი რედაქციის მიმართ)

„კომუნისტი“-ს 4 სექტემბრის №-ში (206) მოთავსებული ანგარიში იმ მოხსენებისა, რომელიც გაიმართა მელიოთიონეთა კლუბში, საკითხზე იმის შესახებ, თუ რა მიმართულებით უნდა იქნეს გაყვანილი ლენინის პროსპექტი?“ აქ ხაზგასმული სათაურით მოთავსებულ ანგარიშში ნათქვამია, რომ პროსპექტის პროექტს, რომელიც მე, ინჟ. ფილდტს, მეკუთვნის ოთხი დეფექტი აქვს.

ამის შესახებ საჭიროდ მიმაჩნია განვაცხადო, რომ ეს დეფექტები ჩემს პროექტს უპოვეს არა ყველა დამსწრე სპეციალისტებმა, არამედ მხოლოდ თბილისის აღმასკომის ინჟენერებმა, რომელნიც ანხორციელებენ თავიანთ პროექტს და ჩემს პროექტში პოულობენ არ არსებულ დეფექტებს, როგორიც არის თითქმის ის ჩემი აზრი, რომ 1) უნდა გაფართოვდეს ლენინის ქუჩა... პირიქით, ეს ნაკლი კი არ არის, არამედ დიდი უპირატესობაა, ვინაიდან ადრე თუ გვიან ლენინის ქუჩა მაინც უნდა გაფართოვდეს. არ უნდა დავივიწყოთ, რომ ზემელიდან მოძრაობა განსაკუთრებით დიდი იქნება, ვინაიდან მოძრაობა მიდის სამი მიმართულებით — ვაკისკენ, საბურთალოსკენ და სადგურისაკენ, ამიტომ უმჯობესია ახლავე გაფართოვდეს ლენინის ქუჩა რუსთაველის პროსპექტის ოდენად, ამისათვის საჭიროა სულ 6 სახლის დანგრევა, მარცხენა მხარეზე, თუ რუსთაველის პროსპექტიდან ვიანგარიშებთ. თბილისის აღმასკომი კი ამჟამად აგებს ახალ სახლებს, რომლებიც 3—4 წლის შემდეგ დასანგრევი გახდება.

მეორე ნაკლი — მაღალი ვიადუკი ძვირი ჯდება... ეს ვიადუკი, პირიქით, ძალიან იაფი დაჯდება, ვინაიდან ორნაირად იქნება გამოყენებული — როგორც ხიდი და როგორც კულტურისა და დასვენების პარკისათვის საჭირო შენობა.

მესამე ნაკლი — პროსპექტი მცირედ დასახლებულ ადგილებზე გაივლის. არც ეს არის ნაკლი, არამედ დიდი უპირატესობაა, განსაკუთრებით **მასიური სატრანზიტო მოძრაობისათვის**, ვინაიდან ლენინის პროსპექტი გადის ვერის პარკზე და საბურთალოს პლატოს დაქანებაზე, რაც განსაკუთრებით ლამაზია ყოველი მაგისტრალური ქუჩისათვის.

მეოთხე ნაკლი — პროექტი არ იძლევა უმოკლეს მიმართულებას სადგურიდან უნ-ტისაკენ, არამედ მხოლოდ უმოკლეს მიმართულებას სადგურიდან ადმინისტრატიულ ცენტრისაკენ... მაგრამ საქმე იმაშია, რომ ეს უკანასკნელი მიმართულება ყველაზე საჭიროა მთელი ქალაქისათვის, ვინაიდან ამ მიმართულებით ყოველთვის იყო და იქნება უდიდესი სატრანზიტო **დიდი სისწრაფის** მოძრაობა, რაც ამჟამად მიდის პლეხანოვის პროსპექტზე, ქორესის ვიწრო ქუჩაზე და ელბაქიძის მაღალ აღმართზე. რა თქმა უნდა, არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება აქ **დიდი სისწრაფის** მასიური მოძრაობის დატოვება—ამ მიმართულებით ყოველთვის განსაკუთრებით დიდია უბედურ შემთხვევათა რიცხვი.

ამრიგად, თბილისის აღმასკომის ინჟენერების მიერ აღნიშნული დეფექტები პირიქით ჩემი პროექტის **თვალსაჩინო უპირატესობას** წარმოადგენენ, რაც საჭიროდ მიმაჩნია განვაცხადო საქმის საერთო სარგებლობისათვის, რათა არჩეულ იქნას უფრო ხელსაყრელი მიმართულება ლენინის პროსპექტისათვის, რომელიც რუსთაველის პროსპექტის მსგავსად, ქალაქ თბილისის საუკეთესო დამამშვენებელი უნდა გახდეს და არა ვერის ხრამში გადაეშვას, ისიც დაქანებული დაღმართით, და არა ისე ვიწრო იქნეს, როგორისაც ამას თბილისის აღმასკომის ინჟენერები თავიანთ პროექტში ითვალისწინებენ.

ინჟენერი ვ. ფილდტი.

ახალი სასწავლებელი ფოთში

სახალხო განათლების სისტემის რეორგანიზაციასთან დაკავშირებით, განათლების სახალხო კომისარიატი ფოთში ატარებს შემდეგ მუშაობას:

დამდეგ სასწავლო წლისათვის იხსნის საზღვაო და სუბტროპიკულ ტეხნიკუმებს, პროფტეხნიკური სკოლა და ორი შვიდწლედი გადაკეთდა საქარხნო - საფაბრიკო სკოლებად. ქალთა ჭრა - კერვის სკოლა გაუთანაბრდება 7 წლედს და ის გადაეცა სარეწაო კოოპერაციას.

მუშფაკებში შესვლის მსურველთათვის იხსნება მოსამზადებელი კურსები.

საქ.—საბ. სკოლის აგება თბილისში— ბრძოლის ქუჩაზე

სრ. საქ. მბეჭდავთა კავშირის მერვე ყრილობა

ცენტრალური გამგეობის ანგარიში

მესამე სხდომაზე ყრილობამ მოისმინა ამხ. **ვ. ნაცვლიშვილის** მოხსენება ცენტრალური გამგეობის განვლილი მუშაობის შესახებ.

ცენტრალურმა გამგეობამ,—ამბობს მომხსენებელი,—მუშაობის დაწყებიდან განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია წვრილი სტამბების გაერთიანებას და უმუშევრობასთან ბრძოლას. 1929 წლიდან საგრძნობლად გაიზარდა სასტამბო მუშაობა და ამჟამად ჩვენ არ გვყავს კვალიფიციური უმუშევრები, პირიქით, განვიცდით კადრების ნაკლებობას. დიდი ყურადღება ექცეოდა სოც. შეჯიბრების და დამკვრელობის ფართოდ გაშლას. ამჟამად სოც. შეჯიბრებაში ჩაბმულია მუშათა 88 პროც., დამკვრელ ბრიგადებში 50 პროცენტამდე. სოც. შეჯიბრების შემოწმების დროს გარდამავალი ჯილდო (წითელი დროშა) მიეცა პირველ სტამბას. ამჟამად გარდამავალი ჯილდო მესამე სტამბის ხელშია. რაც შეეხება ადმინისტრაციას, ის შეჯიბრებას ნაკლებ ყურადღებას აქცევს. დანაკარგებთან ბრძოლაში გვაქვს მიღწევები, მაგრამ მათი სათანადოთ აღრიცხვის საქმე მოუგვარებელია. სათანადოთ არაა შეთვისებული ადმინისტრაციის მიერ ერთმმართველობის პრინციპი. საანგარიშო პერიოდში განუწყვეტელ საწარმოო კვირაზე გადაყვანილია 12 წარმოება-დაწესებულება, რომლებიც აერთიანებს 744 მუშა-მოსამსახურეს; შვიდი საათის სამუშაო დღეზე გადაყვანილია რამდენიმე სტამბა.

საწარმოო თათბირების მიერ დამუშავებული წინადადების უმრავლესობას ადმინისტრაცია ანხორციელებდა. მიმდინარე წელს დაიდევით 19 კოლხელშეკრულება, მათ შორის 7 გადავიდა კონფლიქტში. მუშების ხელფასი გაიზარდა 15 პროცენტით, რაც უმთავრესად უნდა მიეწეროს შრომის ნაყოფიერების სისტემატიურ ზრდას.

ცენტრალური გამგეობა ენერგიულ ზომებს იღებდა მუშებისათვის კულტურული სამსახურის გასაწევად. კულტმუშაობა სწარმოებდა როგორც კლუბში, ისე ადგილობრივ, წარმოებებში სხვადასხვა წრეების საშუალებით, კულტმუშაობამ საგრძნობლად შეუწყო ხელი სოც. შეჯიბრების გაშლას.

კოოპერაციაში გაერთიანებულია მუშა-მოსამსახურეთა მთელი ასი პროცენტი. მუშკოოპთან დადევით მუშათა მომარაგების შესახებ ხელშეკრულება, მაგრამ მუშკოოპმა ამ ხელშეკრულების შესრულება მთლიანად ვერ შესძლო.

საანგარიშო პერიოდში გვქონდა 539 კონფლიქტი. აქედან 90 პროცენტი მუშების სასარგებლოდ გადაწყდა. კურორტებზე დასასვენებელ სახლებში გაიგზავნა მუშების 25 პროცენტი. დიდი მიღწევები გვაქვს მუშათა დაწინაურების დარგში. ამჟამად დაწინაურებულია 84 მუშა. მწვავედ სდგას კადრების მომზადების საკითხი, მაგრამ მიმდინარე წელს საქარხნო-საფაბრიკო სკოლაში უნდა მივიღოთ 150 კაცი. მათი ერთი ნაწილი მიიღებს 3 წლის ვადით დანარჩენი 6 თვის ვადით.

შემდეგ მომხსენებელი შეეხო გამგეობის მიერ სოფლად წარმოებულ მუშაობას, ქალთა შორის მუშაობას, წერა-კითხვის უცოდინარობის აღმოფხვრას, კედლის გაზეთების გავრცელებას, საწრეო მუშაობას, საწევრო ანარიცხების აკრეფას, პიონერთა შორის მუშაობას, საბჭოთა აპარატის წმენდაში მონაწილეობას და კავშირის ფინანსიურ მდგომარეობას.

გუშინ დილით, მეოთხე სხდომაზე ამხ. ნაცვლიშვილმა თავისი მოხსენება გაიმეორა რუსულ ენაზე. იმავე სხდომაზე სარევიზიო კომისიის სახელით მოხსენება გააკეთა ამხ. **არ. სიხარულიძემ** კავშირის ფინანსიური მდგომარეობის შესახებ, რის შემდეგ გაიხსნა კამათი. საღამოს მე-5 სხდომაზე გრძელდებოდა კამათი ცენტრალური გამგეობის ანგარიშის ირგვლივ.

ქ უ თ ა ი ს ი

(ჩვენი საკუთარი კორესპონდენტისაგან)

რიონჰესში არ სწარმოებს უბედურ შემთხვევათა წინააღმდეგ ბრძოლა

უკვე ორი თვეა, რაც რიონჰესის მე-4 უბანში აწყობენ გერმანიიდან მიღებულ მრავალნიჩბიან ესკავატორს გერმანელი სპეციალისტების ხელმძღვანელობით. ამ ხნის განმავლობაში ოთხჯერ ჰქონდა ადგილი მარცხს და უბედურ შემთხვევას, რის წინააღმდეგ არავითარი ზომები არ არის მიღებული ტეხნიკური უშიშროების პირობების შესაქმნელად.

რიონჰესის შრომის ტეხნიკური ზედამხედველი არავითარ ყურადღებას არ აქცევს ამ უბნებში ტეხნიკური უშიშროების საკითხებს, არ არის უბნების თვალსაჩინო სამუშაო ადგილებზე პლაკატები, არ სწარმოებს საუბრები და ახსნა-განმარტებები უბედური შემთხვევების თავიდან ასაცილებლად. ცენტრის მიერ ამ მიზნისთვის გადადებული 8.000 მანეთი გამოუყენებელია. ერთი სიტყვით, რიონჰესის მშენებლობაზე უბედური შემთხვევების თავიდან ასაცილებლად სერიოზულად ჯერ არავის უფიქრია. ამას უნდა დაუმატოთ სასწრაფო დახმარების საქმის მოუწესრიგებლობა, რაც ცხადია დიდ გავლენას ახდენს რიონჰესის მშენებლობაზე. ამას წინათ რიონჰესის 1 გვირაბში ვენტილიაციის დაუდგმელობის გამო გაზით მოიწამლა 12 კაცი, რომ დროზე დაედგათ ვენტილიაცია ეს მარცხი აცილებული იქნებოდა.

საჭიროა რიონჰესის ადმინისტრაცია გამოფხიზლდეს და მშენებლობას შეუქმნათ პირობები ნორმალური მუშაობის საწარმოებლად.

ვ.

რა ხდება კვახჭირის პლანტაციებზე

კვახჭირში არსებობს რამის კულტურის საცდელი სამეცნიერო სადგური. ამ სადგურის სამმართ-ში ადგილი აქვს დიდ უყაირათობას და დაუდევრობას, ნადგურდება და იხრდება სახალხო ქონება, აუარებელი თანხები იხარჯება და მიზანს ვერ აღწევენ. სადგურის დირექციამ ლენინგრადიდან გამოიწერა სამი სტანდარტული სახლი, რომელთაგან თვითეული დაჯდა 14.000 მანეთი, იმ დროს, როდესაც ასეთი გაცილებით იაფად აშენდებოდა ადგილობრივად. ამას გარდა ყოველგვარ გეგმის გარეშე გაიყვანეს არხი 3 კილომეტრის მანძილზე რამის მოსარწყავად. მაგრამ ამ მუშაობამ თითქმის ფუჭად ჩაიარა, ფულად კი 20.000 მანეთი დაიხარჯა. სადგურის მესვეურები ფიქრობდნენ არხის წყლის ტრაქტორით ამოქაჩვას, მაგრამ ეს შეუძლებელი შეიქნა და დღეს საჭიროა დინამო-მოტორის შეძენა, რომ ასეთი ამოქაჩული იქნას, რადგან გაყვანილ არხში გუბე დგას და ძალზე აფერხებს ძვირფასი მცენარის მოშენების საქმეს.

თვით ადმინისტრაცია ძალზე უხეშად ეპყრობა მუშებს. პრაქტიკანტებს ყოვლად აუტანელ პირობებში უხდებათ მუშაობა. ამ გარემოებას კი ყურადღებას არავინ აქცევს.

საჭიროა საფუძვლიანად გამოკვლეული იქნას კენდირ-რამის სადგურში გამეფებული დაუდევრობანი და დამნაშავეებს სასტიკი პასუხი მოეთხოვოს.

ბ.

ქუთაისის ქრონიკა

კადრები სასილოსო მშენებლობისათვის

ქუთაისის რაიონში სილოსის მშენებლობისათვის მომზადებული იქნება 57 კოლმეურნე. სასოფლო საბჭოებზე მიმაგრებულია აგრონომები ერთი კვირით სასილოსო კამპანიის ჩასატარებლად.

ქალთა კონფერენცია

15 სექტემბერს ქუთაისში მოწვეულია ქალთა რაიონული კონფერენცია.

ქრონიკა

ახალი კადრები სასოფლო - მეურნეობისათვის

სასოფლო მეურნეობისათვის ახალი კადრების მოსამზადებლად მიწადმოქმედების სახ. კომისარიატმა გადასდო 272,990 მანეთი.

ბრძოლა ტეხნიკურ უშიშროების წინააღმდეგ

წარმოებებში ტეხნიკურ უშიშროების დაცვის გასაძლიერებლად და მუშათა შრომის პირობების გასაუმჯობესებლად ამიერ-კავკასიაში არსდება სპეციალური ინსტიტუტი.

400 ათასი მანეთი წყალდიდობასთან საბრძოლველად

მდინარეების კალაპოტების გასამაგრებლად და ახალ დამბების მოსაწყობად ა.-კავკასიის ფედერაციაში შემავალ რესპუბლიკანურ წყალთა მეურნეობის სამმართველოებს მიეცემათ 400.000 მანეთი.

150.000 მან. სასკოლო შენობების ასაგებად

ა.-კავკასიის სახ. კომისართა საბჭომ სასკოლო მშენებლობის გასაძლიერებლად საქ. განათლების სახალხო კომისარიატს გადასცა 150.000 მან.

ნახევარი მილ. მ. უმ. სასწავლებლებისათვის

უმაღლეს და ტეხნიკურ სასწავლებლებისათვის საჭირო შენობების ასაგებათ და ლაბორატორიების მოსაწყობათ დამატებით გამოთხოვილია ნახევარი მილიონი მანეთი.

სხვადასხვა

— დღეს, საღამოს 6 საათზე, საზ-ბა „წერა-კითხვა“-ს ცენტრ. გამგეობის ბინაზე (თავისუფლების მოედანი, ქარვასლაში) შესდგება თათბირი საყოველთაო - სავალდებულო სწავლების შემოღების და წერა - კითხვის უცოდინარობასთან ბრძოლის საკითხებზე. თათბირს უნდა დაესწრონ 1-ლი, მე-2, მე-3 რაისაბჭოების და სარევიზიო კომისიის წევრები. მოწვეულია აგრეთვე მთავარ პოლიტგანის, განათლების კავშირის, პოლიტგანის, კომკავშირის, ცეკავშირის, სახელგამის და პრესის წარმომადგენლები.

— **მუშათა სახახლის მცირე დარბაზში** დღეს, საღამოს 6 საათზე, შესდგება სტუდენტთა ბიუროს მიერ გამოყოფილი ბრიგადების თათბირი გაზეთ „პროლეტარული სტუდენტი“-ს მომუშავეებთან და სტუდკორებთან ერთად.

შეცდომის გასწორება

გაზ. „კომუნისტი“-ს 111 №-ში (10 სექტემბერი) დაბეჭდილ ს.ს.ს.რ. ცაკის მოწოდებაში, სათაურში დაშვებულია შეცდომა. სწერია: „... და ფოთის სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს“. უნდა იყოს: „... და ყველა სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს“.

შემთხვევები

ჯიბგირობა

გოგლა ივანეს ძე არეშიშვილს ბაყლის ქუჩაზე ჯიბიდან ამოაცალეს 40 მან.—ბორის დიმიტრის ძე პრეტუჩენსკის ამოაცალეს 110 მან. ფული და 150 მან. ობლიგაციები.

ვისია საათი?

სისხლის სამართლის მილიციამ აღმოაჩინა დაკარგული ვერცხლის საათი, რომლის პატრონი უნდა გამოცხადდეს სისხ.-სამ. მილიციაში ამხ. გ. გვენცაძესთან. ოთახი № 7.

დაჭრა

ალექსი პორფირეს ძე რეზნიჩენკომ თოფით დასჭრა ალექსი ნიკოლოზის ძე შიშოვი (პლეხანოვის პროს. № 172) დაჭრილს აღმოუჩინეს საექიმო დახმარება და მოათავსეს კამოს სახელობის საავადმყოფოში.

თავის მოწამვლა

სტეფანე ნიკოს ძე პაპიჯანაშვილმა (პარკოფელის ქ.№ 44) მოიწამლა თავი.

საქართველოს საბჭოთა აღმშენებლობის და სამართლის ინსტიტუტში

მიღებულთა სია

კიკაჩეიშვილი სერგო სიმონის ძე, მოდებაძე ალექსანდრე ბესარიონის ძე, რეხვიაშვილი შიო სანდროს ძე, შვანგირაძე იოსებ ივლიანეს ძე, დევდარიანი ვლადიმერ სერგოს ძე, ქარსალაშვილი მარიამ ევგენის ას., შველიძე ალექსანდრე ერმილეს ძე, უკლება დავით ანდრიას ძე, ქუთათელაძე გიორგი სიმონის ძე, მანჯავიძე გრიგოლ იორამის ძე, ხოფერია ტარასი სილიბისტროს ძე, გაბელია ალექსანდრე ივანეს ძე, ტრაპაიძე ვლადიმერ ვასილის ძე, კვერნაძე გრიგოლ ილიას ძე, გაბეჩავა ალექსანდრე კალისტრატეს ძე, დოლიძე მარიამ სარდიონის ას., ერემოვი გრიგოლ არტემის ძე, ნაკოფია პლატონ კონსტანტინეს ძე, კალანდია ვასილი პავლეს ძე, ბაძაღუა ალექსანდრე ნესტორის ძე, გუგუნავა ალექსანდრე ბევანის ძე, გვიდანი ისააკი გერასიმეს ძე, მარგიანი ვარლამ დავითის ძე, ბერიშვილი ეკატერინე ივანეს ას., ხადურიშვილი ეკატერინე ვლადიმერის ას., წიქარიშვილი გიორგი პავლეს ძე, ზაქარია ვლადიმერ ძუკუს ძე, ზაქარაია კონსტანტინე გახუს ძე, ჯიქია ივანე სამსონის ძე, შურღაია ვლადიმერ მაქსიმეს ძე, ჭაავა შალვა ხუხას ძე, ფირცხალავა სევერიანე ალექსის ძე, გეგეჭკორი ივლიანე დიმიტრის ძე, ზაქარაია ანტონ ათანასეს ძე, კუტუხიძე ნოე გიორგის ძე, კორძაძე კირილე კონსტანტინეს ძე, ფირცხალავა იასონ, კვაშალავა დომენტი იაკობის ძე, შალვაძე სერაფიონ დარისპანის ძე, ლოლომაძე შალვა დიმიტრის ძე, შონია ვლადიმერ იაკობის ძე, ბერია აკაკი ივლიანეს ძე, რიზა-ზადე ქეთევან, ადამია ელენე ევგენის ას., კარსანიძე გრიგოლ მიხეილის ძე, გოგუაძე შუშანა იოსების ძე, მღებროვი ალექსანდრე ივანეს ძე, ედიშერაშვილი თინათინ ედიშერის ას., ხიხაძე ალექსანდრე იოსების ძე, კვანიკაძე პლატონ არჩილის ძე, კაპანაძე ვლადიმერ ნიკოლოზის ძე, კაპანაძე ერასტი ილიას ძე, ბიწაძე გრიგოლ სამსონის ძე, გამყრელიძე ვახტანგი სამსონის ძე, შევარდნაძე ვლადიმერი სარდიონის ძე, გოგიევი მიხეილ თეიმურაზის ძე, მიქაძე რაჟდენ სოლომონის ძე, ახვლედიანი აკაკი ბიჭიას ძე, ვერულავა აკაკი პეტრეს ძე, ალასანი ვლადიმერ იასონის ძე, ცუცქერიძე რომან ნიკოლოზის ძე, რუხაძე მიხეილ მიხეილის ძე, თარხნიშვილი ნინო დავითის ას., ხუჭუა სერგო მიხეილის ძე, მეგრელიძე მიხეილ პავლეს ძე, ცინცაძე ავთანდილ ერმილეს ძე, ძიძიგური აკაკი ოქროპირის ძე რაზმაძე მიხეილ ნიკოლოზის ძე, დემეტრაძე ანა გიორგის ასული, ლეჟავა ნოე ივანეს ძე, გაფრინდაშვილი შალვა სპირიდონის ძე, ლომაია სილიბისტრო კიმოთეს ძე, მიქაშაძე ნოე სამსონის ძე, ჯაჭრიშვილი თამარ ალექსანდრეს ას., სურგულაძე კოტე ბიქტორის ძე, ბურჭულაძე თორნიკე სიოს ძე, კუნჭულია თეიმურაზ ნოეს ძე, თოიძე მიხეილ ბეჟუკას ძე, ჯაყელი მარიამი ერმილეს ასული, გოორგაძე ქსენეფონტე გიორგის ძე, ნოდია ელისე საჩინოს ძე, კიკვაძე შალვა ლეონტის ძე, ჩხიკვაძე ბიქტორ მიხეილის ძე, რობაქიძე დავით მელიტონის ძე, ღვინეფაძე შალვა კონსტანტინეს ძე, მესხი ბიძინა პარმენის ძე, ძიძიგური მიხეილ გაბრიელის ძე, ლეჟავა დავით მიხეილის ძე, დავლიანიძე ვარლამ ივანეს ძე, ყუფარაძე ანა ვასილის ას., მაღრაძე ბენია მიხეილის ძე, მოისწრაფიშვილი ბაქო სერგოს ძე, ჩხატარაშვილი ვასილი ლეონტის ძე, როყუა კონსტანტინე გიორგის ძე, წიქარია ვლადიმერ ივანეს ძე, ალანია იოსებ, თოფურიძე დიმიტრი გიორგის ძე, გაბელია იოსებ სიმონის ძე, წულაია ევგენი გიორგის ძე.

კანდიდატები

ბრეგვაძე ერმილე ვასილის ძე, ზაქარაია ხარიტონ პავლეს ძე, ჯიქია ფედოტე ანდრიას ძე, ალანია აპოლონ ბეგლარის ძე, გვათუა იპოლიტე ტარიელის ძე, ბახტაძე სევერიანე პავლეს ძე, ჩაჩიბაია შალვა სიმონის ძე, ამორდია სევასტი ნესტორის ძე, ბოჭორიშვილი გრიგოლ კირილეს ძე, მეძმარიაშვილი დავით ონისიმეს ძე, გორდელაძე ალექსანდრე ყაისარის ძე, ჯინჭარაძე ვასილი ილარიონის ძე, სიხარულიძე სერგო ილარიონის ძე, დოლიძე მირიან ალექსის ძე, ყურაშვილი ანტონ ნიკოლოზის ძე, სვანიძე კონსტანტინე სიმონის ძე, ცქიტიშვილი ალექსანდრა გიორგის ას.

ნაროვნ

სარადიოტელეფონო კავშირი მატარებლებზე

კანადის ნაციონალური რკინისგზების მატარებლებზე შემოღებულია ორმხრივი სარადიოტელეფონო კავშირი. მგზავრს შეუძლია მატარებლიდან გამოიძახოს დედამიწის ყოველივე პუნქტი, სადაც რადიო- დადგმულობა მოიპოვება და გამართოს საუბარი გზადან. თავის მხრივ დედამიწის ყოველი პუნქტიდან შეიძლება ამ მატარებლის მგზავრების გამოძახება.

სარადიოტელეფონო კავშირის ოფიციალურად გახსნის დღეს მატარებლის მგზავრები ესაუბრნენ ლონდონს, ვაშინგტონს, ოტტავას (შეერთ. შტატები), ვერტის ვორტს (ტეხასი). საუბარი მშვენივრად ისმოდა.

გადაცემის სქემა ასეთია: მგზავრის სიტყვები გამაძლიერებელის საშუალებით გადაეცემა მატარებლის ვაგონების სახურავზე მოთავსებულ ანტენას. აქედან რადიო-ტალღები ტელეგრაფის მავთულებით მიემართება უახლოეს სატელეფონო სადგურისაკენ, სადაც კვლავ ძლიერდება და ჩვეულებრივი წესით გადაიცემა დედამიწის ყოველ პუნქტში.

ეს სარადიოტელეფონო დადგმულობა მატარებელზე ჯერ-ჯერობით ერთად ერთია მთელ მსოფლიოში.

ჰელიუმი—საკვებ პროდუქტების მრეწველობაში

ჰელიუმს თითქმის ყველანი იცნობენ, როგორც მსუბუქ გაზს, რომელსაც ცეცხლი არ უკიდდება და რომელსაც ხმარობენ დირიჟაბლების გასავსებად. ამ გაზის მოპოვების გადიდებამ ამერიკაში ხელი შეუწყო მისი გამოყენების გავრცელებას. აღმოჩნდა, რომ ჰელიუმი დიდი ხნით იცავს პროდუქტებს გაფუჭებისაგან. ფორთოხლები და ატამი ჰელიუმში თვეობით ინახება ისე, რომ ოდნავადაც არ ჰკარგავს თავის გემოსა და სურნელებას. ასე ითქმის ხორცზე. ჰელიუმის ეს თვისება მას გამოყენების ფართო პერსპექტივებს უშლის საკვებ პროდუქტების მრეწველობაში.

რადიო-გადაცემა

პარასკევი, 12 სექტემბერი

დილით 8 ს. 30 წ.—10 საათამდე, ქალაქის სატრანსლაციო ქსელით გადაცემული იქნება „მუშათა შუადღე“. პროგრამაში: ახალი ამბები და კონცერტი.

საღამოთი, 10 კილოვატიან რადიო-სადგურიდან, გადაცემული იქნება შემდეგი პროგრამა: 18 ს.—18 ს. 30 წ., პიონერთა და მოსწავლეთა საათი, რუსულ ენაზე; 18 ს. 30 წ.—19 ს. 10 წუთამდე, რადიო-გაზეთი, ქართულ ენაზე; 19 ს. 30 წ.—19 ს. 40 წუთამდე, გაზეთი „ენიკენდ“-ი—რადიოთი, თურქულ ენაზე; 19 ს. 40 წ.—20 ს. 10 წუთამდე, საუბარი რადიოთი, თემაზე: „რადიო-ტეხნიკა“ რუსულ ენაზე; დროის შემოწმება, 20 ს. 15 წ.—20 ს. 55 წუთამდე, რადიო-გაზეთი, რუსულ ენაზე; გეოფიზიკური ობსერვატორიის ცნობები; ინფორმაცია რადიო-გაზეთის შემდეგი ნომრის პროგრამის შესახებ; 21 ს. 10 წ.—24 საათამდე, კონცერტის ტრანსლაცია; უკანასკნელი ცნობები.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

— **საქ. კ. პ. (ბ) ქალაქის რაიკომი წინადადებას იძლევა, რათა მორიგ მთლიან პარტ დღეს, 18 სექტემბერს, კომპარტიის და კომკავშირის უჯრედების გაერთიანებულ კრებებზე დაისვას საკითხები:** 1. 1929-30 წლის პარტგანათლების შედეგებისა და 1930-31 წლის პერსპექტივების შესახებ (გამოყოფილ მომხსენებელთა სია ქვემოთ ცხადდება); 2. ინდუსტრიალიზაციის დღის ჩატარების შესახებ; 3. რაიპარტორგანიზაციის სოციალური შემადგენლობის ზრდისა და მოწესრიგების მდგომარეობა (საქ. კ. პ. (ბ) ცეკას 1930 წლის 26 აგვისტოს დადგენილების დამუშავება).

გამოყოფილ მომხსენებელთა სია: მე-3 სტამბა — მკრტიჩიანი, 1-ლი სტამბა—ჩხენკელი, „ზარია ვოსტოკა“-ს სტამბა — რახმანი, ზაჰესი — სოსელია, აბრეშუმის ტრესტის საფ.-საქ. სკოლა — მელაძე რაჟდენ, ავეჯეულობის ქარხანა — უსტინოვი, სტამბა - ლიტოგრაფია № 6—იმედაძე, თემქა — პროსტოლუნოვი, მე-5 სტამბა — კაჭახიძე, ახალშენი — კვაშილავა, მეხანძრეთა რაზმი—ქელენტი გ., სახკომსაბჭოს მშენებლობა—ასრიანი, ფ.-ტ. ოლქი — გილი, ა.-კ. სას.-სამ. კოოპ. კავშირი — ანდრიუშინი, თელასი—გუგუშვილი, აბრეშუმის სართავი ფაბრიკა—დონჯაშვილი ან ორახელაშვილი, სახუნტი—სულუხია, ა.-კ. სახ. პოლიტ. სამმართველო — ნასიძე, „ზაკავტოპრომტორგი“—მიკულინი, ა.-კ. სახ. პოლიტ. სამმ. მე-8 პოლკი—ბახტაძე, სახ. ბანკი — პიმენოვი, განათლების სახ. კომისარიატი — ?იბუტი, სახელმწიფო ოპერა — ნასიძე, სახალხო კვებაგოგუა. საქართველოს ფინსახკომი — გვაზავა. ა.-კ. ფინსახკომი — მენაბდე, თბილისის აღმასკომი — სოლომონოვი, ა.-კ. და საქ. მუშგლეხინი — ტულიაკოვი, სახკომსაბჭომარაიძე, ამიერ - კავკ. და საქ. სას.-სამ. ბანკი—რახი, ქალაქის ჯანმრთ. განყ. — კვანტალიანი, გზათა სახ. კომის. სამმართველო—სტეფანოვი, მშენებლები — ვიტიუხა, საქ. მიწსახკომი — პაპავა, ქართ. მუზფაკი — ვასაძე, ა.-კ. ს.მ.უ. საბჭო — ბაღდასაროვი, ა.-კ. სახ. დაზღვევა — რუვინსკი, რკ. გზის ფოსტა — თოიდურია, ცეკავშირი — ხომერიკი, აბრეშუმის ტრესტი — ჯანაშია, ტელეგრაფი — პიტერსკი, მეზოვეები — მელქისეტოვი, ტელეფონი — ბოგდანოვი, აგურის ქარხნები — დურგარიან, წითელი ჯვარი — მამალაძე, კომუნალური ბანკი—წულუკიძე, წითელი კანდიტერი — ხობუა, საქ. შრომის სახ. კომისარიატი — ჯაბაზაროვი, ა.-კ. მებამბეობის კომიტეტი — საინოვი, შრომის ბირჟა — სოსანიშვილი, სას.-სამ. ინსტიტუტი — აღნიაშვილი, ოვანესოვი, ჯანულატოვი, ბინკავშირი — კაჭკაჭიშვილი, სოცდაზღვევა — ცინცაძე, სახელგამი—ტანცოში, ა.-კ. შრომის სახ. კომისარიატი — მელნიკოვი, გლეხთა სახლი — გეგელია, ლუდის ქარხანა — ოვიანი, ერკოოპი — კუპრაძე, ა.-კ. კოოპ. კავშირი — გიკი, სახმედვაჭრობა — ბეჟანოვი, გინეკოლოგიური ინსტიტუტი — გოლივეროვაშვილი, მთავარი საავადმყოფო — ფრანგულიანი, მეღვინეობის კავშირი — ხომერიკი, ა.-კ. მიწსახკომი —ვართაპეტოვი, საქ. ჩაი — მელიქაძე, სატყეო ტრესტი — ჩახვაძე, ა.-კ. რკ. გზის მშენ. —ხოშტარია, „ი. ე. ი.“—ბაბკოვი.

—:—

— **საქ. კ. პ. (ბ) აგიტმასგანყოფილება 18 სექტემბერს, საღამოს 7 საათზე, № 18 ოთახში იწვევს თათბირს ქალაქის სანაპირო საბჭოთა მეურნეობების მშენებლობის საკითხზე.** სავალდებულოა შემდეგი ორგანიზაციების წარმომადგენლების დასწრება: ცეკავშირის, მუშკოოპის, საქ. პროფსაბჭოს, ა.-კ. პროფსაბჭოს, მომარაგების სექტორის. ა.-კ. კოოპ. კავშირის, მიწსახკომის, ვაჭრობის კომის. რწმუნებულის და მიწა-ტყის კავშირის.

—:—

— **საქ. კ. პ. (ბ) აგიტმასგანყოფილებაში ა.-წ. 12 სექტემბერს, დღის 12 საათზე მოწვეულია თათბირი „ბამბის აკრეფის კამპანიის მუშა-ხელით უზრუნველყოფის“ საკითხზე.** სავალდებულოა შემდეგი ორგანიზაციების წარმომადგენელთა დასწრება: საქართველოს ვაჭრობის რწმუნებულის, ცეკავშირის, სპეციალურ ტეხნ. კულტ. კავშირის, შრომის სახ. კომისარიატი—დუმბაძე, ა.-კ. სას.-სამ. კავშირი — ვანციანი. მიწა-ტყის კავშირი—ბემატლი.

—:—

— **ა.-კ. კომუნივერსიტეტის საღამოს სექტორზე** გაგრძელებულია მიღება განცხადებების ყოველ დღე დილის 9-დან 3 საათამდე და საღამოს 6-დან 8 საათამდე (შიო ჩიტაძის ქუჩა). მისაღები გამოცდები 15 და 17 სექტემბერს, საღამოს 6 საათზე.

—:—

— **საქ. ცენტრ. საკონტროლო კომისია სთხოვს ამხ. რომან გოჩიტაშვილს, სერგო თარხანოვს და ბაგრატ ჩარექიშვილს,** სასწრაფოდ გამოცხადდნენ საკონტროლო კომისიაში (რუსთაველის პრ., 24, მესამე სართულში, ოთახი № 7) ამხ. კვიციანაძესთან.

—:—

— **ამხ. მიხა კახიანის სახელობის ქართულ მუშფაკთან არსებული პ.-ბიურო კოლექტივი** ამით აცხადებს, რომ დღეს, 12 სექტემბერს. საღამოს 6 საათზე მოწვეულია პარტბიურო კოლექტივის სხდომა. წევრ - კანდიდატების დასწრება სავალდებულოა.

რ. ლიუქს. სახ. კინო (უ. მინიონი) I-ლი სეანსის დას. 7 ს. 30 წ.

ამერიკული ფილმი
პომერის ცირკი
მაცისტის მონაწ.

საზაფხულო პალასი 1-ლი სეანსის დას. 7 ს. 30 წ.

მეორე კვირა
საზღვარგარ. მხატვრ. სურათი
კენიგსმარკ
მთ. როლებში: გიუგეტი დიუფლო და ჟაკ კატლენი.

საზაფხ. ეთერი (საზ. ოპ. ბაღი) I სეანს. დ. 8 ს. 10 წ. II ს. 9 ს. 30 წ., III ს. 10 ს. 50 წ.

სპარტაკი (ყოფ. არფასტო) I ს. დას. 8 ს., II—9 ს. 20 წ. III—10-40 წ.

საზაფხ. აპოლო (დარბ. ბაღი) I სეანს. დ. 8 ს. 10 წ. II ს. 9 ს. 30 წ. III ს. 10 ს. 50 წ.

დიდების მე-2 კვირა, მხატვრული ფილმი
კავკასიის ტყვე
რეჟ. ივანოვსკის დადგმა.

ისტორიული ტრაგედია საზღვარგარეთის ნაწარმ.
სალამბო
გუსტავ ფლობერის რომანის მიხედვით.

დაბრუნდა ექ.
დ. ლ. თევზაძე
დაავადება: ყურის, ყელის და ცხვირის, მეტყველების და ხმის მოშლა. ბრონქოეზოფაგოსკოპია. სპეც. ტარდება წამლობის ფიზიოთერაპევტ. მეთოდები. ჰოქაძის (ყოფ. გუდოვიჩის) ქუჩა, № 9. მიღება: საღ. 5—7 საათზე გარდა კვირადღეებისა. 25—1 5116

ექიმი
გ. ი. შაპელნიკოვი
კლარა ცეტკ. ქუჩა № 7. (ყოფ. ელისაბედის ქ. № 7). ვენერიული და კანის სნეულებანი. მიღება საღამ. 6—8 საათამდე.

თბ. საფინანსო საუქც. კამერა
1930 წ. 20 სექტემბერს დილის 10 საათზე
საჯარო ვაჭრობით
გაყიდის შემდეგ უძრ. ქონებას. 1. სახლი კუთვნილი სარქისოვ არამ პოღოსის ძის—არხანგელის ქ. № 5—12 ოთახი—7000 მან. 2. სახლი კუთვნილი ჯანდაგაშვილი სოლომონ ესტატეს-ძე—პრესის ქ. № 21—3 ოთახი 1000 მან. 3. სახლი კუთვნილი მიქაელიან პოღოს პოღოსის-ძე—საბჭოს ქ. № 90—12 ოთახი—3500 მან. 4. სახლი კუთვნილი ოგანეზოვ არამ ხაიმის-ძე—დესიმონოვის მოედ. № 10—2 ოთახი—600 მან. 5. სახლი კუთვნილი რუდაკოვი ვასილ ივანეს-ძე—დესიმონოვის მოედ. № 25—4 ოთახი—1200 მან. 6. სახლი კუთვნილი მელიქოვ ვართან გალუსტის ძე—ავლაბრის ქ. № 6—10 ოთახი—4000 მან. 7. სახლი კუთვნილი არუთინოვ აბგარ არტემის-ძე—კაბგროვის ქ. № 25, 8 ოთახი 3000 მან.
საჯარო ვაჭრობა იწარმოებს ხაზინის ქ. № 3 (ყოფილ ხაზინის შენობაში). ყოველი ცნობებისათვის მიმართეთ სააუქციონო კამერას ხაზინის ქ. № 3. ნ. 1341

ექიმი
ი. ი. ჭეიშვილი
სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფ. იღებს: დილ. 7—9 საათ. საღამოს 7—9 საათ. მისამართი: კამოს ქ. № 72 (ყოფილი დიდიმთავრის ქ.) 447625—1

პროფესორი
გ. მ. მუხაძე
დაბრუნდა
პლეხანოვის პროსპექტი № 58.
13—1 5237

ექიმი
ლ. ა. ფაღავა
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი.
მიღება საღ. 6—8 საათამდე. კლ. ცეტკინის ქ. № 148 (ელისაბედის) რკ. გზ. სამმართველოს ახლოს. ტელეფონი 10-54. 1—1 5002

ექიმი
ი. მჭედლიშვილი
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება. შინაგანი სნეულებანი. სპეციალ. კუჭის და ნაწლევების დაავადებანი. ღებულობს 6—7 ს. სანაპირო ქ. (ყოფ. ნაბერეჟნაია) № 7—ვერის ხიდთან. ტელეფ. № 15-02. 5112 25—1

თანახმად სრულიად საქ. საბჭ. ცენტრ. აღმასრულებელი კომიტეტის და საქ. სოც. საბჭ. რესპ. სახ. კომისართა საბჭოს 1925 წლ. 13/7 № 12 ცირკულიარისა, ადმინგანის მმაჩის ბიურო აცხადებს, რომ მოქ.
ისმაილი სოლომონის ძე ბოგვერაძე
თავისი სახელი გამოიცვალა ახალ სახელზე
ა რ ჩ ი ლ-ზედ.
5212

ქვემოდ ჩამოთვლილი საბუთები

(დაკარგული და მოპარული) ჩაითვალოს გაუქმებულად

- — ცნობა პურის წიგნ. 4-სულის გაცემ. ქალ. ნალჩიკიდან—ლიდა ასამბაძის სახელზე. 5244
- — საქ. სახ. პოლიტ-სამმართველოს მიერ 1929 წ. 30/XI მოცემ. რევოლვერის მოწმ.—სევერიან გრიგოლის-ძე ზიზხიაძის სახ. 5242
- — მეტრ. ამონაწ. № 694—ვლადიმერ დანელიას სახელზე. 5239
- — საბჭ. და სავაჭ. მუშაკ. კავშ. წიგნ. პროკოფი ნიკოლოზის-ძე ნემსაძის სახელზე და „ზუქტრანსპორტი“-ს მიმართვა სახვაჭრობაზე № 3429. 5238
- — სამხ. წიგნ.—სილიბისტრო მათეს-ძე ხურცილავას სახ. 5235
- — სამხ. წიგნ. № 9—ვალოდია მიმინოშვილის სახელზე. 5235
- — პირად. მოწმ. №1952—ბაგრატი კუკავას სახელზე. 5235
- — მუშკ. წიგნ. № 850—დიმიტრი თაზიას-ძე მიქაძის სახელზე. 5235
- — ზაკტპ. წიგნ. № 50040—შაქრო ბოგველის სახელზე. 5234
- — მუშკ. წიგნ. № 59608—აპალონ კილასონიას სახელზე. 5233
- — ფეიქართა კავშ. წიგნ. № 1150164—გიორგი ამერიძის სახ. 5231
- — მუშკ. წიგნ. № 75351—კუჭავა ეკატერინას სახელზე, შუამოგომლობა № 596 გაცემ. სააღმ. მასალათა ტრესტიდან, მუშკ. ავეჯეულობის მაღაზიის—ვალერიანი რევიშვილის სახელზე. 5230
- — სამხ. წიგნ.—გიორგი ვასილის-ძე ბარვენაშვილის სახელზე. 5227
- — მუშკ. წიგნ.—სოლომონ იოსების-ძე მინდიაშვილის სახ. 5226
- — მეტრ. ამონაწ.—ნათელა მიხეილის ასულ ხელაძის სახელზე. 5225
- — მუშკ. წიგნ. № 121940—ელენა ვასილის ას. სუხიშვილის სახ. 5221
- — პურის წიგნ. № 10673—ვლადიმერ ნანეიშვილის სახელზე. 5217
- — პურის წიგნ.—ნინა მესხის სახელზე. 5218
- — სახლის წიგნ. ლოტკინის გორა № 297—ელისაბედ ჯავახის სახ. 5216
- — მეტრ. ამონაწ.—ალექსანდრე სილოვანის-ძე კოტრიკაძის სახ. 5214
- — დაზღ. წიგნ.—ნიკოლოზ ულაშვილის სახელზე. 5131
- — ხე-ტყის კავშ. წიგნ. და სამხ. წიგნ.—ვარლამ გოგიჩაიშვილის სახელზე. 5210
- — პურის წიგნ.—ნესტორ გიგოს-ძე დარახველიძის სახელზე. 5211

ყველა იმათ საყურადღებოდ, ვინც შეიტანა განცხადება თბილ. ოლქში მდებარე უმაღლეს სასწავლებლებში მიღების შესახებ.

მიუღებლად დარჩენილებს დოკუმენტები დაუბრუნდებათ ა. წ. 10 და 13 სექტემბრამდე,

დილის 9-დან 3 საათამდე და საღამოს 6-დან 9 საათამდე

შემდეგი წესით.

ასო ა-ზე მე-71 სკოლაში—მოგნინის ქ., № 6.
„ ბ-ზე მე-5 „ —ჟუკოვსკის ქ., № 9.
„ გ, ღ-ზე მე-81 „ —საბჭოთა ქ., № 29.
„ დ, ჯ-ზე მე-72 „ —ლერმონტოვის ქ. № 8.
„ კ, ქ, ყ-ზე მე-65 „ —პანასევიჩის ქ., № 38.
„ მ-ზე მე-14 „ —მახარაძის ქ., № 4.
„ ს, ლ-ზე მე-76 „ —19 თებერვლის ქ., № 2.
„ ვ, ე, ზ, ი, ჟ-ზე მე 47 სკოლაში—პლეხანოვის, № 40.
„ ნ, ო, პ, ფ-ზე მე-70 სკოლაში—ენგელსის, № 28.
„ რ, ტ, თ-ზე მე-57 სკოლაში—ლენინის, № 14.
„ უ, ხ, ც, წ-ზე მე-80 სკოლაში—ვოლოდარსკის, № 5.
„ შ, ჩ, ჰ, ია, იუ, ჭ-ზე მე-43 სკოლაში—ენგელსის, № 50.

დაკარგული დოკუმენტების შესახებ ცალკე იქნება გამოცხადებული.

ნ. 1351 **სახ. განათ. განყოფილება.**

თანახმად ქ. თბილისის გაერთიანებულ სახ. სასამართლოს ა/წ. 2 სექტემბრის დადგენილებით
ყარაიის სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხ-ბა „ყ ა რ ა ი ა“ ცნობილია არა შემძლეთ და ამიტომ ხდება მისი ლიკვიდაცია.
ყველა დაწესებულება-ორგანიზაციებმა და აგრეთვე კერძო პირებმა, ვისაც ჰქონდა საქმიანი ურთიერთობა აღნიშნულ ამხ-ბასთან, თავიანთი პრეტენზიები უნდა წარმოუდგინონ ა/წ. 1-ლ ოქტომბრამდე, რის შემდეგ არავითარი პრეტენზიები განხილული არ იქნება—ყარაიის სას. სამ. საკრ. ამხ-ბის სალიკვიდაციო კომისიას მისამართით: თბილისი, კეცხოველის ქ. № 6 (თბილისის რაიონის სას. სამ. საკრ. ამხ-ბის ბინაზე).
5236 **სალიკვიდაციო კომისია.**

სამუდამოდ გაუბედურებული და დამწუხრებული მშობლები: დედა ფედრო, მამა ვარლამ ასათიანები აუწყებენ ნაცნობებს და მეგობრებს, რომ 13 სექტემბერს, 3 საათზე დაბა შორაპანში გადახდილ იქნება სამოქალაქო პანაშვიდი მათი ერთად-ერთი შვილის
თინა ვარლამის ასულ ასათიანის
ხსოვნის აღსანიშნავათ. 5188

გულდათუთქულნი ბებია ნატა, ბაბუა ლავრენტი, ბიცოლა თაფლო გველესიანები, აუწყებენ მეგობართ და ნაცნობთ, რომ სექტემბრის 13-ს დ. შორაპანში გადახდილ იქნება სამოქალაქო პანაშვიდი სიცოცხლით სავსე ახალგაზრდა გოგონას
თინა ასათიანის
ხსოვნის აღსანიშნავათ. 5188

მწუხარებაში მყოფნი: დეიდა ლუბა, ბიძა საშა და დეიდაშვილი ტარიელ ვეფხვაძეები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ მათთვის ძვირფას და დაუვიწყარ
თინა ასათიანის
ხსოვნის აღსანიშნავათ გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი დაბა შორაპანში 13 სექტემბერს. 5188

უღრმეს მწუხარებაში მყოფნი: დეიდა ქენია ლაბაძისა, დეიდაშვილი ქეთო ლაბაძე აუწყებენ საზოგადოებას, რომ შაბათს 13 სექტემბერს დ. შორაპანში გადახდილ იქნება სამოქალაქო პანაშვიდი უდროოდ დაკარგულ მე-11 შრომის სკოლის მოწაფის
თინა ასათიანის
ხსოვნის აღსანიშნავათ. 5188

ბენიგნა და ვანო გველესიანები თავიანთი შვილებით—მარო და გულიკოთი აუწყებენ ნაცნობებს და ნათესავებს, რომ 13 სექტემბერს შორაპანში დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი ძვირფასი
თინა ასათიანის
ხსოვნის აღსანიშნავათ. 5188

თბილისის მე-11 შრომის სკოლის პედაგოგიური საბჭო აცხადებს, რომ შორაპანში 13 სექტემბერს დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი ამავე სკოლის მე-9 ჯგუფის მოწაფის
თინა ასათიანის
ხსოვნის აღსანიშნავათ. 5187

გულმოკლული მშობლები ვალოდია და ვარვარა ბურჯანაძეები აუწყებენ მეგობრებს თავიანთ პატარა საყვარელ ბიჭიკოს
გ ი ზ ო ს
უდროოდ დაკარგვას. ნ. 1353

ბიჭიკო ოსაძე, მეუღლე მელიკო შვილით რევაზით, ღრმა მწუხარებით აუწყებენ ცოლის ძმის, ძმის და ბიძის ვალოდია ბურჯანაძის შვილის პატარა
გ ი ზ ო ს
უდროოდ დაკარგვას. 5243

თომა სიხარულიძე, ისაკი ხინველი, გერმანე გიორგაძე და მიშა ცხომელიძე თანაგრძნობას უცხადებენ ამხანაგ ვალოდია და ვარია ბურჯანაძეებს მათ განუსაზღვრელ მწუხარებაში პატარა, საყვარელი
გაიოზის (გიზოს)
უდროოდ დაკარგვის გამო. ნ. 1348

ექიმები და სამკურნალო დაწესებულებები:

ა. ვ. მიქაბერიძე პარიზში 1923 წ. დაამთავრა „სილამაზის ინსტიტუტი“ მასაჟი სახის, კისრის, ხელების და თმის მკურნალობა..ელექტრ. ორთქლის ვანნები და ახალი ელექტრო-აპარატები კანის სილამაზის დასაცავათ ძნელაძის ქუჩა (ყოფ. საპიორის) 19. იღებს დილით 10-დან 3-მდე და საღამოს 5—8-დე. შესასვლელი ძნელაძის შესახვევიდან. 25—6

ი. ი. ზერიშვილი ვენერიული, საშარდე-სასქესო ორგანოების სიფილისისა და კანის ავადმყოფობა დილით 9—1 საათ. საღამოს 5—8 საათ. ქალებისათვის ცალკე შესავალი, სასტუმრო „ევროპას“ (ყ. „ნოე“-ს პირდაპირ. ჩოდრიშვილის და პლეხანოვის შესახვევი № 8. 25—23

გულმოკლული მეუღლე ქიონია სიმონის ასული შვილებით: თამარა, გრიშა, ირაკლი, ვახტანგი, ნუნუ და სიძე შალიკო ცირღილაძე აუწყებენ ნაცნობ-მეგობრებს, რომ ორშაბათს, 8 სექტემბერს გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი
სპირიდონ ოტიას-ძე ბენდუქიძე
სამოქალაქო პანაშვიდი ყოველდღე საღამოს 7 საათ. გამოსვენება მოხდება შაბათს 13 სექტემბერს, ვერის ახალ სასაფლაოზედ 4-ნახ. საათზე ბინიდან ბორჯომის ქუჩა №16. 2—2 5202

ღრმად დამწუხრებული ძმა დომენტი ოტიას-ძე ბენდუქიძე მეუღლით ოლღა შიოს ასული და შვილებით ავთანდილი, ნათელა და ტარიელი აუწყებენ საზოგადოებას, რომ 8 სექტემბერს გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი
სპირიდონ ოტიას-ძე ბენდუქიძე
სამოქალაქო პანაშვიდი ყოველ დღე, საღამოს 7 საათ. გამოსვენება მოხდება შაბათს 13 სექტემბერს 4-ნახ. საათზე ვერის ახალ სასაფლაოზე ბინიდან ბორჯომის ქ. № 16. 2—2 5203

უდროოდ გარდაიცვალა ჩვენთვის დაუვიწყარი და პატივცემული მამიდაშვილი
სპირიდონ ოტიას-ძე ბენდუქიძე
რასაც ვაუწყებთ საზოგადოებას და ნაცნობ-მეგობრებს დამწუხრებული ძმები დალოსტი და ილია გიორგის-ძე ბოჭორიშვილები თავიანთი ცოლშვილით და მშობლებით. 5220

მიხეილ და საშიკო მონასელიძეები, მარო სვანიძე და ექიმი ნიკოლოზ ფოფხაძე ცოლშვილით აცნობებენ ნაცნობთ და მეგობრებს საყვარელი და დაუვიწყარი
სპირიდონ ოტიას-ძე ბენდუქიძის
უდროოდ გარდაცვალებას. 5219

სოლომონ დოლიძე ცოლით ოლღათი და შვილით არჩილით აუწყებს ამხანაგებს და მეგობრებს, რომ მოულოდნელათ გამოგვეცალა ხელიდან ძვირფასი, საყვარელი და პირადათ ჩვენთვის თავდადებული მეგობარი
სპირიდონ ოტიას-ძე ბენდუქიძე 5224

მუშკომი, „ტრანსპორტის“ მუშები, თანამშრომლები და აფხაზეთის ადგილობრივი მცხოვრებნი ღრმა მწუხარებას გამოსთქვამენ ძვირფასი ამხანაგის და მშრომელის
სპირიდონ ოტიას-ძე ბენდუქიძის
უდროოდ გარდაცვალების გამო. 2—1 5222

გულმოკლული თანამშრომლები ვალიკო ნაკაშიძე და სიმონ თოლია მეუღლე გაიანეთი, შვილებით, კუკურით, როზიკოთი, მირიმანით და ლილით ღრმა მწუხარებას გამოსთქვამენ ძვირფასი
სპირიდონ ოტიას-ძე ბენდუქიძის
უდროოდ გარდაცვალების გამო. 2—1 5222

გაუბედურებული მშობლები: დედა ანეტა სულაქველიძე კოტრიკაძისა, მამა ირაკლი კოტრიკაძე და უახლოესი მეგობარი მიშა თევდორაძე აუწყებენ ნაცნობებს და მეგობრებს, რომ კვირას, 14 სექტემბერს ნაშუადღევის 5 საათზე ვერის ახალ სასაფლაოზე გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი ერთად ერთი შვილის
შ უ შ ი კ ო ს
ხსოვნის აღსანიშნავად. 2—1 5213

მე-31 შრ. სკოლა, მე-5 პროფ. და მე-6 ასაკ. გად. შრ. სკოლების პედაგოგიური საბჭო მე-90 ადგილკომით აუწყებს საზოგადოებას, რომ გარდაიცვალა ამავე სკოლის ერთგული მუშაკი
ნინო თეჟელაშვილისა
გამოსვენება, პლეხანოვის ქ. № 166, 4 საათზე დღეს, 12 სექტემბერს. დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე. 5232

თავზარდაცემული დედა ანეტა, მამა ლეო, ბებია ანნა, პაპა მიხეილი, მამიდები: ნინა, სერიკო, ბიძა რაჟდენ ბაკაშვილები აუწყებენ ნათესავთ და მეგობრებს, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა, მათთვის უსაყვარლესი შვილი პატარა
ლ ი ლ ი
დაკრძალვა სოფელ საქობოში. ნ. 1352

ღრმად დამწუხრებულნი და გულმოკლულნი მშობლები: მართა და სამსონი, ძმები: ვალერიანი და დათიკო, დაი ელენე იმედაიშვილები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობებს მათთვის საყვარელი და დაუვიწყარი
ლონგინოზ (ლატუა) იმედაიშვილის
უდროოდ გარდაცვალებას. გამოსვენება ა/წ. 12 სექტემბერს, საღამოს 4 ს. და 30 წ. წითელი ჯვრის (ყოფ. გერმანელების) საავადმყოფოდან. დაკრძალვა კვირას, 14 სექტემბერს, საღამოს 4 საათზე, სოფ. ჯუნჯუთაში (ლანჩხუთის რაიონი). 5240

უსაზღვრო მწუხარებაში მყოფნი დეიდაშვილები: ალექსანდრე და მარო (პუჭულა) ებრალიძეები აუწყებენ ნათესავთ, ამხანაგებს და მეგობრებს, რომ 10 სექტემბერს, საღამოს 5 საათზე უდროოდ გარდაიცვალა მათთვის საყვარელი და დაუვიწყარი
ლონგინოზ სამსონის ძე იმედაიშვილი
გამოსვენება პარასკევს, 12 სექტემბერს, საღამოს 4 ს. და 30 წ. წითელი ჯვრის (ყოფ. გერმანელების) საავადმყოფოდან. დაკრძალვა კვირას, 14 სექტემბერს, საღამოს 4 საათზე სოფ. ჯუნჯუთაში. (ლანჩხუთის რაიონი) 5240

ნაგომრის თემის მთლიანი კოლექტივის გამგეობა და თანამშრომლები ღრმა მწუხარებას გამოსთქვამენ ძვირფასი ამხანაგის და საზოგადო მოღვაწის, ძიმითის თემის მთლიანი კოლექტივის გამგეობის თავმჯდომარის ამხანაგ
გიორგი იოსეს-ძე მგელაძის
ხანმოკლე ავადმყოფობით უდროოდ გარდაცვალების გამო. ნ. 1347

დამწუხრებულნი უახლოესი ამხანაგები და მეგობრები ევტიხი კაცაძე, თედორე თენიეიშვილი, ანდრო თავართქილაძე, ლავრენტი ღლონტი, სევასტი ვასაძე, სოსო ბერძენიშვილი, ტარიელ თალაკვაძე, დათიკო ლარიძე, კასიანე უჯმაჯურიძე, ევტიხი ციკარიძე, ელიაზარ ღვიბირიძე, სერგო ხინთიბიძე, იაკობ კუტუბიძე, სამსონ ახალაძე, კაპიტონ ახალაძე, ვალოდი სტეფანია, ოქრობილ ხუნდაძე აუწყებენ საზოგადოებას ძიმითის მთლიანი კოლექტივის თავმჯდომარის და საუკეთესო კომუნისტის
გიორგი იოსეს-ძე მგელაძის
უდროოდ გარდაცვალებას. ნ. 1347

ოზურგეთის რაიონის კოლმეურნეობათა კავშირი ღრმესი მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას აქტიური და თავდადებული მუშაკის, ძიმითის თემის მთლიანი კოლექტივის თავმჯდომარის ამხ.
გიორგი ესეს ძე მგელაძის
ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაცვალებას. (დეპ.)

მწუხარებაში მყოფნი: მეუღლე თამარა, შვილი ავთანდილი, დედამარიამი და ძმა სოლომონი მეუღლით გოგოლაძეები და სიდედრი ნუცა ჩაგუნაშვილისა აუწყებენ ნაცნობ და მეგობართ, მათთვის უსაყვარლეს
ანდრო ესტატეს-ძე გოგოლაძის
უდროოდ გარდაცვალებას. სამოქალაქო პანაშვიდი 6 საათზე ლენინის ქ. № 26, გამოსვენება შაბათს 13 ენკენისთვეს, ბინიდან, 4 საათზე. 5228

დამწუხრებულნი დები: ანნა, თამარა, მარუსა, ნადია და ვერა გოგოლაძეები, სიძეები: ო. ხმალაძე, ნ. ქადაგიძე, გ. ცინცაძე შვილებით; დისწულები: ვალენტინა, გოგია ხმალაძეები აუწყებენ ნაცნობთ და მეგობართ მათთვის დაუვიწყარ ძმის
ანდრო ესტატეს ძე გოგოლაძეს
გარდაცვალებას. 5228

სამუდამოთ გულდამწვარნი მეუღლე ოლღა შვილებით შალია, ვალია, კირილე (ვალალო) და ოლიჩკა აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობ-მეგობრებს, რომ დღეს, 12 სექტემბერს, საღ. 6 საათზე კუკიის სასაფლაოზე გადახდილ იქნება სამოქალაქო პანაშვიდი მუდამ დაუვიწყარ
კირილე კონსტანტინეს ძე ჭყონიას
ხსოვნის აღსანიშნავათ. 5215

ღრმათ დამწუხრებული შვილები: ვასო, ნოე, მარო, ნინა, ელენა, ოლია, ტატიანა და ქენია სალუქვაძეები და სიძე ვანო ქუშელი აუწყებენ ნათესავებს, ნაცნობებს და მეგობრებს, რომ ხანმოკლე და ძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათი ოჯახის მომავე დედა
ვაიანე ბეჟანის ასული სალუქვაძისა
დაკრძალვა ქ. ოზურგეთში კვირას, 14 სექტემბერს, ნაშუადღევის 5 საათზე. (ს)

ტირაჟი—57.694
საგაზეთო გამომცემლობათა სტამბა, „კოლექტივი“, კამოს ქ. № 68.
მთავლიტი № 904